



# საველე ნიადაგმცოდნეობა



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და

მელიორაციის ინსტიტუტი

სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი

## საველე ნიადაგმცოდნეობა

თბილისი  
2016

**რედაქტორები:**  
**გიორგი (ოთარ) კვესიტაძე, თენგიზ (გიზო) ურუშაძე**

**შემდგენლები:**

ლია ამირანაშვილი, ნინო გაგელიძე, გიზო გოგიჩაიშვილი,  
ნინო ზაქარიაშვილი, მირიან თოფჩიშვილი, ამირან თხელიძე,  
მიხეიილ კაკაბაძე, რუსულდან კახაძე, ედიშერ კვესიტაძე, ნატო  
კობახიძე, თინათინ სადუნიშვილი, ეკატერინე სანაძე, არჩილ  
სუპატაშვილი, თეო ურუშაძე, თამარ ქვრივიშვილი, ლალი  
ქუთათელაძე, გიორგი ღამბაშიძე, გიული წერეთელი, დიანა  
ხომასურიძე, გივი ჯაფარიძე, ლეო ჯორბენაძე.

**რეცენზენტები:**  
**აკადემიკოსი ავთანდილ კორახაშვილი**  
**აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე დიდებულიძე**

**ფოტოსურათების ავტორები:**

ოთარ აბდალაძე, არნოლდ გეგეჭკორი, ბესო გელაშვილი,  
თეკლა გურგენიძე, გიორგი გურგენიძე, თამაზ დუნდუა, ბადრი  
ვადაჭკორია, ზურაბ მანველიძე, სტეფან მანტელი (ჰოლანდია),  
იზოლდა მაჭიტაძე, მაკო ნოსელიძე, ზვიად ტიგინაშვილი,  
თენგიზ (გიზო) ურუშაძე, პეტერ შმიდტი (გერმანია), WWF.

ISBN 978-9941-0-9593-1

## სარჩევი

რედაქტორებისაგან .....	5
თავი I. ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორები.....	7
თავი II. ძირითადი ნიადაგების დახასიათება .....	36
წითელმიწები .....	36
ყვითელმიწები.....	40
ჭაობიანი ნიადაგები.....	44
ყვითელმიწა-ენერი ნიადაგები.....	48
ყვითელ-ყომრალი ნიადაგები .....	53
ყომრალი ნიადაგები.....	57
კორდიან-კარბონატული ნიადაგები .....	62
რუხი-ყავისფერი ნიადაგები .....	66
მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგები.....	70
ყავისფერი ნიადაგები.....	74
მდელოს-ყავისფერი ნიადაგები .....	79
შავი ნიადაგები .....	84
შავმიწები .....	88
მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები.....	93
მთა-მდელოს ნიადაგები .....	97
დამლაშებული ნიადაგები.....	101
ალუვიური ნიადაგები.....	106

თავი III. ნიადაგის მორფოლოგია .....	110
თავი IV. ნიადაგის გამოყენებითი ასპექტები .....	140
IV.1. აგროქიმიური კვლევა.....	140
IV.2. მიკროორგანიზმების კვლევა.....	144
IV.3. მცენარის მავნებლები ნიადაგში.....	151
IV.4. ნიადაგის კარტირება.....	156
თავი V. ნიადაგის აღწერის კოდირება .....	160
ლიტერატურა .....	171

## რედაქტორებისაგან

საქართველო გამოიჩინა განსაკუთრებით მრავალფეროვანი ნიადაგური საფარით. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გვხვდება ევროპაში გავრცელებული ყველა ნიადაგი. საქართველოს ნიადაგებს მრავალი მეცნიერი სწავლობდა.

საქართველოში გვხვდება როგორც ტენიანი, ისე მშრალი სუბტროპიკების ნიადაგები. მათი გამოყენება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის დიდ ინტერესს იწვევს. მრავალი ცნობილი ნიადაგმცოდნე ატარებდა აქ კვლევებს, ისინი მონაწილეობდნენ სხვადასხვა ექსპედიციაში, ხშირი იყო მოხსენებები და შესაბამისი მსჯელობები.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს, საქართველო სამართლიანად იყო აღიარებული, როგორც „ნიადაგების ბუნებრივი მუზეუმი ღია ცის ქვეშ“.

საგულისხმოა, რომ ნიადაგების გეოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი კანონი – ნიადაგების ვერტიკალური ზონალობის შესახებ, დადგენილი იყო კავკასიისა და, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ნიადაგების მაგალითზე.

მსოფლიოში ცნობილი ზოგიერთი ნიადაგი პირველად აღნერილი და გამოყოფილი იყო საქართველოში, რის შემდეგაც მიიღეს „მოქალაქეობის საერთაშორისო უფლებები“. მათ შორის, ყავისფერი ნიადაგები, რომლებიც პროფ. ს. ზახაროვმა გამოჰყო 1904 წელს, მცხეთის მიდამოებში, დიდგორის ფერდობებზე; მდელოს-ყავისფერი ნიადაგები – პროფ. ვ.ფრიდლანდმა 1956 წელს სოფელ მუხრანთან, და ყვითელ-ყომრალი ნიადაგები აკად. თ. ურუშაძემ 1967 წელს ბათუმის მიდამოებში, მთა მტირალაზე. ინფორმაცია საქართველოს ნიადაგებზე, განსაკუთრებით კი, „აბორიგენული“ ნიადაგების შესახებ აისახა მრავალი ქვეყნის სახელმძღვანელოში, მათ შორის, პოლონეთში, იაპონიაში, რუსეთში და სხვ.

საქართველოს ნიადაგების სიმდიდრე აიხსნება ნიადაგნარმომქმნელი ფაქტორების მრავალფეროვნებით და მათი კომბინაციების ცვლით შედარებით მოკლე მანძილებზე. ქვეყ-

ნის ტერიტორიაზე გვხვდება ყველა ტიპის დედაქანი (მაგმური, მეტამორფული, დანალექი), რელიეფის ყველა ცნობილი ფორმა, კლიმატის თითქმის ყველა ძირითადი ტიპი (ტროპიკულის გარდა), ორგანიზმების სამივე ძირითადი ჯგუფების წარმომადგენლები (მწვანე მცენარეები, მიკროორგანიზმები და ცხოველები), ხნოვანების (ასაკის) ძალიან დიდი სპექტრი (დაწყებული ჰილოცენიდან – 12 000 წლამდე, და დამთავრებული ადრეული პლიოცენით – 2,5-3 მლნ წელი).

ნიადაგმცოდნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მეტად აქტიურულია ნიადაგების საერთაშორისო კლასიფიკაციის შედგენასა და განვითარებაში მონაწილეობის მიღება. ამ მხრივ საგულისხმოა, ქვეყნის ახალი ნიადაგური რუკის შედგენა (მასშტაბი 1 : 500 000), რომელშიც პირველად პოსტსაბჭოურ სივრცეში აისახა ახალი საერთაშორისო მიდგომები.

ნიადაგის კვლევებში მეტად საგულისხმოა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომლობა. ამის გამორჩეული მაგალითია მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის და სერგი დურმიშიძის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტების თანამშრომლობა.

სწორედ ამ გზით, პირველად მსოფლიოს პრაქტიკაში დაუკავშირდა მიკროორგანიზმების „სამყარო“ ცალკეული ნიადაგების გენეზისურ თავისებურებებს. კვლევების საფუძველზე შედგენილმა რუკებმა, დიდი ინტერესი გამოიწვიეს სპეციალისტებს შორის.

ერთობლივი კვლევების ჩატარებისას გამორჩეული ადგილი ეთმობა საველე პირობებში ნიადაგების კვლევას. წინამდებარე ნაშრომი ასახავს საველე კვლევების დადგენილი და აპრობირებული მიდგომების პრინციპებს და უნდა გამოიწვიოს ინტერესი საბუნებისმეტყელო დარგის სპეციალისტებს შორის.

აკად. გიორგი (ოთარ) კვესიტაძე,  
აკად. თენგიზ (გიზო) ურუშაძე

თავი I. ნიადაგნარმოებენი ფაქტორები


ნიადაგი წარმოადგენს განსაკუთრებულ ბუნებრივ სხეულს, რომელიც ფორმირდება შემდეგი ფაქტორების – კლიმატის, ორგანიზმების, ნიადაგნარმომქმნელი ქანების, რელიეფისა და ქვეყნის ასაკის – მჭიდრო ურთიერთმოქმედების შედეგად.

**კლიმატის** ქვეშ იგულისხმება ამა თუ იმ ტერიტორიის (დედამინის, მატერიკების, ქვეყნების, ოლქების, რაიონების და ა.შ.) ატმოსფეროს საშუალო მდგრადირობა, რომელიც ხა-სიათდება მეტეოროლოგიური ელემენტების (ტემპერატურა, ნალექები, ჰაერის ტენიანობა და ა.შ.) საშუალო და უკიდურე-სი მაჩვირწებლებით.


საქართველოში გამოიყოფა დედამინის კლიმატის ყველა თერმული ჯგუფი (ტროპიკულის გარდა).

საქართველოს კლიმატის მთავარი თერმული ჯგუფები  
(ატლანტიკური ტემპერატურათა ჯამი -  $\Sigma > 10^{\circ}\text{C}$ )


ask@ebook 1:1 200 00




საშუალო ტემპერატურა ( $^{\circ}\text{C}$ ), %  
(1999-2010 წლის შედერება 1960 წლამდელ მონაცემებთან)  
მასშტაბი: 1:2 000 000




წლიური ნალექები (მმ), %  
(1999-2010 წლის შეკარგება 1960 წლამდელ მონაცემებთან)  
მასშტაბი: 1:2 000 000



ჰაერის 0°C-ზე მეტი ტემპერატურის ჯამი, %  
(1990-2010 წწ.-ის შედარება 1960 წლამდელ მონაცემებთან)  
მასშტაბი: 1:2 000 000



აანგრძის სამუშაოთ ტემპერატურა (°C), %  
(1999-2010 წწ.-ის შედარება 1960 წლამდელ მონაცემებთან)  
მასშტაბი: 1:2 000 000



ნიადაგების განაწილება იძლევა შემდეგ სურათს:  
თბილი (სუბტროპიკული) – წითელმიწები, ყვითელმიწები, ყვითელმიწა-ეწერები, ჭაობიანი, ყვითელ-ყომრალი ნიადაგები.

ზომიერად თბილი (სუბბორეალური) – რუხი-ყავისფერი, მდელოს-რუხი-ყავისფერი, ყავისფერი, მდელოს-ყავისფერი, შავი, დამლაშებული ნიადაგები.

ზომიერად ცივი (ბორეალური) – ყომრალი, კორდიან-კარბონატული.


ცივი (პოლარული) – მთა-ტყე-მდელოს, მთა-მდელოს, შავმინა.

ბოლო პერიოდის კლიმატის შეცვლის ტენდენცია იწვევს სამართლიან შეშფოთებას. 1999-2000 წლების საშუალო მონაცემები იყო შედარებული მრავალი ათეული წლის (ზოგჯერ საუკუნოვან) მონაცემებს. ქვეყნის მრავალ ადგილას საშუალო ტემპერატურა გაიზარდა 10, 20 და 30-ზე მეტი %-ით; შემცირდა წლიური ნალექების რაოდენობა 10, 20 და 20-ზე მეტი %-ით; გაიზარდა ჰაერის  $0^{\circ}\text{C}$ -ზე მეტი ტემპერატურის ჯამი 10, 15 და 15-ზე მეტი %-ით. ყველაზე საგანგაშოა იანვრის საშუალო ტემპერატურის ცვალებადობა, აღინიშნება მისი ზრდა 100, 200, 300 და 400-ზე მეტი პროცენტით.

**ორგანიზმები (მწვანე მცენარეები, მიკროორგანიზმები და ცხოველები)** აქტიურად მონაწილეობენ ნიადაგნარმოქმნის პროცესში.



ფიჭვნარი (ბორჯომის ხეობა)



ნაძვნარი (ბორჯომის ხეობა)



მაღალმთის არყნარი ტყე  
(ყაზბეგის რაიონი, ცენტრალური კავკასიონი)

მწვანე მცენარეებში გამოიყოფა:  
მერქნიანი ფორმაციები (წინვიანი და ფოთლოვანი ტყე-  
ები);

გარდამავალი მერქნიან-ბალახოვანი ფორმაციები (მშრა-  
ლი ტყეები – სავანოიდები);



სამხრეთი ტიპის ტყე-სტეპი. ძეძვიანის ქსეროფიტული ბუჩქნარი  
ბალახოვანი ფორმაციები (მდელოები, სტეპები);



სუბალპური მარცვლოვან-ნაირბალახოვანი მდელო  
(ყაზბეგის რეგიონი)



უროიანი სტეპი (შირაქი, ივრის ზეგანი)

ნახევრადუდაბნოს ფორმაციები და ლიქენ-ხავსიანი ფორმაციები.




ავშნიანი ნახევარუდაბნო (ჭაჭუნას სახელმწიფო აღკვეთილის  
მიმდებარე ტერიტორია)



### ლიქენ-ხავსიანი ფორმაციები (თეთნულდის მიდამოები)

ნიადაგწარმოქმნაში მონაწილე ორგანიზმების მეორე ჯგუფს წარმოადგენენ მიკროორგანიზმები. მათ რიცხვს მიეკუთვნება – ბაქტერიები, სოკოები, აქტინომიცეტები, წყალ-მცენარეები და ლიქენები. ნიადაგში მიკროორგანიზმების საერთო რაოდენობა აღწევს მილიონებსა და მილიარდებს 1 გრამში. მათი უმეტესი ნაწილი ნიადაგების ზედა პორიზონტებშია. მაქსიმუმი კი – ცოცხალი ფესვების ირგვლივ და მკვდარი მცენარეული წარჩენების ზედაპირზე.


ბაქტერიები – ნიადაგში მიკროორგანიზმების ყველაზე ფართოდ გავრცელებული ჯგუფია. მათი რაოდენობა მერყეობს 300 მლნ-დან 3000 მლნ-მდე. კვების ხერხის მიხედვით ისინი იყოფიან ჰეტეროტროფებად და ავტოტროფებად. სოკოები მცენარეების ფესვებზე წარმოქმნიან მიკორიზას. აქტინომიცეტები წარმოადგენენ სხივურ სოკოებს. წყალმცენარეები გავრცელებულია ყველა ნიადაგის ზედა ფენაში. ლიქენები შედგებიან სოკოებისა და წყალმცენარეებისგან.




### მიკოლოგანიზმები ნიადაგში

- ა - ბაქტერიუმები; ბ - უმდაბლესი ნიადაგური სოკოები;  
გ - აქტინომიცეტები; დ - დიატომური წყალმცენარეები

დასავლეთ საქართველოში ჩატარებული კვლევებით და-დგინდა მიკროსკოპული სოკოების გავრცელების კანონზო-მიერებანი.



ყვითელ-ყომრალი, კორდიან-კარბონატული, წითელმინა, ალუვიური, ყვითელმინა-ენერი და მთა-მდელო ნიადაგებიდან გამოყოფილ მიკროსკოპული სოკოების კულტურებში ჭარბობს სოკოები კლასიდან - *Ascomycetes*. კორდიან-კარბონატულ ნიადაგში დომინანტური გვარია -*Aspergillus*. ალუვიურ და სუბტროპიკულ ენერ (ყვითელენერი) ნიადაგში არ არის გამოვლენილი დომინანტი გვარის სოკო, ხოლო დანარჩენი სამი ტიპის ნიადაგში დომინანტური გვარია – *Penicillium*.



*Aspergillus*




*Penicillium*

ყვითელმინა და ყომრალი ნიადაგებიდან გამოყოფილ მიკროსკოპული სოკოების კულტურებში ჭარბობს სოკოები კლასიდან – Deuteromycetes. ყვითელმინაში 1 რიგის დომინანტური გვარია – *Trichoderma*. ხოლო ყომრალ ნიადაგში გამოკვეთილი დომინანტია გვარი - *Fusarium*.



*Trichoderma*



*Fusarium*

ჭაობიანი ნიადაგიდან გამოყოფილ მიკროსკოპული სოკოების კულტურებს შორის მკვეთრად გამოხატული დომინანტი გვარი არ არის, თუმცა მთლიანობაში ჭარბობს სოკოები კლასიდან - Zygomycetes. ამ ნიადაგიდან გამოყოფილია ისეთი გვარის სოკოები (*Cladosporium*, *Stachybotrys*), რომლებიც სხვა ტიპის ნიადაგებიდან არ იქნა გამოყოფილი.



*Cladosporium*



*Stachybotrys*

ყვითელ-ყომრალი, კორდიან-კარბონატული და წითელმინა ნიადაგებიდან გამოყოფილ ბაქტერიების ჯგუფებიდან დომინანტურია *Rhodococcus*-ის გვარის ბაქტერიები.



ყვითელმიწა, ჭაობიან, ყვითელმიწა-ენერი და მთა-მდელოს ნიადაგებში ჭარბობს *Bacillus*-ის გვარის ბაქტერიები.

*Pseudomonas*-ის გვარის ბაქტერიებიდან ჭარბობს *Pseudomonas fluorescent*-ის სახეობა.



*Pseudomonas fluorescent*

*Bacillus*-ის გვარის ბაქტერიებიდან ყვითელმიწა-ენერი ნიადაგში დიდი რაოდენობით არის *Bacillus mycoides*.



*Bacillus mycoides*

ყვითელმიწა და მთა-მდელოს ნიადაგებში ჭარბობს *Bacillus subtilis*-ის შტამები.



*Bacillus subtilis*

მიკროორგანიზმები აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ ნია-დაგის მინერალებზე, შლიან ზოგიერთ მათგანს და მონაწილე-ობენ სხვა მინერალების ახალწარმოქმნაში. ამ პროცესებ-ში მონაწილეობს სხვადასხვა მიკროფლორა – ბაქტერიები, სოკოები, წყალმცენარეები და ლიქენები.

ყველა ურთიერთქმედება მიკროორგანიზმებს შორის, ასევე მიკროორგანიზმებსა და მცენარეებს შორის შეიძლება იყოს შემდეგი ტიპის: სიმბიოზი, მეტაბიოზი, ანტაგონიზმი და პარაზიტიზმი.

სიმბიოზის ტიპური მაგალითია სოკოებსა და წყალმცე-ნარეებს შორის მჭიდრო თანაცხოვრება, რაც იწვევს უფრო

რთული და გარემოს პირობებისადმი უფრო შეგუებული მცენარეული ორგანიზმის – ლიქენების წარმოქმნას. ნიადაგში სიმბიოზური თანაცხოვრების სხვა მაგალითია სოკოების სიმბიოზი უმაღლეს მცენარეებთან, როდესაც სოკოები წარმოქმნიან მცენარეების ფესვებზე მიკორიზას.

ნიადაგში მიკროორგანიზმებს შორის ურთიერთობის უფრო გავრცელებული ტიპია მეტაბიოზი. ამის ტიპური მაგალითია ურთიერთობა აზოტობაქტერსა და ცელულოზადამშლელ ბაქტერიებს შორის.

ნიადაგში ორგანული ნივთიერების სწრაფი მინერალიზაცია მიმდინარეობს მიკროორგანიზმების სხვადასხვა ჯგუფის ერთობლივი ცხოველქმედების შედეგად. ნიადაგში ობლიგატური ანაერობული ბაქტერიების განვითარება იქნებოდა შეუძლებელი, თუ მათთან ერთად არ განვითარდებოდნენ აერობული ბაქტერიები, რომლებიც შთანთქავენ მოლეკულურ უანგბადს.

მიკროორგანიზმებს შორის ანტაგონისტური ურთიერთობები ხასიათდება იმით, რომ მიკროორგანიზმების ერთი ჯგუფი გამოყოფს ნივთიერებებს, რომლებიც ამუსტრუჭებენ სხვა მიკრობების განვითარებას. მიკროორგანიზმების სამყაროში ფართოდ არის გავრცელებული პარაზიტიზმის მოვლენა.

ნიადაგური ფაუნა საკმაოდ მრავალრიცხოვანია და ნაირგვარი. ცხოველთა სამყაროს, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ნიადაგის ცხოვრებაში, მიეკუთვნება – უმარტივესები, უხერხემლოები და ხერხემლიანი ცხოველები.

ნიადაგში მიკროფლორასთან ერთად საკმაოდ ფართოდ გავრცელებულია უმარტივესი ცხოველების სხვადასხვა წარმომადგენლები, რომლებიც გაერთიანებულია საერთო ტერმინით პროტოზოა.

კვების ხერხებით უმარტივესები უმეტესად არიან ჰეტეროტროფები. ისინი ძირითად იკვებებიან მიკროორგანიზმებით, რომლებიც ბინადრობენ ნიადაგში (ბაქტერიები,

წყალმცენარები, სოკოები ჰიფებით). მათ შორის არიან საპროფიტებიც (შოლტიანები), რომლებიც იკვებებიან მცენარეული ნარჩენების გახსნილი ორგანული ნივთიერებებით. ავტოტროფულ მწვანე უმარტივესებს აქვთ შეზღუდული გავრცელება მხოლოდ ბაქტერიებს შორის.



**ნიადაგში ცხოველური ხვრელები**



**ჭიაყელები**

ცხოველები ძირითადად ორი გზით მონაწილეობენ ნიადაგწარმოქმნაში: ორგანული ნივთიერების დაშლისა და მინერალიზაციის და ნიადაგურ საფარზე მექანიკური ზემოქმედების გზით.

ორგანული ნივთიერების დაშლა და მინერალიზაცია აუცილებელია ნიადაგწარმოქმნის პროცესის ნორმალური მიმდინარეობისათვის. ის ხორციელდება მიკროორგანიზმებითა და ცხოველებით, მათი ერთობლივი მოქმედებით.

ცხოველები აჩქარებენ ორგანული ნივთიერებების გახრ-ნისა და მინერალიზაციის პროცესებს და ამით არსებითად ცვლიან ამ პროცესების მიმართულებას, სხვადასხვა ჯგუ-ფის მიკროორგანიზმების ცხოველქმედებისთვის ხელსაყრე-ლი პირობების შექმნით. ამის გარდა, ცხოველები ნიადაგში ასრულებენ მეტად მნიშვნელოვან და სპეციფიკურ მექანი-კურ სამუშაოს. ეს უკანასკნელი ძირითადად დამახასიათებე-ლია მთხრელი ცხოველებისთვის და გამოიხატება სხვადასხვა ნიადაგების მექანიკურ შეცვლაში. ამის შედეგად, ცალკეულ შემთხვევაში ხდება ნიადაგნარმოქმნის პროცესის და საერ-თოდ ნიადაგური საფარის არსებითი შეცვლა. ყველაზე მნიშ-ვნელოვანია ნიადაგური საფარის გაფხვიერება, რაც იწვევს აერაციის პირობების გაუმჯობესებას, სუსტად გამტარი ნიადაგური შრების წყალგამტარობის გაუმჯობესებას სო-როებით, ნიადაგური მასალის არევას, ნანო- და მიკრორე-ლიეფის შექმნას, რაც იწვევს ნიადაგების ჰიდროლოგიური რეჟიმის შეცვლას, ჭიაყელებით ნიადაგების აგრეგატული სტრუქტურის, როგორც ნიადაგის მაღალი ნაყოფიერების მაჩვენებელის, შექმნას, ღრმა ფენებიდან ნიადაგის ზედაპირ-ზე სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების გადატანას და სხვ.

ცხოველების ზემოქმედება შეიძლება იყოს მთლიანი, როდესაც დამუშავებას განიცდის მთელი ნიადაგური საფარი, ან ლოკალური, რაც არის ნიადაგური საფარის მოზაიკურო-ბის წარმოქმნის მიზეზი.

ცხოველების მექანიკური საქმიანობიდან ყველაზე არ-სებითი და თავისებურია მათი აქტიური თხრა. სხვადასხ-ვა ცხოველები მოიცავენ ნიადაგების სისქის განსხავებულ სილრმეებს – ზედაპირზე (მემინდვრია) ან ძალიან ღრმად, 6 მეტრამდე (ვირზაზუნა, ჭიაყელა). ყველა ცხოველს, რომელ-იც თხრის თავის სოროს ნიადაგის ღრმა ჰორიზონტებში ან ქანში – ჭიაყელები, ნამისჭამიები, ჭიანჭველები, თხუნელები, თრიები, ვირზაზუნები და მრავალი სხვა, გამოაქვს ზედა-



**ფრინველების „საქმიანობა“  
(ყორულის აღკვეთილი, ალუვიური ნიადაგი)**

პირზე სხვადასხვა ქიმიური ნაერთებით გამდიდრებული მასალა. ცალკეული ცხოველები, სხვადასხვა ადგილმდებარეობებში, ყოველწლიურად ერთ ჰექტარზე გადაადგილებენ რამდენიმე ათეულ ტონა ნიადაგისა და ქანის მასალას.

ჯერ კიდევ 1837 წელს ჩარლზ დარვინი აღნიშნავდა ჭიაყელების უდიდეს მნიშვნელობას ნიადაგური შრის წარმოქმნაში.

მათი საქნიანობა ნიადაგწარმოქმნის პროცესებში საკმაოდ მრავალფეროვანია. მრავალრიცხოვანი სვლებით და სოროებით ისინი აუმჯობესებენ ნიადაგის ფიზიკურ თვისებებს: ადიდებენ ფორიანობას, აერაციას, წყალტევადობას და წყალგამტარობას. ნიადაგებში, რომლებიც გამდიდრებულია ჭიაყელების ცხოველქმედებით – კაპროლიტებით, მნიშვნელოვნად იზრდება ჰუმუსის რაოდენობა, მატულობს გაცვ-

ლითი ფუძეების ჯამი, მცირდება ნაიადაგების მუავიანობა. ნიადაგები, რომლებიც შეიცავენ ჭიების კაპროლიტებს, გამოიჩივიან უფრო წყალგამძლე სტრუქტურით. ამგვარად, ჭიაყელები აუმჯობესებენ ნიადაგის არა მარტო ფიზიკურ თვისებებს და სტრუქტურას, არამედ ქიმიურ შემადგენლობასაც.

ნიადაგში ცხოვრობს მწერების დიდი რაოდენობა (ხოჭოები, ჭიანჭველები), რომლებიც ახდენენ არსებით გავლენას ნიადაგნარმოქნის პროცესზე. ნიადაგში მრავალრიცხოვანი სვლების მოწყობით, ისინი აფხვიერებენ ნიადაგს და აუმჯობესებენ ფიზიკურ და წყლოვან თვისებებს. მწერები აქტიურად მონაწილეობენ მცენარეული ნარჩენების გადამუშავებაში, ამდიდრებენ ნიადაგს ჰუმუსით და მინერალური ნივთიერებებით.

ხერხემლიანებს შორის, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ნიადაგნარმოქმნის პროცესებში ყველაზე დიდი მნიშვნელობა ეკუთვნის მღრღნელებს. ისინი ნიადაგის სიღრმეში თხრიან სოროებს, ურევენ და ზედაპირზე გამოაქვთ მიწის დიდი რაოდენობა. ზოგიერთი მათგანი ქმნის ნიადაგში სვლებს, რომლებიც ამოვსებული ნიადაგის ან ქანის მასით. ნიადაგურ პროფილში ამ სვლებს აქვთ მომრგვალო ფორმა და გამოიყოფიან ფერით და გამკვრივების ხარისხით.

**დედაქანები** წარმოდგენილია ყველა ტიპის ქანით: მაგმური, მეტამორფული და დანალექი.

მაგმური ანუ ამონთხეული ქანი წარმოიქმნა სილიკატური მადნისაგან (მაგმა), რომელიც გამაგრდა დედამიწის ქერქის სილრმეში (სილრმითი – ინტრუზიული ქანი) ან მაგმისგან, რომელიც ამოიფრქვა დედამიწის ზედაპირზე (ამოფრქვეული ქანი – ეფუზიური). ქანს აქვს კრისტალური ან ფარულკრისტალური, ძირითადად მკვრივი აგებულება. ამიტომ, ხშირად იყენებენ სხვა სახელწოდებას, ესაა მასიურ-კრისტალური (გრანიტი, პეგმატიტი, დუნიტი და სხვ.). მაგმური ქანი

**ლითოლოგიის იერარქიული კლასიფიკაცია**

კლასი	ჯგუფი	ტიპი
მაგმურ ქანები	მუვა მაგმური	დიორიტი
		გრანი-დიორიტი
		კვარც-დიორიტი
		რიოლიტი (ლიპარიტი)
	საშუალო მაგ-მური	ანდეზიტი, ტრაქიტი, ფონოლიტი
		სიენიტი
		გაბრო
	ფუძე მაგმური	ბაზალტი
		დოლერიტი
	ულტრაფუძე მაგმური	პერიდოტიტი
		პიროქსენიტი
		სერპენტინი, რკინის მადანი
	პიროკლასტი-კური	ტუფი, ტუფიტი
		ვულკანური წილა/ბრექჩია
		ვულკანური ფერფლი
		იგნიმბრიტი
მეტამორფულ ქანები	მუვა მეტა-მორფული	კვარციტი
		გნეისი, მიგმატიტი
		ფიქალი, ფილიტი
		კრისტალური ფიქალი
	ფუძე მეტა-მორფული	ფიქალი, ფილიტი (მწვენ) ფიქალი
		გნეისი Fe-Mn მინერალებით გამ-დიდრებული
		მეტამორფული კირქვა (მარმარილო)
		ამფიბოლიტი
		ეკლოგიტი
	ულტრაფუძე მეტამორფული	სერპენტინიტი, მწვანე ფიქლები

ქანალები ენერგეტიკული ჯ (სუბსიდიური)	კლასტური ნაფენევი	კონგლომერატი, ბრექჩია
		ქვიშაქვა, გრაუვაკა, არკოზი
		ალევრიტი, არგილიტი
		თიხოვანი ფიქალი
რკინის მადანი		
კარბონატული, ორგანული	კირქვა, სხვა კარბონატული ქანები მერგელი და სხვა შერეული დანა- ლექი ქანები ნახშირები, ბითუმები და მსგავსი ქანები	კირქვა, სხვა კარბონატული ქანები
		მერგელი და სხვა შერეული დანა- ლექი ქანები
		ნახშირები, ბითუმები და მსგავსი ქანები
		ევაპორიტები
ქანალები ენერგეტიკული ჯ (აუსაფენის სუბსიდიური)	გამოფიტვის ნარჩენი პრო- დუქტები	ბოქსიტი, ლატერიტი
		ქვიშა, ხრეში
	ალუმინიური	თიხა, ლექი, თიხნარი, ქვიშა
		ქვიშა, ლექი, თიხა
	ტბური ზღვიური, დელტური	ქვიშა, ლექი, თიხა
		ფერდობების ნაფენები ლახარი (ტალახის ნაფენები)
	კოლუვი	ლიოსი
		ქვიშა
	ეოლური	მორენა
		ფლუვიგლაციალური ქვიშები
		ფლუვიგლაციალური ქვამრგვალები
	კრიოგენური	პერიგლაციალური ნატეხი ქანები
		პერიგლაციალური სოლიფლუქ- ციალური შრე

	ორგანული	მაღლითი ტორფი დაბლითი ტორფი ანტროპოგენური/სამრეწველო ნარჩენები/
ტექნიკური გენერი	გადაადგილე- ბული ბუნე- ბრივი მასალე- ბი	
კულტურული ტექნიკური	ნაფენები გენეზისის დაზუსტების გარეშე	თიხა თიხნარი, ლექი ქვიშა ხრეშიაი ქვიშა ხრეში, ლორლი

ლითოსფეროს ქანის საერთო მასის 95 % შეადგენს, მაგრამ იშვიათად გვევლინება ნიადაგნარმომქმნელ ქანად, ძირითადად მთიან ოლქებში.

მეტამორფული ქანი – მასიურ-კრისტალური ქანია, რომელიც წარმოიქმნა მაგმური ქანის გარდაქმნის შედეგად (თიხაფიქალი, გნეისი და სხვ.). ნიადაგნარმომქმნაში მისი მნიშვნელობა ასევე მცირეა.

დედამიწის ზედაპირის ძირითადი ნაწილი დაფარულია დანალექი ქანით, ანუ მასიურ-კრისტალური ქანის გამოფიტვის პროდუქტების ნაფენით ან სხვადასხვა ორგანიზმის ნარჩენით.




ମାଧ୍ୟମିକ ପାଇଁ



ଶାହୀଲ୍ପିଳ



გაბრო



გრანიტი



გრანიტოიდები დიაბაზის დაკუებით

## გეოთამორფული ქანები



მარმარილო



თიხაფიქალი

## დანალექი ქანები



კირქვა



ქვიშაქვა

**რელიეფის**, როგორც ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორის დახასიათება, ემყარება მისი გენეზისის (ტექტონიკური, სუფოზიული, მყინვარულ-აკუმულაციური, მყინვარულ-ეროზიული, ეოლური და ა.შ.) ფორმების (გეომორფოლოგია) შესწავლას.



ქვეყანაში კარგად არის გამოხატული რელიეფის ფორმის სამივე ჯგუფი: მაკრორელიეფი, მეზორელიეფო და მიკრორელიეფი.

მაკრორელიეფს მიეკუთვნება მთავარი და მცირე კავკა-  
სიონი, მესხეთის პლატო, კოლხეთის დაბლობი და სხვ.

მეზორელიეფს მიეკუთვნება რელიეფის საშუალო ფორმები: ბექობები, გორაკები, ღარტაფები, ხეობები, ტერასები და მისი ელემენტები – ბრტყელი მონაკვეთები, სხვადასხვა დახრილობის ფერდობები.

მიკრორელიფის ქვეშ იგულისხმება რელიეფის წვრილი ფორმები, რომლებიც იკავებენ უმნიშვნელო ფართობებს (რამდენიმე კვადრატული დეციმტრიდან რამდენიმე ასეულ კვადრატულ მეტრამდე), ფარდობითი სიმაღლეების მერყეობით ერთი მეტრის ფარგლებში. მათ რიცხვს მიეკუთვნება ბორცვი, დადაბლება, რომლებიც იქმნება რელიეფის სწორ ზედაპირზე ჩანევის, მზრალობის დეფორმაციებისა და სხვა მიზეზებით.



## მაკრორელიგუფი – მცირე კავკასიონი

ფურთოდ არის განვითარებული რელიეფის ფერდობითი ფორმები, რომლებსაც ახასიათებენ დახრილობით, ფორმებითა და ექსპოზიციით.

რელიეფის მნიშვნელობა ნიადაგების ფორმირებასა და ნიადაგური საფარის განვითარებაში არსებითი და მრავალ-ფეროვანია.


რელიეფი არის მზის რადიაციისა და ნალექების განაწილების მთავარი ფაქტორი ფერდობის ექსპოზიციისა და დახრილობის მიხედვით.

რელიეფში მდგომარეობისა და ნალექების გადანაწილების მიხედვით გამოყოფენ ნიადაგების ჯგუფებს, რომლებსაც განმარტავენ, როგორც დატენიანების რიგებს.

ავტომორფული ნიადაგები ფორმირდებიან სწორ ზედა-პირზე და ფერდობზე ზედაპირული წყლების თავისუფალი ჩამონადენის პირობებში, ღრმად განლაგებული გრუნტის წყლებით.

ნახევრადჰიდრომორფული ნიადაგები ფორმირდებიან ზედაპირული წყლების ხანმოკლე შეგუბებისას და გრუნტის წყლების განლაგებით 3-6 მეტრის სიღრმეზე.

ჰიდრომორფული ნიადაგები ფორმირდება ზედაპირული წყლის ხანგრძლივი შეგუბებისას და გრუნტის წყლის განლაგებით 3 მეტრზე უფრო ახლოს.



### რელიეფის მნიშვნელობა ნიადაგნარმოქმნის პროდუქტების გადანაწილებაში

**ქვეყნის ასაკი** უშუალოდ უკავშირდება თანამედროვე რელიეფს, რომლის ჩამოყალიბების პროცესი დაიწყო ოლიგოცენის ხანაში (საშუალოდ 25-35 მლნ წლის წინანდელი დრო), პირინეული მთათანარმომქმნელი ტექტონიკური მოძრაობების გავლენით. იმ დროს, საქართველოს მთათაშორისი ბარის დიდი ნაწილი და მასთან მიმდებარე კავკასიონის და მცირე კავკასიონის ქედების წინამთების ზოლი, ჯერ ხადუ-მის, შემდეგ – მაიკოპის ზღვებით იყო დაფარული.

პალეოგენში წარმოქმნილი დანალექი ქანების გრანულომეტრული შედგენილობის საფუძველზე, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხმელეთის მაქსიმალური სიმაღლე საქა-

რთველოს ტერიტორიაზე რამდენიმე ასეულ მეტრს არ აღემატებოდა. მომდევნო ეტაპზე (მიოცენი – საშუალოდ 6-20 მლნ წლის წინანდელი დრო) აღმავალი მთათანარმომქნელი ტექტონიკური მოძრაობის ინტენსივობა ძლიერდება. შესაბამისად, იზრდება ხმელეთის სიმაღლე და ფართობი, ზღვით დაფარული ტერიტორიის ფართობი კი მცირდება. შეუამიოცენში (12-15 მლნ წლის წინ) ლიხის ქედის და მასთან მიმდებარე ტერიტორიების აღზევების შედეგად მყარდება სახმელეთო კავშირი კავკასიონისა და აჭარა-თრიალეთის ქედებს შორის, რის გამოც მთათაშორის ბარში მდებარე ზღვა მტკვრისა და რიონის უბეებად გაიყო. აღმავალი ტექტონიკური მოძრაობების გავლენით, ზღვის აღნიშნული უბეები ნალექებით ივსება და უკან იხევს. მიოცენის ხანის ბოლოს (6-8 მლნ წლის წინ) მტკვრისა და რიონის უბეების გავრცელების დიდ ნაწილზე კონტინენტური რეჟიმი მყარდება.

პლიოცენის ხანაში (2-6 მლნ წლის წინ) გრძელდება კავკასიონისა და აჭარა-თრიალეთის ქედების ტექტონიკური აღზევება. მთათაშორის ბარში კი, აღნიშნული ქედებიდან მდინარეების მიერ გამოყოფილი მსხვილფრაქციული მასალა აკუმულირდება. კავკასიონისა და აჭარა-თრიალეთის ქედების აბსოლუტურმა სიმაღლემ 1500-2000 მ მიაღწია. ზედა პლიოცენში (1,5-2,5 მლნ წლის წინ) აჭარა-გურიის, კოლხეთის დაბლობისა და აფხაზეთის ზღვისპირა ზოლში, ზღვის თანამედროვე სანაპირო ხაზთან 3-20 კმ მანძილზე შექრილი იყო ზღვა. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს მთათაშორისი ბარის უდიდესი ნაწილი წარმოადგენდა კონტინენტური ნალექების დაგროვების არეს. გამონაკლისია ივრის ზეგანი და ქვემო ქართლის ვაკე, რომელთა ფიზიკურ-გეოგრაფიული განვითარება კონტინენტალური და ზღვიური რეჟიმების მორიგეობის ფონზე მიმდინარეობდა. გეოლოგიური თვალსაზრისით შედარებით ხანმოკლე დროის მანძილზე ივრისა და ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი აღჩაგილური და

აფშერონული ზღვების უბებს ჰქონდა დაკავებული (აღჩა-გილის უბის წვერი ქ. თბილისის მდებარეობის ადგილამდე აღწევდა). ზედა პლიოცენში მთათანარმოქმნის პროცესის შედეგად აღზევდა კვერნაკი, საგურამო, გომბორის ქედები და იალლუჯას სერი. ზედა პლიოცენში, სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის საზღვრებში, ტექტონიკური პროცესების გავლენით წარმოქმნილი სილრმითი რღვევების გასწვრივ, იწყება ეფუზიური ვულკანიზმის ინტენსიური განვითარება. ეს პროცესი მეოთხეულ პერიოდში გაგრძელდა, რამაც, საბოლოო ჯამში, განაპირობა ამ რეგიონის ძირითადი გეომორფოლოგიური თავისებურებების ჩამოყალიბება.

მეოთხეულ პერიოდში (უკანასკნელი 0,6-1 მლნ წელი) გრძელდებოდა საქართველოს მთიანი მხარეების აღზევების პროცესი. აღნიშნული პერიოდის ბოლოს, მთების მაქსიმალურმა სიმაღლემ 2000-5000 მ მიაღწია. მთათაშორისი ბარის დიდ ნაწილზე აღინიშნებოდა აბსოლუტური და შეფარდებითი ხასიათის ტექტონიკური დაძირვის პროცესები. მთათა სისტემების აღზევების საერთო ფონზე ეროზიულ-დენუდაციური პროცესები ინტენსიურად განვითარდა, მდინარეული ხეობები, ტექტონიკურ-ეროზიული, ეროზიულ-აკუმულაციური მთათაშორისი ქვაბულები ჩამოყალიბებდა, გამოვლინდა ახალგაზრდა ვულკანიზმი, განვითარდა გამყინვარება ზღვის დონიდან 1200-1500 მ-ზე მაღლა და ა. შ.


## თავი II. ძირითადი ნიადაგების დახასიათება

საქართველოს ძირითად ნიადაგებს მიეკუთვნება: წილები, ყვითელმინები, ჭაობიანი, ყვითელმინა-ენერები, ყვითელ-ყომრალები, ყომრალები, კორდიან-კარბონატული, რუხი-ყავისფერი, მდელოს-რუხი-ყავისფერი, ყავისფერი, მდელოს-ყავისფერი, შავი, შავმინები, მთა-ტყე-მდელოს, მთა-მდელოს, დამლაშებული და ალუვიური ნიადაგები.

### ნითელმინების დახასიათებელია წითელი შეფერილობა, გათიხება და ჩვეულებრივ მძლავრი პროფილი.

წითელმინების საერთო ფართობი შეადგენს 1,9% (130 400 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია ტენიანი სუბტროპიკული ზონის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (აჭარა, გურია, ზემო იმერეთი), აგრეთვე გვხვდება სამეგრელოსა და აფხაზეთში. წითელმინები გავრცელებულია 100-300 მეტრამდე ზღვის დონიდან.






**ჩაის პლანტაციები**

ნითელმინებს უკავია ბორცვიან-გორაკიანი რელიეფი. ნიადაგნარმომქმნელი ქანები წარმოდგენილია ფუძე ამონალ-ვარი ქანების (ძირითადში ანდეზიტების) და მათი დერივატების გამოფიტვის წითელი ფერის პროდუქტებით. გრუნტის წყლის დგომის სილრმე 8-10 მ აღწევს.

კლიმატი – ტენიანი სუბტროპიკულია. საშუალო წლიური ტემპერატურა საკმაოდ მაღალი – 13,7-15,1 °C. ყველაზე ცივი თვის – იანვრის ტემპერატურა 4,8-6,8 °C, ხოლო ყველაზე თბილისი თვის – აგვისტოს 21,9-24,5 °C. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა რვა თვეა. ნალექების წლიური რაოდენობა 1200-დან 2500 მმ-მდეა.

ბუნებრივი მცენარეულობა წარმოდგენილია შერეული სუბტროპიკული ტყით, რომელშიც გვხვდება წაბლი, კოლხური მუხა, წიფელა, რცხილა და სხვ. ეს ტყე ხასიათდება მარადმწვანე ქვეტყით. ამჟამად ამ ტყის დიდი ნაწილი გაჩენილია, გაშენებულია სუბტროპიკული კულტურები და ჩაის პლანტაციები.

ნიადაგურ პროფილს ჩვეულებრივ აქვს შემდეგი აგებულება: A-AB-BC-C.



ნითელმინის ძირითადი მაჩვენებლები

ნითელმიწები ხასიათდება მუავე რეაქციით, ამასთან pH სიდიდე უმნიშვნელოდ იცვლება პროფილის მიხედვით. ჰუმუსის შემცველობა საშუალო ან მაღალია; ჰუმუსის ტიპი ფულვატურია. შთანთქმის ტევადობა დაბალი და საშუალოა. შთანთქმულ კატიონებში, როგორც ნესი, ჭარბობს გაცვლითი ნიუბალბადი. ნითელმიწები ხასიათდება მძიმე თიხნარი, მსუბუქი, საშუალო და მძიმე თიხა მექანიკური შედგენილობით. ეს ნიადაგები გაღარიბებულია კაუმიწით და ფუძეებით და გამდიდრებულია ერთნახევარი უანგეულებით. ნიადაგის მინერალური ნაწილი ხასიათდება ფერალიტური გამოფიტვით. თიხამიწერალები წარმოდგენილია კაოლინიტით, ჰალუ-აზიტით, ჰეტიტითა და ჰიბსიტით. ნითელმიწებში სილიკატური რკინა ჭარბობს არასილიკატურზე. რკინის ცალკეული ფორმები პროფილის მიხედვით მეტ-ნაკლებად თანაბრადაა განაწილებული.

ნითელმიწების ძირითადი ელემენტარული ნიადაგწარმომქმნელი პროცესებია: ფერალიტიზაცია, გათიხება და ჰუმუსწარმოქმნა.

ნითელმიწები, ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის მიხედვით, მიეკუთვნება ნიტისოლების ნიადაგურ ჯგუფს, ნიტიკ ჰორიზონტის არსებობის გამო. მათვის დამახასიათებელია: კარგად განვითარებული, სქელი, მუქი წითელი ან მოწითალო-ყავისფერი პროფილი, მძიმე მექანიკური შედგენილობა. ნიადაგების რეაქცია მუავეა, თუმცა ორგანული ნივთიერების შემცველობასთან ერთად, pH-ის მაჩვენებლებიც საკმაოდ მერყევია. პროფილში გამოვლენილია დიაგნოსტიკური კვალიფიკატორი ქრომიკი.

საერთო აზოტის შემცველობა მაღალი, ფოსფორის – მცირეა, კალიუმის – საშუალოა. მცენარისთვის მისაწვდომი ჰიდროლიზებადი აზოტის – საკმარისია, შთანთქმული ფოსფორის – საშუალო და მაღალია, გაცვლითი კალიუმის – მცირე და საშუალოა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა კირის შეტანა. მაღალ ეფექტს იძლევა ნაკელი, ტორფ-კომპოსტები, ფოსფორიანი, აზოტიანი, მაგნიუმიანი და კომპლექსური სასუქები.


დიდი ფართობები უკავია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების და თხილის ნარგავებს; აგრეთვე მოყავთ ხეხილოვანი, ბოსტნეული, ეთერზეთოვანი, თამბაქო, ფეიხოა, კივი, დაფინა და სხვა სუბტროპიკული კულტურები. ითესება სიმინდი.

### ყვითელმიწები

**ყვითელმიწები** ხასიათდება ყვითელი შეფერილობით, გათიხებით, კოშტოვანი სტრუქტურით და ჩვეულებრივ მძლავრი პროფილით.



ყვითელმიწების საერთო ფართობი შეადგენს 4,5% (317 600 ჰა). ეს ნიადაგები ძირითადში ვრცელდება ზღვის დონი-



დან 100-მეტრიდან 500-600 მეტრამდე დასავლეთ საქართველოს ტენიან სუბტროპიკულ ზონაში - გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირეს, გალის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროცხუს, ხობის, სენაკის, მარტვილის, აბაშის და ნაკლებად ხონის, წყალტუბოს, ტყიბულისა და ვანის რაიონების გორაკ-ბორცვიან ზოლში.

ყვითელმინები ფორმირდება ტენიანი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს  $13,7-15,1^{\circ}\text{C}$ , ყველაზე ცივი თვის - იანვრის -  $3,3-6,8^{\circ}\text{C}$ , ყველაზე თბილი თვის -  $19,3-24,5^{\circ}\text{C}$ . სავეგეტაციო პერიოდი გრძელდება რვა თვეს. ნალექების წლიური რაოდენობა დიდია ( $1100 \text{ mm}$ -დან  $2500 \text{ mm}$ -მდე), მაგრამ მათი განაწილება თვეების მიხედვით არათანაბარია. ნალექების მინიმუმი აღინიშნება აპრილში, მაისსა და ივნისში. ჰაერის ფარდობითი ტენიანობა საკმაოდ მაღალია ( $80\%$ -მდე).

ყვითელმინები გავრცელებულია ძველ ზღვიურ ტერასებზე, დანაწევრებულ და მათთან მიმდებარე მთისწინებზე.




### იმერეთეს მთისწინები

ნიადაგნარმომქმნელი ქანები წარმოდგენილია მუავე და საშუალოდ მყარი ქანების (პირველ რიგში ფიქლების) გამოფიტვის პროდუქტებით. ტერასებზე ეს ნიადაგები ჩვეულებრივ ვითარდება ფხვიერ, თიხიან ქანებზე. ნიადაგნარმომქმნელი ქანები მიეკუთვნება სიალიტურ თიხებს, რომლებშიც  $SiO_2$ :  $Al_2O_3$  აღწევს 3,20; თუმცა გვხვდება ფერალიტიზირებულიც შეფარდებით  $SiO_2$ :  $Al_2O_3 < 2,50$ . ნიადანარმომქმნელი ქანები ხასიათდება ცუდი ფიზიკური თვისებებით, რაც ხელს უწყობს მათ ჩამორეცხვას და გამეწყერებას. საერთოდ ყვითელმიწების არეალი განისაზღვრება ქანების გავრცელებით.

ბუნებრივი მცენარეულობა წარმოდგენილია შერეული სუბტროპიკული ტყეებით (მუხები, ძელქვა, წაბლი, ლაფანი, წიფელა, ცაცხვი, ნეკერჩხალი და სხვ.). ამჟამად ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე ბუნებრივი მცენარეულობა განადგურებულია და შეცვლილია სასოფლო-სამეურნეო მინდვრების და პლანტაციის კულტურული მცენარეულობით.

ნიადაგურ პროფილს ჩვეულებრივ აქვს შემდეგი აგებულება:  $A_0$ -A-AB-B-BC.



### ყვითელმინის ძირითადი მაჩვენებლები

ყვითელმინების რეაქცია მუმუსის შემცველობა მერყეობს 2-დან 7%-მდე. სიღრმით ჰუმუსის შემცველობა საკმაოდ მკვეთრად მცირდება. ჰუმუსი - ფულვატურია. შთანთქმული კომპლექსი არ არის მაძლარი ფუძეებით, მაგრამ არამაძლრობის ხარისხი მნიშვნელოვნად იცვლება (4-7-დან 60-70%-მდე). მექანიკური შემადგენლობა საკმაოდ უმნიშვნელოდ იცვლება. ამორფული რკინის შემცველობა მცირეა, ხოლო არასილიკატურის – საკმაოდ მაღალი. მთლიანი ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ძირითადი ჟანგეულები არათანაბრადა განაწილებული. ლექის ფრაქციაში  $SiO_2 : R_2O_3$  შეფარდება დიდ ფარგლებში მერყეობს (1,95-2,71) და მიუთითებს როგორც ფერალიტურ, ისე სიალიტურ გამოფიტვაზე.

ყვითელმინების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმოქმნელი პროცესებია: ფერალიტიზაცია, გათიხება, ჰუმუსნარმოქმნა და გალებება.

ყვითელმინები შეიძლება გაერთიანდეს ლუვისოლების ჯგუფში არჯიკ ჰორიზონტის გამო. ამ ჯგუფის ნიადაგები გამოირჩევა ფუძეების მაღალი მაძლრობით და ისეთი ჰო-


რიზონტის არსებობით, რომელშიც შეიმჩნევა თიხის მნიშვნელოვანი აკუმულაცია. თიხის ელუვიაციას და ტექსტურულ დიფერენციაციას შეიძლება უკავშირდებოდეს საკვლევ პროფილებში არჯიკ ჰორიზონტის არსებობა, რომელიც განსხვავდება ზედა ჰორიზონტისგან ლექის შედარებით მომატებული რაოდენობით. ყვითელმიწების პროფილში აღინიშნება ფერიკ მახასიათებელი.

ნაყოფიერება - დაბალია. საერთო აზოტის შემცველობა საშუალოა, ჰიდროლიზებადი - საშუალო/მაღალი, საერთო ფოსფორის - დაბალი, შთანთქმულის - საშუალო, საერთო კალიუმის - დაბალი/საშუალო, გაცვლიათი კალიუმის - დაბალი. ეფექტურია ორგანული (ნაკელი, ტორფ-ნაკელის კომპოსტი, აგრეთვე მწვანე სასუქები) და მინერალური (ამონიუმის გვარჯილა და ფოსფორიტის ფქვილი) სასუქების ერთობლივი გამოყენება. კომპლექსური სასუქებიდან - ამოფოსი, სუპერაგრო და ნიტროამოფოსკა. კალიუმიანი სასუქები დადებით ეფექტს იძლევა თითქმის ყველა კულტურის ქვეშ გარდა ჩაისა. ძლიერ მუავე და მუავე ნიადაგებზე კარგ შედეგს იძლევა მოკირიანება.

გასაუმჯობესებელი ღონისძიებების გატარების შემდეგ, ნიადაგების გამოყენება მიზანშეწონილია თამბაქოს, სიმინდის, ეთერზეთოვანი და ბოსნტეული კულტურების მოსაყვანად. ჩაისა და ციტრუსოვანი კულტურების, ტუნგოს, ვენახის, კივის, ფეიხოა, დაფნის, ხეხილის სამხრეთის ჯიშების გასაშენებლად, რომლებიც გამოირჩევან მაღალი გემური თვისებებით.

## შაობიანი ნიადაგები

**ჭაობიანი ნიადაგებისთვის** დამახასიათებელია მძიმე მექანიკური შედგენილობა, გალებების ნიშნები და მძლავრი პროფილი.



ჭაობიანი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს დაახლოებით 2,9% (130 471ჰ). ეს ნიადაგები ძირითადად გავრცელებულია კოლხეთის დაბლობზე, აგრეთვე აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში.

ჭაობიან ნიადაგებს უკავია დელტურ-აკუმულაციური ვაკეთა ტიპის დაბლობი, რომელიც ამოვსებულია ალუვიურ-ტერიგენული მასალით, რომლის შემადგენლობაში მონაწილეობს კავკასიონისა და ამიერკავკასიის სამხრეთი მთიანეთის ამგები ქანების გამოფიტვის პროდუქტები. ნაფენები უმეტესად კარბონატულია, ზედა ფენებში თიხის სიჭარბით.

კლიმატი თბილია, ტენიანი და რბილი. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს  $13,7-14,4^{\circ}\text{C}$ . ყველაზე ცივი თვის იანვრის ტემპერატურაა  $3,6-4,6^{\circ}\text{C}$ , ხოლო ყველაზე თბილი თვის-აგვისტოს  $22,4-23,2^{\circ}\text{C}$ . სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა რვა თვეა. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 1157-1757 მმ. ნალექების მინიმუმი მოდის




## პალიასტომის ტბის სანაპირო

გაზაფხულზე, ხოლო მაქსიმუმი-შემოდგომასა და ზამთარში. საშუალო ნლიური ფარდობითი ტენიანობა აღნევს 71-82%.

ბუნებრივი მცენარეულობის გაბატონებული ტიპია-ბარის ტყეები, ხოლო თანმხლები-წყლოვან-ჭაობიანი მცენარეულობა. ბარის ტყეები წარმოდგენილია თხმელით. მინარევის სახით გვხვდება იმერეთის მუხა, იფანი, რცხილა, ლაფანი და სხვ. ჭაობებში გავრცელებულია ჭილი, ისლი და სხვ.

ჭაობიანი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: A(g)-B(g)-BC(g).



### ჭაობიანი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ჭაობიანი ნიადაგები ხასიათდებიან სუსტი ტუტე ან ნეიტრალური რეაქციით. ჰუმუსის შემცველობა დიდია. შთანთქმულ კატიონებში მკვეთრად ჭარბობს გაცვლითი კალციუმი. ძირითადი უანგეულები არათანაბრადაა განაწილებული, რაც მათ ალუვიურ ბუნებაზე მიუთითებს. რკინის სხვადასხვა ფორმები მომატებული რაოდენობითაა. ამორფული რკინის დაგროვება აღინიშნება პროფილის ზედა ნაწილში, დაკრისტალებული რკინა ჭარბობს პროფილის სილრმეში.

ჭაობიანი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგ-წარმომქმნელი პროცესებია: გალებება, გათიხება, ჰუმუსწარმოქმნა და ტორფწარმოქმნა.

ჭაობიანი ნიადაგები მიეკუთვნება ნიადაგის რესურსების

მსოფლიო კორელაციური ბაზის გლეისოლების ჯგუფს, პროფილში მიმდინარე აღდგენითი პროცესებისა და გამოხატული გლეიკ ფერის ნიშნით. გლეისოლების სპეციფიური, ტიპური თვისებების გამოხატულების გამო, სახელწოდებას სუფიქსად დაემატება კვალიფიკატორი ჰაპლიკი.

ჭაობიანი ნიადაგები გამოირჩევა ჰიდროლიზებადი აზოტის საშუალო შემცველობით, ღარიბია კალიუმით და ფოსფორით. მათ გასაუმჯობესებელად აუცილებელია ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების გამოყენება.

ჭაობიანი ნიადაგების ფონდი არის უზარმაზარი რეზირვი; დაშრობითი მელიორაციისა და აგროტექნიკური ღონისძიებების გატარების შემდეგ აქ თავმოყრილი ორგანული ნივთიერებების დიდი მარაგი. ჭაობიდან ამოლებული ტორფი გამოიყენება მაღალხარისხოვანი ორგანული სასუქების და კომპოსტების დასამზადებლად, პირუტყვის საფენად, ტორფ-ნაკელის სასუქის დასამზადებლად. კომპოსტირებისათვის ტორფს ამატებენ კირს, ფოსფორიტის ფქვილს, ხსნად მინერალურ სასუქებს, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს (ნაკელს, ფერებს და სხვ.).

დაბლობის ჭაობი სავარგულის ამოშრობის შემდეგ შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული სახნავად, სათიბად და საძოვრად.

## ყვითელმინა-ენერი ნიადაგებისთვის

ყვითელმინა-ენერი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია მკვეთრად დიფერენცირებული პროფილი, კარგად გამოხატული ელუვიური ჰორიზონტი და ყვითელ-ყომრალი ილუვიური ჰორიზონტი.


ყვითელმინა-ენერების საერთო ფართობი 2% შეადგენს (137 600 ჰა). ეს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სუბტროპიკულ ზონაში ზღვის დონიდან 30-დან 200 მ-მდე, ძირითადად, კოლხეთის



დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებში, აფხაზეთში, სამეგრელოსა და შედარებით ნაკლებად იმერეთში. ამ ნიადაგების საკმაოდ დიდი მასივები გვხვდება მდინარეების კოდორის, ენგურის, ხობის, რიონის, ყვირილას და სხვ. ძველ ტერასებზე.

ყვითელმიწა-ენერები ფორმირდება, ძირითადად, ძველ ზღვიურ ტერასებზე. შედარებით მაღალი ჰიფსომეტრული ზოლი დანაწევრებულია და დრენირებული; ტერასების დაბალი ნაწილი ხასიათდება ნაკლები წყალწრეტით. ნიადაგნარმომქმნელი ქანები წარმოდგენილია თიხნარი და თიხა ნაფენებით, რომლებიც ფარავენ ქვამრგვალებს.

კლიმატი არის ტენიანი, სუბტროპიკული. ზამთარი თბილია, იანვრის საშუალო ტემპერატურაა  $4,4-6,8^{\circ}\text{C}$ ; ზაფხული ცხელია, ივლისის საშუალო ტემპერატურაა  $22,5-24,5^{\circ}\text{C}$ . საშუალო წლიური ტემპერატურა მერყეობს  $14-19^{\circ}\text{C}$  ფარგლებში. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $4000$ -დან  $4500^{\circ}\text{C}$ -მდეა.




კოლხეთის დაბლობი

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა არის რვა თვე. ნალექების რაოდენობა საკმაოდ მაღალია – 1500 მმ-მდე. ზაფხულსა და შემოდგომაზე ფარდობითი ტენიანობა აღწევს 90%, ხოლო მინიმალურ სიდიდეებს – 67-70% – გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

ამჟამად ბუნებრივი მცენარეული საფარი დარღვეულია გაჩეხვის და ინტენსიური ძოვების შედეგად. ამ ზონაში გავრცელებული კოლხეთის ტიპის პოლიდომინანტური ტყეები წარმოდგენილი იყო მერქნიანი ხეებით (მუხა, ძელქვა, წაბლი, ხურმა, რცხილა, იფანი, ლაფანი) მხვიარა ბუჩქებით (ეკალიჭი, კატაბარდა) და მარადმწვანე ქვეტყით (ბზა, წყავი, დეკა). ამ ტყის მასივების ფართობები ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით: ჩაი, ციტრუსები, თამბაქო, სიმინდი. კოლხეთის ტყეები შემორჩენილია ფრაგმენტური წაკვეთების სახით.

ყვითელმინა-ენერი ნიადაგების პროფილს აქვა შემდეგი შენება: A-A<sub>1</sub>A<sub>2</sub>-A<sub>2</sub>-B-BC.



ყვითელმინა-ენერი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ყვითელმინა-ენერი ნიადაგები ხასიათდება მუავე რეა-

ქციით, ყველაზე მაღალი მუავიანობით გამოირჩევა ელუ-ვიური ჰორიზონტები, სიღრმით აღინიშნება მუავიანობის შემცირების ტენდენცია. ჰუმუსის შემცველობა მცირე ან სა-შუალოა. ნიადაგები ღრმად ჰუმუსირებულია. ჰუმუსის ტიპი ფულვატურია, შთანთქმის ტევადობა დაბალი. ნიადაგები ფულებებით არამაძლარია. მექანიკური შედგენილობის მიხედვით ნიადაგები თიხნარებსა და თიხებს მიეკუთვნება. ელუ-ვიური ჰორიზონტები გაღრიბებულია წვრილი ფრაქციებით. ამ ჰორიზონტებში აღინიშნება კაჟმინის დაგროვება და ერთნახევარი უანგების შემცირება. სიღრმეში, ილუვიურ ჰორიზონტში პირიქით, კაჟმინის შემცველობა მცირდება და ერთნახევარი უანგები იზრდება. ნიადაგის მინერალური ნაწილი ხასიათდება აღიტური გამოფიტვით. ამ ნიადაგების ერთ-ერთი დიაგნოსტიკური ნიშანია ორტშტეინიანი ჰორიზონტის არსებობა, რომლის წარმოქმნაში მონაწილეობს არა მარტო ზედა ჰორიზონტებიდან გამორეცხილი ერთნახევარი უანგეულები, არამედ რკინით გამდიდრებული ინფილტრაციული წყალი; მასში არსებული რკინის ნაერთების ხარჯზე ხდება ილუვიური ჰორიზონტის რკინით გამდიდრება და მძლავრი ორტშტეინიანი ჰორიზონტის ჩამოყალიბება. თიხამინერალებში ჭარბობს კაოლინიტი, ქლორიტები, ჰალიტიტი. ყვითელმინა-ენერ ნიადაგებში არასილიკატური რკინის შემცველობა ჭარბობს სილიკატურს.

ყვითელმინა-ენერი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: გაენერება, ლესივირება, აღიტიზაცია და გამოტუტვა.

ყვითელმინა-ენერი ნიადაგები მიეკუთვნება ნიადაგის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის აკრისოლების ჯგუფს, არჯიკ ჰორიზონტის არსებობის გამო. ნიადაგებში გამოვლენილია დიაგნოსტიკური კვალიფიკატორი გლეიკი.

ბუნებრივი ნაყოფიერება დაბალია და ფიზიკური თვისებები არახელსაყრელია ორშტეინის ჰორიზონტის არსებობით.

ამ ნიადაგების გაკულტურების მიზნით აწარმოებენ წყლის საწრეტი არხების მოწყობას, ღრმად დამუშავებას და ორგენის ფენის გაფხვიერებას საპლანტაციო გუთნით, რაც ხელს უწყობს ფართობიდან ზედმეტი წყლის მოცილებას. მუსკოვიანობის გასაანეიტრალებლად იყენებენ კირს.

სიმინდის, თხილის, ხურმის, ბოსტნეული კულტურების ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების, ვაზის, დაფნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება, მათი ნორმების, დოზების და შეტანის ვადების ზუსტი დაცვა. მუსკოვიანობისადმი მგრძნობიარე კულტურები აუცილებლად საჭიროებს მოკირიანებას. მინერალური სასუქებიდან განსაკუთრებით მაღალ ეფექტს იძლევა აზოტიანი სასუქები, სუსტად გაკულტურებულ ნიადაგებზე ფოსფორიანი და კომპლექსური სასუქები. მსუბუქ ნიადაგებზე კალიუმის და მაგნიუმის შემცველი სასუქები.

### ყვითელ-ყომრალი ნიადაგები

ყვითელ-ყომრალი ნიადაგების ძირითადი დიაგნოსტიკური მაჩვენებლებია: პრაქტიკულად მკვდარი საფარის უქონლობა, კარგად გამოხატული ჰემისოვანი და ილუვიური ჰორიზონტი, ალიტური გამოფიტვა, რკინით გამდიდრება.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 1,5% (106 000 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, სუბტროპიკული სარტყლის ყვითელმიწა, ნითელმიწა და ყომრალ ნიადაგებს შორის, ზღვის დონიდან 400-500 მ-დან 800-1000 მ-დე.

ყვითელ-ყომრალ ნიადაგებს უკავია ეროზიულ-დენუდაციური ტიპის რელიეფი. დედაქანები წარმოდგენილია პორფირიტული წყების, ნეოეფუზივების (ანდეზიტი, ანდეზიტ-ბაზალტი) ძველი, დენუდაციური ქერქითა და მათი დერივატებით.



კლიმატი სუბტროპიკულ ჰემიდურია. ზამთარი თბილია, იანვრის საშუალო ტემპერატურაა  $0,7\text{--}3,2^{\circ}\text{C}$ ; ზაფხული არის თბილი, ივლისის საშუალო ტემპერატურა  $18,8\text{--}21,8^{\circ}\text{C}$ -მდეა. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა ექვსი-შვიდი თვეა. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა საკმაოდ დიდია  $1035\text{--}2108$  მმ-მდეა. თბილ პერიოდზე მოდის ნალექების ნახევარზე მეტი. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მერყეობს  $3500\text{--}4500^{\circ}\text{C}$ -მდე. დატენიანების წლიური კოეფიციენტი ერთზე მეტია.


ბუნებრივი მცენარეულობა წარმოდგენილია წაბლის ტყეებით, რომლებშიც მინარევის სახით გვხვდება კავკასიური რცხილა, ჰარტვისის მუხა, აღმოსავლეთის ნეკერჩხალი და სხვ. ამ ტყეების განმასხვავებელი ნიშანია მარადმწვანე ქვეტყის (წყავი, კავკასიური დეკა, კავკასიური მოცვი და სხვ.) ფართო გავრცელება. ყვითელ-ყომრალი ნიადაგების შედარებით მცირე ფართობები ათვისებულია, ძირითადად,



ნიფლნარი მარადმნვანე ქვეტყით

მრავალწლიანი კულტურებით: ვენახით, ხეხილით.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: A-AB-B-C.



### ყვითელ-ყომრალი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ყვითელ-ყომრალი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია მჟავე რეაქცია. ყველაზე მაღალი მჟავიანობით ჰუმუსოვანი ჰორიზონტები გამოირჩევიან, სიღრმეში აღინიშნება მჟავიანობის შემცირების ტენდენცია. ეს ნიადაგები ჰუმუსს დიდი რაოდენობით შეიცავს და მის განაწილებას არა აქვს ტყის ნიადაგებისთვის დამახასიათებელი კანონზომიერება. ჰუმუსის შემცველობა მეტად ნელა, თანდათანობით მცირდება და პროფილში, დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმემდე ვრცელდება. ნიადაგები ფუძეებით არამაძლარია. შთანთქმული წყალბადი საკმაოდ დიდი რაოდენობითაა და ზოგ შემთხვევაში მას შთანთქმის ტევადობის ნახევარზე მეტი უჭირავს, ყვითელ-ყომრალები კალციუმით და მაგნიუმით ღარიბია. მექანიკური შედგენილობით ნიადაგები მძიმე თიხნარებს მიეკუთვნებიან. მიკრონული ფრაქციის გადაადგილება პროფილში არ შეიმჩნევა ან უმნიშვნელოა. ყვითელ-ყომრალი ნიადაგების მინერალური ნაწილი ხასიათდება ფერალიტური გამოფიტვით, არასილიკატური რკინის მომატებული შემცველობით. თიხა-

მინერალებში მაღალია კაოლინიტის შემცველობა, საშუალო რაოდენობითაა ქლორიტები, მცირე რაოდენობით ალინიშნება მონტმორილონიტი და ქარსები.

კაუმინის განაწილება პროფილის მიხედვით თანაბარია, რომელთანაც კორელაციაშია ერთნახევარი ჟანგეულების მომატებული შემცველობა და თანაბარი განაწილება.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომებული პროცესებია: ფერალიტიზაცია, ჰუმუსნარმოქმნა, გამოტუტვა.

ყვითელ-ყომრალი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის ლუვისოლების ჯგუფს, არჯიკ ჰორიზონტის არსებობის გამო; ნიადაგების პროფილში აღინიშნება სტაგნიკ, მოლიჰუმიკ და ფერიკ დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები.

საკუები ელემენტების მოძრავი ფორმებიდან აზოტისა და ფოსფორის შემცველობა დაბალია, კალიუმის – საშუალოზე მაღალი ან მაღალი. ნიადაგებს ახასიათებს დაბალი ეფექტური და პოტენციალური ნაყოფიერება. ამიტომ ამ ზონაში მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურები გამოირჩევა დაბალი მოსავლიანობით.

სოფლის მეურნეობაში გამოყენება გართულებულია ზოგიერთი სავარგულის ეროზირების მაღალი დონის და დაბალი ნაყოფიერების შედეგად.

უტყეო ადგილებში სახნავი ფართობები ძირითადად სიმინდით, ვენახით, ხეხილით, თხილით, სოიათი, ბოსტნეულით და სხვა კულტუბით არის ათვისებული.

## ყომრალი ნიადაგები

**ყომრალი ნიადაგებისთვის** დამახასიათებელია პროფილის მეტ-ნაკლებად მონოტონური ყომრალი შეფერილობა და შეუანანილში მეტამორფული, გათიხებული ჰორიზონტის არსებობა.

ყომრალი ნიადაგების არეალი შეადგენს მთელი ტერიტო-



რიის 18,1 % (1 329 000 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილში. დასავლეთ საქართველოში ისინი მოქცეულია ზღვის დონიდან 800(900)-1800(2000) მ, აღმოსავლეთ საქართველოში-900 (1000)-1900 (2000) მ-ის სიმაღლის ფარგლებში.

ყომრალი ნიადაგები უმტკესად ფერდობებზეა განვითარებული, რაც განაპირობებს აუცილებელ, თავისუფალ დრენაჟს. დენუდაციის მოვლენები აღინიშნება როგორც ვერტიკალური, ისე ჰორიზონტალური მიმართულებით. რელიეფის ფორმირება, ძირითადად, წყლოვანი დენუდაციის მოვლენებითა გამოწვეული. ეროზიისა და დენუდაციის პროცესების შედეგად ალაგ-ალაგ პენეპლენირების მოვლენებსაც აქვს ადგილი. დასავლეთ საქართველოს გეოლოგიურ შენებაში წამყვანი როლი ეკუთვნის ქვიშნარებსა და თიხაფიქლებს, მერგელებს, კონგლომერატებს და სხვ. მთავარი კავკასიონის მთების შუა ზონაში საკმაოდ დიდ ადგილს იკავებენ კირქვე-



ნიფლნარი


ბი. ტერიტორიის დანარჩენ ნაწილში ჭარბობს გრანიტები, გნეისები, ქვიშნარები, ფიქლები და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთა-ტყის ზონის ფარგლებში გეოლოგიურ შენებაში მონაწილეობს ქვიშნარები, თიხაფიქლები და კირქვა-თიხიანი ფიქლები. ვულკანური წარმონაქმნები ფართოდაა გავრცელებული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

ყომრალი ნიადაგები ვითარდება წიფლნარების, მუქწიწვიანების, ფიჭვნარების, მუხნარებისა და სხვა ტყეების ქვეშ. წიფლნარები ფართობით პირველ ადგილს იკავებენ და წარმოადგენენ მცენარეულობის ძირითად ტიპს. ისინი ქმნიან ცალკე ბუნებრივ ზონას, ზღვის დონიდან 1000-1100 მ-დან 2000-2100 მ-დე. ეს ზონა არ არის მესხეთ-ჯავახეთში. დასავლეთ საქართველოს 1400-1500 მ-ის ზემოთ წიფლნარებს ცვლიან მუქწიწვიანი ტყეები. მუხნარები წარმოდგენილია მუხის რამდენიმე სახეობით, რომელთაგან ყველაზე მეტად გავრცელებულია ქართული მუხა. ის ქმნის ტყის მასივებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ზღვის დონიდან 400 (500) მ-დან 1000-1100 მ-დე.

კლიმატი თბილი და ზომიერად ტენიანია. ივლისის ტემპერატურა შეადგენს  $16,8-21,8^{\circ}\text{C}$ , იანვრის კი  $-2,1-7,6^{\circ}\text{C}$ . საშუალო წლიური ტემპერატურაა  $3,8-10,9^{\circ}\text{C}$ . ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 527 მმ-დან 1737 მმ-დე. ნალექების მინიმუმი აღინიშნება ზამთრის თვეებში, ხოლო მაქსიმუმი-მაის-ივნისში. დატენიანების კოეფიციენტი 1-ზე მეტია, რაც განაპირობებს ნიადაგების ტენის ჩამრეცხ რეჟიმს.

ყომრალი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: A0-A-Bm-BC-C-D.

ყომრალები ხასიათდებიან სუსტი მუავე რეაქციით, რკინის მოძრავი ფორმების მაღალი შემცველობით. ნიადაგები ზომიერად ჰუმუსიანი და ღრმად ჰუმუსირებულია, ჰუმუსის ტიპი ფულვატურია. ნიადაგები სუსტად ან საშუალოდ არამაღლარია. გაცვლით კატიონებში მკვეთრად ჭარბობს კალცი-



### ყომრალი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

უმი. შთანთქმული კატიონების ჯამი საშუალოა. ყომრალი ნიადაგები, მექანიკური შედგენილობით, უმეტესად მიეკუთვნება საშუალო და მსუბუქ, იშვიათად მძიმე თიხნარებს. მინერალური ნაწილი ფორმირდება სიალიტური ტიპის გამოფიტვით. თიხამინერალები ნარმოდგენილია ჰიდროქარსებით, მონტმორილონიტის შერეულშრიანი ნარმონაქმნით, ქლორიტითა და კაოლინიტით.

ყომრალი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგ-ნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსის დაგროვება, გათიხება, ლესივირება.

ყომრალი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის კამბისოლების ჯგუფს, კამბიკ ჰორიზონტების არსებობის გამო. ნიადაგებში ფიქსირდება მოლიჰუმიკი და ეუთრიკ დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები.

ნიადაგებს ახასიათებთ საკმაოდ მაღალი პოტენციალური ნაყოფიერება; საშუალო ან საშუალოზე მაღალი შემცველობითაა მოძრავი აზოტი, დაბალია მოძრავი ფოსფორი; მაღალია გაცვლითი კალიუმის შემცველობა. ნაყოფიერების ასამაღლებლად აუცილებელია სახნავი ფენის გაღრმავება,

ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენება, იშვიათ შემთხვევაში მოკირიანება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აზოტ-ფოსფორიანი სასუქების შეტანას და მრავალ-ნლიანი ბალახების თესვას. კალიუმის მაღალი შემცველობის გამო კალიუმიანი სასუქების გამოყენება დაბალ ეფექტს იძლევა.

საკმაოდ გავრცელებულია წყლისმიერი ეროზია. ადგილი აქვს ნიადაგისა და საკვები ელემენტების საერთო და მოძრავი ფორმების დიდი რაოდენობით დანაკარგს. აუცილებელია ეროზიის საწინააღმდეგო თესლბრუნვების შემოღება, მთლიანად ნათესი კულტურებით (სიდერატებით) მათი დაკავება.

იყენებენ მარცვლეული, ტექნიკური, ბოსტნეული კულტურების, სიმინდის და სოიას მოსაყვანად. განვითარებულია აგრეთვე მეხილეობა და მევენახეობა; საკმაოდ დიდ ფართობებზე გაშენებულია თხილის ნარგაობა. შედარებით მცირე ნაწილი გამოყენებულია სახნავად და სათიბ-საძოვრად.

### **კორდიან-კარბონატული ნიადაგებისთვის დამახასიათებელია კარგად გამოხატული ჰემუსოვანი ჰიორიზონტი და გაცვლის მაღალი ტევადობა.**

კორდიან-კარბონატული ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 4,5% (317 200 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში-აფხაზეთში, სამეგრელოში, რაჭა-ლეჩხუმისა და ზემო იმერეთში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოში-მთიულეთში, სამარიაბლოში, კახეთსა და ქართლში.


კორდიან-კარბონატული ნიადაგების გავრცელება ემთხვევა კირქვებსა და მერგელების არეალს. ისინი ძირითადად ფორმირდება ტყის ზონაში ისეთ ქანებზე, რომლებიც დიდი რაოდენობით შეიცავენ კალციუმის კარბონატებს (კირქვები, დოლომიტები, მერგელები და სხვ.) და ხასიათდებიან ჩამ-




რეცხი ან პერიოდულად ჩამრეცხი ტენის რეჟიმით. კორდ-იან-კარბონატული ნიადაგები, მთა-ტყის სარტყლის გარდა, გავრცელებულია ტენიან და მშრალ სუბტროპიკულ ზონაში, მაღალმთიანეთში.

კორდიან-კარბონატული ნიადაგები ხასიათდებიან ნეიტ-რალური ან სუსტად ტუტე რეაქციით, თიხა ან თიხნარი მექანიკური შედგენილობით, რკინის სილიკატური ფორმების სიჭარბით. აღსანიშნავია, რომ დაკრისტალებული რკინის შემცველობა აჭარბებს ამორფულ რკინას. ჰუმუსის შემცველობა ზომიერია ან მცირე. ნიადაგები ღრმად ჰუმუსირებულია, ჰუმუსის ტიპი ჰუმატურია. კარბონატების შემცველობა დიდ ფარგლებში (20-51%) მერყეობს. შთანთქმის კომპლექსი მაძლარია ფუძეებით. თიხამინერალებში ჭარბობს მონგრო-რილონიტი და ჰიდროქარსები.

კორდიან-კარბონატული ნიადაგების ძირითადი ელემენ-



**მთავარი კავკასიონის მთისწინები**



### კორდიან-კარბონატული ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსიალ-იტიზაცია, ჰუმუსნარმოქმნა და გასტრუქტურება.

კორდიან-კარბონატული ნიადაგები მიეკუთვნება ნიადა-გის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის ლეპტო-სოლების ჯგუფს. ნიადაგების პროფილში გამოვლენილია დი-აგნოსტიკური კვალიფიკატორი რენძიკი.

გამოირჩევა მაღალი ნაყოფიერებით; მოძრავი აზოტისა და ფოსფორის საშუალო, გაცვლითი კალიუმის საშუალოზე მაღალი შემცველობით. ათვისებულია ვენახის საშამპანე და სასუფრე ჯიშებით, ხეხილით, დაფნით, ციტრუსოვანი, მარცვლოვანი და ბოსტნეული კულტურებით. მცირე სისქის, ჩამორეცხილი და ხირხატიანი ნიადაგები საძოვრებად არის გამოყენებული.

კარბონატობა და ხირხატიანობა დადებით გავლენას ახ-დენს მიღებული ღვინის ხარისხზე. კალციუმი ზრდის ყურძენ-ში შაქრიანობას, აუმჯობესებს ღვინის ხარისხს; საუკეთესოა საშამპანურე ღვინოების დასამზადებლად. მზადდება სხვა-დასხვა ხარისხის სუფრის ღვინოები, არაყი და ბრენდი. სა-შამპანურე ღვინის ჯიშების ღვინის მასალას გააჩნია მაღალი მუვიანობა და ნახშირორუანგის შთანთქმის გადიდებული უნარი.


კახეთსა და ქართლში მიიღება მაღალი ხარისხის ნითე-ლი და თეთრი ღვინოები ხანგრძლივი შენახვის უნარით.

ვენახებია ღრმა ფესვთა სისტემით, ამიტომ, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა უნდა მოხდეს რაც შეიძლება ღრმად. ეფექტურია მიკროელემენტების შემცველი სასუქებით კრისტალონით, ნუტრივანიტ და ტენსოკოქტეილინით ფოთლებიდან გამოკვება. ვენახის გარდა ათვისებულია ხეხილის, მათ შორის სუბტროპიკული კულტურების ქვეშ.

### რუხი-ყავისფერი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია ზე-დაპირიდან კარბონატების არსებობა, შეუა ნაწილში კარგად გამოხატული გათიხება და შედარებით გაჭიმული ჰუმუსოვანი პროფილი.



რუხი-ყავისფერი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 5,8% (402 000 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელე-



გარევის მიდამოები

ბულია აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მარნეულის, გარდაბნისა და საგარეჯოს რაიონების ტერიტორიებზე.


რუხი-ყავისფერი ნიადაგების რელიეფი წარმოდგენილია ვაკეებით, მთისწინებითა და დაბალმთიანეთით. ნიადაგნარ-მომქმნელ ქანებს მიეკუთვნებიან სხვადასხვა გრანულომე-ტრული, მინერალური და ქიმიური შედგენილობის პროცე-ვიური, ალუვიური, ალუვიურ-დელუვიური დანალექი ქანები, რომლებიც ზოგჯერ დამლაშებულია.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან ზომიერად მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში. საშუალო წლიური ტემპერატურაა  $12-13^{\circ}\text{C}$ . სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 7 თვეს აღემატება. აქტიურ ტემპერატურა-თა ჯამი  $4000-4500^{\circ}\text{C}$  შეადგენს. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა არის  $300-500$  მმ. ნალექების მაქსიმუმი მოდის გაზაფხულსა და შემოდგომაზე. საშუალო წლიური დატენიანების კოეფიციენტი უდრის  $0,4-0,6$ .

ბუნებრივი მცენარეულობა მშრალ-სტეპურია და წარ-მოდგენილია უროიანი, ვაცინვერიანი, ავშნიანი და ნაირ-ბალახოვანი დაჯგუფებებით. ბუჩქნარი მცენარეებიდან გავრცელებულია ძეგვნარი და ჯაგრცხილნარი. ტეროტორი-ის დიდი ნაწილი ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულ-ტურებით-ხორბალი, ქერი, სიმინდი, მზესუმზირა. შედარე-ბით მცირე ფართობები უკავია მრავალწლიან ნარგავებს.

რუხი-ყავისფერი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: Aca-Bmca-Bcam-BCca.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები ხასიათდება სუსტი ტუტე ან ტუტე რეაქციით, მთელი პროფილის კარბონატულო-ბით, საკმაოდ მძლავრი და კარგად გამოხატული კარბონატ-ულ-ილუვიური ჰორიზონტების არსებობით, მთელი პროფილის მაღალი გათიხებით, ზედა ჰორიზონტების უმნიშვნელო ჰუ-მუსირებით, ფუძეებით მაძლრობით, სილიკატური რკინის



### რუხი-ყავისფერი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

სიჭარბით არასილიკატურ რკინაზე. ლექის ფრაქციაში ჭარბობს მონტმორილონიტი და ჰიდროქარსები. მცირე რაოდენობითაა კაოლინიტი და კვარცი.

რუხი-ყავისფერი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსნარმოქმნა, ჰუმუსდაგროვება, გაკარბონატება, სიალიტიზაცია.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის კასტანაზიომების ჯგუფს. ნიადაგების პროფილში გამოვლენილია ჰუმიკ და კალკარიკ დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები.

რუხი-ყავისფერი ნიადაგები ფართოდ გამოიყენება ხორბლის, ქერის, ბოსტნეულის, სიმინდის, მზესუმზირის, ბალჩეული და ხეხილოვანი კულტურების, ვაზის, ლელვის, ბრონეულის, ზეთისხილისა და სხვა სუბტროპიკული ხეხილოვანი კულტურების გასაშენებლად. ზაფხულის გვალვიან პერიოდში არასაკმარისი ტენიანობის პირობებში თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურა საჭიროებს მორწყვას.

პოტენციალური ნაყოფიერება მაღალი არ არის. ამ ნიადაგებში მოძრავი აზოტისა და ფოსფორის რაოდენობა საშუ-

ალო რაოდენობითაა, გაცვლითი კალიუმის შემცველობა მაღალი ან ძალზე მაღალია. პოტენციალური და ეფექტური ნაყოფიერების გადიდება შესაძლებელია ორგანული და აზოტ-ფოსფორიანი სასუქების გამოყენებით, სიდერატების თესვით და ჩახვნით. ყველაზე კარგი შედეგი მიიღება ორგანული და მინერალური სასუქების ერთობლივი შეტანით.

### მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია არადიფერენცირებული პროფილი, გალებების ნიშნები და ძლიერი გათიხება.



მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 3,3% (228 800 ჰა). ისინი ფორმირდებიან რუხ-ყავისფერ ნიადაგებს შორის მომატებული დატენიანების პირობებში. ეს ნიადაგები, ძირითადად, გავრცელებულია მარნეულისა და გარდაბნის რაიონებში, შედარებით



**მარნეულის მიღამოები**

მცირე ფართობებზე ვხვდებით კასპის რაიონში, საკმაოდ დიდი ფართობები უკავიათ ალაზნის ვაკეზე (ალაზნის მარჯვენა მხარე, სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი).


მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგების რელიეფი წარმოდგენილია ვაკებით, ხშირად უარყოფითი ელემენტებით. ნიადაგნარმომქმნელ ქანებს მიეკუთვნება სხვადასხვა გრანულომეტრული, მინერალური და ქიმიური შედგენილობის პროლუვიური, ალუვიური, ალუვიურ-დელუვიური დანალექი ქანები, რომლებიც ზოგჯერ დამლაშებულია.

მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგები ფორმირდებიან ზომიერად მშრალი სუბტროპიკული კლიმატის პირობებში. საშუალო წლიური ტემპერატურაა  $12-13^{\circ}\text{C}$ . სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 7 თვეს აღემატება. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $4000-4500^{\circ}\text{C}$  შეადგენს. ატმოსფერული ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა არის  $300-500$  მმ. ნალექების მაქსიმუმი მოდის გაზაფხულსა და შემოდგომაზე. საშუალო წლიური დატენიანების კოეფიციენტი უდრის  $0,4-0,6$ .

ბუნებრივი მცენარეულობა მშრალ-სტეპურია. მდელოს ნიადაგნარმოქმნის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ანთროპოგენური ფაქტორი (ირიგაციის გავლენა).

ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: Aca(g)-Bcat(g)-BCca(g).

მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგები ხასიათდება სუსტად ტუტე ან ტუტე რეაქციით, ჰუმუსის დაბალი შემცველობით, ღრმა ჰუმუსირებით, ჰუმუსის ფულვატურ-ჰუმატური ტიპით. კარბონატები ალინიშნება ზედაპირიდან და სილრმეში მათი რაოდენობა მატულობს. შთანთქმის ტევადობა მაღალია, შთანთქმულ კომპლექსში ჭარბობს გაცვლითი კალციუმი. ნიადაგები მიეკუთვნებიან მსუბუქ და საშუალო თიხებს. პროფილის შუა და ქვედა ნაწილში ალინიშნება გალებება. არასილიკატური რკინის შემცველობა მნიშვნელოვანია,



### მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ამორფული რკინის რაოდენობა კი მცირე. თიხამინერალების შედგენილობაში მკვეთრად ჭარბობს მონტმორილონიტი, მცირე რაოდენობით აღინიშნება ქლორიტი.

მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსწარმოქმნა, ჰუმუსდაგროვება, გაკარბონატება, სიალიტიზაცია და გალებება.

მდელოს-რუხი-ყავისფერი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის კასტანაზიომების ჯგუფს. ნიადაგების პროფილში გამოვლენილია გლეიკ, კალკარიკ, ვერტიკ დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები.

სარწყავ პირობებში შესაძლებელია მრავალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის – ხორბლის, ქერის, შვრის, სიმინდის, მზესუმზირის მოყვანა. დაბალი ნაყოფიერების ნიადაგები გამოიყენება სათიბ-საძოვრად და მრავალწლიანი ბალახების დასათესად.

ფიზიკური თვისებების გაუარესებას ხელი შეუწყო მრავალი წლის განმავლობაში მოღვარვით მორწყვამ და რწყვის

რეზიმის დარღვევამ; საჭიროა წყლისა და აერაციის რეზიმის დარეგულირება. დამლაშების მომატების შემთხვევაში აუცილებელია გოგირდის ან თაბაშირის შეტანა და ფიზიოლოგიურად მუავე სასუქების – ამონიუმის სულფატის ან მარტივი სუპერფოსფატის სისტემატური გამოყენება. ზედმეტი ტენის მოსაცილებლად საჭიროა სადრენაჟო სისტემის მოწყობა. გამოყენება ფიზიკური თვისებების, წყლისა და ჰაერის რეზიმის გაუმჯობესების, ორგანული სასუქების და გამაფხვიერებელი მასალების დამატების გარეშე არ შეიძლება. ამ ნიადაგებში დაბალია ჰიდროლიზური აზოტის, მოძრავი ფოსფორის შემცველობა. გაცვლითი კალიუმის რაოდენობა მაღალია ან ძალზე მაღალია. ნიადაგები საჭიროებს ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენებას და სიდერატების თესვას. განსაკუთრებით მაღალ ეფექტს იძლევა აზოტ-ფოსფორიანი სასუქები.

## ყავისფერი ნიადაგებისთვის

**ყავისფერი ნიადაგებისთვის** დამახასიათებელია მკვე-  
თრად გამოხატული პროფილის ფერადი დიფერენციაცია,  
არაჩამრეცხი წყლის რეზიმის პირობებში ნიადაგური სისქის  
ნათლად გამოხატული გათიხების პროცესი. მათი ძირითადი  
დიაგნოსტიკური მაჩვენებელია მეტამორფული გათიხებული  
ჰორიზონტის არსებობა და პროფილის გაკარბონატება.

ყავისფერი ნიადაგების საერთო ფართობი საქართვე-  
ლოში შეადგენს 4,8% (311 600 ჰა). ყავისფერი ნიადაგები  
გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს სუბტროპი-  
კული ტყე-სტეპის ზონაში, ძირითადად, ზღვის დონიდან  
500(700)-900(1300) მ ფარგლებში. მათი ქვედა საზღვარი ესა-  
ზღვრება მდელოს-ყავისფერ, რუხ-ყავისფერ და შავ (ბარის  
შავმინები), ხოლო ზედა – ყომრალ ნიადაგებს.


ყავისფერი ნიადაგები ფორმირდება მშრალი სუბტროპი-  
კული კლიმატის პირობებში – თბილი, თითქმის უთოვლო



ზამთრით და ცხელი, მშრალი ზაფხულით. ივლისის საშუალო ტემპერატურაა  $20,0-23,5^{\circ}\text{C}$ , იანვრის კი –  $-2,6$ -დან  $0,6^{\circ}\text{C}$ -მდე. საშუალო წლიური ტემპერატურაა  $9,3-12,5^{\circ}\text{C}$ . სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შვიდ თვემდეა. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს  $300$ -დან  $800$  მმ-მდე. დატენანების კოეფიციენტი უდრის  $0,5-0,8$ . ამის შედეგად ნიადაგის ტენის რეჟიმის ტიპი იმპერმაციდულია, ე.ი. აორ-თქლება აჭარბებს მოსული ნალექების რაოდენობას.

რელიეფის უდიდესი ნაწილის ფორმირება დაკავშირებულია ეროზიულ პროცესებთან. ზოგიერთ ადგილას რელიეფი წარმოდგენილია მეწყრული ფორმებით. ბევრ ადგილას ფერდობებს კვეთს მრავალრიცხოვანი საკმაოდ დიდი სიგანის ხევები.

რეგიონის ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილის გეოლოგიურ აგებულებაში, ძირითადად, მონაწილეობენ პალეოგენიდან - ქვიშა-თიხოვანი და ვულკანოგენური ფორმაციები, ხოლო



**არიდული მეჩერი**

ნეოგენიდან – კონგლომერატები, ქვიშაქვები და კირქვები. დამრეცი ფერდობები და შლეიფები კი ალუვიონებით არის წარმოდგენილი. აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი აგებულია ნეოგენური წყებით - ქვიშაქვებით, ფომფლო კონგლომერატებით და აგრეთვე კირქვებით (მერგელები) და ტერიგენული (გალიოსებული) დანალექებით. რეგიონის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მონაწილეობენ ნეოგენური ვულკანოგენური ქანები – პორფირიტული ტუფები, ტუფო-ბრექჩიები, ლავური ღვარები, ზედაცარცული კირქვები, პალეოცენისა და ოლიგოცენის ტერიგენული ქვიშაქვები და თიხები.

ყავისფერი ნიადაგების არეალის კლიმატის თავისებურება, ქანების ორვალენტიანი კატიონების სიმდიდრის გამო, ხელს უწყობს კარბონატებით მდიდარი გამოფიტის ქერქის წარმოქმნას.


ყავისფერი ნიადაგების არეალის დიდი ნაწილი ათვისებულია და არსებული ლანდშაფტები თითქმის მთლიანად ანთროპოგენული ხასიათისაა.

მცენარეულობა წარმოდგენილია არიდული მეჩერებით და მუხნარებით. არიდული მეჩერები ანუ ნათელი ტყეები მიეკუთვნება სუბტროპიკული კლიმატის სავანებს. მათ შემადგენლობაში ძირითადად მონაწილეობენ ფოთლოვანი ჯიშები: კევის ხე, ბერყენა, აკაკი. მუხნარების შემადგენლობაში ქართული მუხის გარდა შედიან ჩვეულებრივი იფანი, მინდვრის ნეკერჩხალი, პანტა, რცხილა, ჯაგრცხილა, თელა, ქორაფი, ხოლო ბუჩქნარებიდან – კუნელი, ზღმარტლი, შინდანწლა, შვინდი, ჭანჭყატი.

ნიადაგურ პროფილის აგებულებაა: A-AB-Bm<sub>(Ca)</sub>-BC<sub>ca</sub>-CD<sub>ca</sub>.

ყავისფერი ნიადაგები ხასიათდებიან ჰუმუსოვანი პორიზონტის მუქი-ყომრალი ან ყავისფერი შეფერილობით, წვრილ-კოშტოვანი ან მარცვლოვანი სტრუქტურით, სუსტი

ტუტე ან ნეიტრალური რეაქციით, ჰუმუსის საშუალო შემცველობით, ღრმა ჰუმუსირებით, ჰუმუსის ჰუმატური ტიპით, გაკარბონატებით, გათიხებით, შთანთქმის მნიშვნელოვანი სიდიდეებით, ნიადაგისა და ლექის ფრაქციის მთლიანი ქიმიური შემადგენლობის სტაბილურობით, სილიკატური რკინის სიჭარბით არასილიკატურ რკინაზე, თიხამინერალებში მონტ-მორილონიტის და ჰიდროქარსების სიჭარბით.



### ყავისფერი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ყავისფერი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომებრივი პროცესებია: ჰუმუსნარმოქმნა, ჰუმუსდაგროვება, გაკარბონატება და სიალიტიზაცია.

ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის მიხედვით იდენტიფიცირებულია კამბისოლებთან. მათ გააჩნიათ კამბიკ ვ. ჰორიზონტები, რომელთა დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია: მძიმე გრანულომეტრია, თიხის და ლექის მომატებული შემცველობა ზედა და ქვედა ჰორიზონტების შედარებით, კარბონატების ნაკლები რაოდენობა ქვეჰორიზონტებისაგან განსხვავებით. ნიადაგების პროფილის შენებაში მონანილეობს მუქი ფერის მოლიკ ჰორიზონტები. მათი დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია: საკმაოდ მკვეთრად გა-

მოხატული მარცვლოვან-კოშტოვანი და კოშტოვანი სტრუქტურა, არამკვრივი აგებულება, ორგანული ნახშირბადის  $>0,6\%$  შემცველობა, ფუძეებით მაღალი მაძლრობა.

ყავისფერი ნიადაგები, შავმიწებთან ერთად, ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ ნიადაგებს მიეკუთვნება. ისინი გამოირჩევა პიდროლიზური აზოტის დაბალი ან საშუალო, მოძრავი ფოსფორის საშუალო, გაცვლითი კალიუმის საშუალოზე მაღალი, მაღალი ან ძალზე მაღალი შემცველობით. მაღალი და ხარისხიანი მოსავლისთვის აუცილებელია ორგანული და მინერალური სასუქებით განოყიერება, სიდერატების თესვა და ერთიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება.

ამ ნიადაგებზე გაშენებულია ვენახები. ხეხილის ნარგავები მაღალხარისხიან პროდუქციას იძლევიან. მარცვლოვანი, ბოსტნეული და სხვა ტექნიკური კულტურების მაღალი და ხარისხიანი მოსავალი მიიღება. კარგად არის განვითარებული მემცენარეობა და მეცხოველეობა.

### **მდელოს-ყავისფერი ნიადაგებისთვის** დამახასიათებელია

**მდლავრი პროფილი, გალებების ნიშნები და მძიმე მექანიკური შედგენილობა.**

მდელოს-ყავისფერი ნიადაგების საერთო ფართობი შეადგენს  $1,9\%$  ( $130\ 400$  ჰა). ისინი ფორმირდება ყავისფერი ნიადაგების არეალში, მომატებული ზედაპირული, გრუნტისა და შერეული დატენიანების პირობებში. ეს ნიადაგები გავრცელებულია ქვემო და ზემო ქართლში, კახეთში (ალაზნის მარჯვენა ნაპირი) და მესხეთში.

მდელოს-ყავისფერ ნიადაგებს უკავია რელიეფის დეპრესიული ნაწილები. ნიადაგნარმომქმნელი ქანები წარმოდგენილია მძიმე მექანიკური შედგენილობის ალუვიური და დელუვიურ-პროლუვიური ნალექებით, რომელთა სილრმე




ზოგჯერ 100 მ აღწევს.

კლიმატი ზომიერად თბილია. საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს  $9,9-10,6^{\circ}\text{C}$ ; ყველაზე ცივი თვის -იანვრის ტემპერატურა  $-16^{\circ}\text{C}$ -მდე ეცემა, ხოლო ყველაზე თბილი თვის-ივლისის 21,8  $^{\circ}\text{C}$  აღწევს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა ექვსი-შვიდი თვეა. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $2800-3800\text{ }^{\circ}\text{C}$  შეადგენს. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 464-512 მმ ფარგლებში მერყეობს. დატენიანების კოეფიციენტი 0,54-0,95 შეადგენს.


ბუნებრივი მცენარეული საფარი წარმოდგენილია ჭალის ტყეებით (მუხნარები). ამჟამად ტერიტორიის დიდი ნაწილი ათვისებულია სახნავებით, ბალებითა და ვენახებით.

მდელოს-ყავისფერი ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება:  $\text{A}_1'/\text{A}_1''-\text{AB}-\text{Bca(g)}-\text{BCca(g)}$ .

მდელოს-ყავისფერი ნიადაგები ხასიათდება სუსტი ტუტე ან ტუტე რეაქციით, ღრმა ჰუმუსირებით, ჰუმუსის ფულ-



**შიდა ქართლი**



### მდელოს-ყავისფერი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ვატურ-ჰუმატური ტიპით, ზედაპირიდანვე კარბონატულობით, შთანთქმული ფუქსების დაბალი ჯამით, ძირითადი ჟანგეულების თანაბარი განაწილებით, ჰიდროქარსების სიჭარბით, სილიკატური რკინის არასილიკატურ რკინაზე მეტი შემცველობით. ნიადაგები მიეკუთვნება მსუბუქ და საშუალო თიხებს. გათიხება კარგადაა გამოხატული პროფილის შუა ნაწილში.

მდელოს-ყავისფერი ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსწარმოქმნა, ჰუმუსდაგროვება, გაკარბონატება, გამდელოება, სიალიტიზაცია და გალებება.

მდელოს-ყავისფერი ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის კამბისოლების ჯგუფს. ნიადაგებში დაფიქსირდა შემდეგი დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები: კალკარიკი-კარბონატების შემცველობა ზედაპირიდან, სულ მცირე 20-50 სმ შორის, გლეიკი – გამოხატული გლეიკ ფერის ნიშნით; ლები ე.ნ. ენდოგლეი, ნიადაგური მასის ქვედა ნაწილში, გამოწვეულია გრუნტის წყლების გავლენით და მიუთითებს აღდგენით პირობებზე. ამის შედეგად აგრეგატების ზედაპირზე კონცენტრირებულია

რკინის და მანგანუმის ოქსიდები. კირის თეთრი თვლების არსებობა, რომლებიც რბილი და ფხვიერია მშრალ მდგო-მარეობაში, მიუთითებს მეორადი გაკარბონატების დიაგნოს-ტიკურ თვისებებზე. პროფილები გამოირჩევა ჰიპერეუთ-რიკის მაჩვენებლით.

ნიადაგები ხასიათდება ჰიდროლიზური აზოტის დაბალი, მოძრავი ფოსფორის საშუალო და გაცვლითი კალიუმის მაღალი შემცველობით. ამ ნიადაგებზე წაყვანი როლი ეკუთვნის აზოტიან სასუქებს. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ორგანული სასუქების გამოყენებასა და სიდერატების თესვას.

ნიადაგები თითქმის მთლიანად არის მოხნული და ინტენსიურად გამოიყენება მიწათმოქმედებაში. აგრონომიული მაჩვენებლებით აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო ზონის ერთ-ერთ საუკეთესო ნიადაგად ითვლება ხეხილის, ხორბლის, ქერის, სიმინდის, შაქრის ჭარბლის, ბოსტნეული კულტურების, კარტოფილის, პარკოსნებისა და სხვა კულტურების მოსაყვანად. ნიადაგი ხშირად გამოირჩევა მძიმე მექანიკური შედგენილობით, გადიდებული ტენიანობით. ამიტომ მასზე გამენებული ვენახიდან მიღებული ყურძენი არ არის ისეთი მაღალი ხარისხის, როგორც ყავისფერი ნიადაგებზე მოყვანილი. მესხეთის პირობებში ამ ნიადაგებს სათიბ-საძოვრებადაც იყენებენ.

ამ ნიადაგებზე ოდითგანვე გამოიყენება მოღვარვით მორნყვა, რამაც ხელი შეუწყო წყლისმიერი ეროზიის განვითარებას და გამოიწვია ამ ნიადაგების წყალგამძლე აგრეგატების დაშლა, სტრუქტურის დარღვევა, დაწიდვა და გამკვრივება, ქერქის გაჩენა და დაბზარვა. ამ ნიადაგებს საკმაოდ დიდ ზიანს აყენებს ქარისმიერი ეროზიაც.


## შავი ნიადაგებისთვის

**შავი ნიადაგებისთვის** (ე.წ. ბარის შავმიწები) დამახა-  
სიათებელია პროფილის ზედა ნაწილის შავი შეფერილობა,  
საკმაოდ მძლავრი ჰუმუსოვანი ჰორიზონტი და შუა ნაწილის  
გათიხება.

შავი ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში  
შეადგენს 3,9% (266 800 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია  
გარე და შიგა კახეთის, ქვემო და ნაწილობრივ შუა ქართლის  
რაიონებში.



შავ ნიადაგებს უკავია აღმოსავლეთ საქართველოს  
მთათაშორისი დაბლობი ზონა, რომელიც წარმოქმნილია დე-  
ნუდაციურ-აკუმულაციური (შერეული) და საკუთრივ აკუმუ-  
ლაციურ-გენეზისური გეომორფოლოგიური ტიპებით. შავი  
ნიადაგების გავრცელების ზოლში აგრეთვე გვხვდება დახ-  
რილი ტერასები (ზღვის დონიდან 650-750 მ ფარგლებში) და  
ზეგანი-პენეპლენის ვაკე (ზღვის დონიდან 700-1000 მ შო-



შიდა ქართლი


რის). შავი ნიადაგების არეალში ფართოდაა გავრცელებული რელიეფის აკუმულაციური ტიპი, რომელიც წარმოდგენილია ამოქვაბულისა და ალუვიური ვაკეების ფორმით. ნიადაგ-წარმომქმნელი ქანები წარმოდგენილია გაჯიანი, კირითა და თაბაშირით მდიდარი თიხიანი და თიხნარი ნაფენებით, ქვი-შიან-თიხიანი ნალექებითა და კონგლომერატებით.

შავი ნიადაგები ვითარდება მშრალი სუბტროპიკების ტიპის კლიმატის პირობებში-თბილი, თითქმის უთოვლო ზამთრით და ცხელი, მშრალი ზაფხულით. ყველაზე თბილი თვის (ივლისის) ტემპერატურაა  $22-23,9^{\circ}\text{C}$ , ყველაზე ცივი თვის (იანვრის)  $-0,3$ ,  $-3,8^{\circ}\text{C}$ . საშუალო წლიური ტემპერატურა შეადგენს  $10-11,9^{\circ}\text{C}$ . აქტიურ ტემპერატურათა ჯამი  $4000^{\circ}\text{C}$  აღწევს. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა ექვსი-შვიდი თვეა. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს  $400-600$  მმ ფარგლებში. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა იცვლება  $64$ -დან  $70\%$ -მდე.

შავი ნიადაგები გავრცელებულია მშრალ სუბტროპიკულ სტეპებში. სტეპის მცენარეულობაში გამოყოფენ შემდეგ დაჯგუფებებს: ჯაგეკლიანი, უროიანი, ვაციწვერიანი და მდელოს ნაირბალახოვანი.

შავ ნიადაგებს აქვთ პროფილის შემდეგი შენება:  $\text{A}_1^{'}-\text{A}_1^{''}-\text{B}-\text{BC}$ .

შავი ნიადაგები ხასიათდება: სუსტი ტუტე რეაქციით, კარბონატულ-ილუვიური ჰორიზონტის არსებობით, კარბონატების მაქსიმუმით  $60-120$  სმ სიღრმეზე, გათიხებით, თიხა მექანიკური შედგენილობით, ნიადაგის და ლექის ფრაქციის ერთგვაროვანი მთლიანი ქიმიური შედგენილობით, თიხა-მინერალებში სმექტიტის, ჰიდროქარსებისა და ქლორიტის სიჭარბით, არასილიკატური და დაკრისტალებული რკინის დაგროვებით პროფილის შუა ნაწილში, ხოლო ამორფული რკინის – პროფილის ზედა ნაწილში, ჰუმუსის ზომიერი შემცველობითა და ჰუმატური ტიპით, ზოგიერთ შემთხვევაში



შავი ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

ადვილადხსნადი მარილებისა (სულფატური) და თაბაშირის დაგროვებით, დაწიდულობის ნიშნებით (მახვილწებოიანი და შავპერიანი).

შავი ნიადაგებისთვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესები: ჰუმუსნარმოქმნა, ჰუმუსდაგროვება, დამლაშება, გაკარბონატება, სიალიტიზაცია და სლიტიზაცია.

შავი ნიადაგები მიეკუთვნება ნიადაგის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის ვერტისოლების ჯგუფს, ვერტიკალური პორიზონტის გამო, რომელშიც პერიოდულად მიმდინარე დაჯდომისა და გაჯირჯვების პროცესებმა განაპირობა სლიქენსაიდების ნარმოქმნა. მოცემული თვისების ტიპური გამოვლინების გამო, სახელწოდებას დაემატება კვალიფიკატორი ჰაპლიკი.

შავი ნიადაგები ითვლება მარცვლეული და ტექნიკური კულტურების, მათ შორის ხორბლის, სიმინდის, კარტოფილის, ბოსტნეულის, საკვები ჭარბლის და ბაღჩეული კულტურების გავრცელების ძირითად რეგიონებად. შავი ნიადაგები გამოიყენება აგრეთვე ვენახისა და ხეხილოვანი კულტურების გა-

საშენებლად, სათითებად და საძოვრებად; საკები კულტურების და ბალახების მოსაყვანად.

ნიადაგების არანორმირებული მორწყვისას, მინერალიზებული წყლების გამოყენება, ცუდი დრენაჟის დროს შეიძლება გახდეს ამ ნიადაგების დაჭაობების ან დამლაშების მიზეზი. შავი ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების საქმეში მთავარია ტენის დაგროვება და მისი რაციონალური გამოყენება. ნაყოფიერების შემცირების საქმეში დიდია წყლის-მიერი და ქარისმიერი ეროზის როლი.

ნიადაგები გამოირჩევა ჰიდროლიზური აზოტის, საშუალო, მოძრავი ფოსფორის დაბალი და გაცვლითი კალიუმის საშუალოზე მაღალი ან მაღალი შემცველობით.

ამ ნიადაგებზე pH მაჩვენებლის და კარბონატების შესამცირებლად საჭიროა ფიზიოლოგიურად მუავე სასუქების – ამონიუმის სულფატისა და მარტივი სუპერფოსფატის სისტემატური გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში გოგირდისა და თაბაშირის დაბალი ნორმების გამოყენება. ზოგჯერ შავი ნიადაგები დიდი რაოდენობით შეიცავენ ქვებს, რაც ხელს უწყობს ზოფხულის პერიოდში ნიადაგის გახურებას და ტენის დანაკარგების გადიდებას; ასევე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ცვეთას და დამტვრევას.

## შავიცავი

**შავმიწებისთვის** (ე.ნ. მთის შავმიწები) დამახასიათებელია კარგად გამოხატული საკმაოდ მძლავრი და შავი შეფერილობის ჰუმუსოვანი ჰორიზონტი, პროფილის გათიხება.

შავმიწების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 1,4% (99 200 ჰა). ეს ნიადაგები გავრცელებულია სამხრეთ მთიანეთში, ზღვის დონიდან 1200-1900 მ შორის.

სამხრეთ მთიანეთის შავმიწების უმეტესი ნაწილი განვითარებულია ვულკანურ პლატოზე, რომელიც მთიანი ვაკის ხასიათს ატარებს. საქართველოს შავმიწების ზოლი გეომორ-



ფოლიგოურად იყოფა დენუდაციურ, ამფითიატრისებრ და აკუმულაციურ ტიპებად.

ახალქალაქ-წალკის რეგიონის ვაკეები აგებულია ან-დეზიტების, ანდეზიტ-ბაზალტებისა და ბაზალტური ქანებისგან. დეპრესიებში ეს ქანები გადაფარულია ტბური ნალექებით. გამოზიდვის კონუსები წარმოდგენილია ანდეზიტ-დაციტებით. გამყინვარების პერიოდში სამხრეთ მთიანეთმა გამყინვარება განიცადა, რაზეც მიუთითებს გავრცელებული მორენული ნაფენები.

შავმიწების სარტყელი ხასიათდება ცივი ჰავით. საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის  $5,9^{\circ}\text{C}$ . ყველაზე ცივი თვის (იანვრის) ტემპერატურაა  $-7,5^{\circ}\text{C}$ , ხოლო თბილი თვის (ივლისის)  $16,8^{\circ}\text{C}$ . ზამთარში ტემპერატურა ხშირად მინუს  $20-25^{\circ}\text{C}$ -მდე ეცემა. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 5 თვეს უდრის. ნალექების რაოდენობა 545-746 მმ-ია. მათი მაქსიმუმი მაის-ივნისში მოდის, ხოლო მინიმუმი ზამთარში.




### კავახეთი

ჰაერის საშუალო ნლიური შეფარდებითი ტენიანობა 70% უდრის.

ბუნებრივი მცენარეულობა ძირითადად მდელო-სტეპის ტიპისაა და აერთიანებს შემდეგ დაჯგუფებებს: უროიანი, ვაცინვერიანი, მარცვლოვან-ნაირბალახოვანი და ისლიან-ჭალიანი.

შავმიწებს აქვთ პროფილის შემდეგი შენება:  $A_1^{I/A_1^{II}}$ -AB-BC.



### შავმიწის ძირითადი მაჩვებლები

შავმიწები ხასიათდება სუსტად მყავე, ნეიტრალური ან სუსტად ტუტე რეაქციით, ფუძეებით მაძლრობით, ჰუმურის მაღალი შემცველობით (ზოგიერთ შემთხვევაში ჰუმურის რაოდენობა 10 % აღწევს), გაცვლით კატიონებში კალციუმის მკვეთრი სიჭარბით, ძირითადი უანგეულების მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილებით, თიხიანი ან მძიმე თიხნარი მექანიკური შედგენილობით.

შავმიწებისთვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესები: ჰუმურისნარმოქმნა, ჰუმურდაგროვება და სიალიტიზაცია.

შავმიწები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფ-

ლიო კორელაციური ბაზის ჩერნოზიომების ჯგუფს. შავმინების პროფილში გამოვლინდა დიაგნოსტიკური კვალიფიკატორი ვორონიკი, რომელიც გულისხმობს ვორონიკ (მოლიკ ჰორიზონტის სპეციფიკური ტიპი) ჰორიზონტის არსებობას. ის არის სქელი, კარგად გასტრუქტურებული (მარცვლოვანი სტრუქტურა), შავი ან მოშავო შეფერილობის ზედაპირული ჰორიზონტი ფუძების მაღალი მაძლრობით ( $\geq 80\%$ ), ორგანული ნივთიერების მაღალი შემცველობით ( $C_{\text{ორგ.}} \text{ შემცველობა} \text{ მინიმუმ } 1.5\% \text{ და ორგანული ნივთიერება } 2.5\%$ ), მაღალი ბიოლოგიური აქტივობით. ვორონიკი მოიცავს გარდამავალ ჰორიზონტებს (მაგ: AB), რომლებშიც დომინანტურია ზედაპირული ჰორიზონტების მახასიათებლები. მეორე დიაგნოსტიკური კვალიფიკატორი არის მოლიკი, რომელიც მიუთითოთებს მოლიკ ჰორიზონტის არსებობაზე. ჰორიზონტი მოლიკი მუქი ფერის ზედაპირული ჰორიზონტია ფუძების მაღალი მაძლრობით ( $\geq 50\%$ ), ორგანული ნივთიერებების მაღალი ან საშუალო შემცველობით ( $C_{\text{ორგ.}} \text{ შემცველობა} \text{ არ უნდა იყოს } 0.6\%-ზე \text{ დაბალი და ორგანული ნივთიერება/ჰუმუსის რაოდენობა } 1\%-ზე \text{ ნაკლები}, \text{ სისქე არანაკლები } 25\text{sმ}-ზე. \text{ ვორონიკის სპეციფიკა, მოლიკთან შედარებით, გამოიხატება } C_{\text{ორგ.}} \text{-ის მაღალ შემცველობაში და უფრო მუქ შეფერილობაში. შავმინებში სავარაუდო ასევე გამოვლენილია კვალიფიკატორი კალციკი, რომელიც გულისხმობს მეორადი კარბონატების დაგროვებას ნიადაგის ზედაპირიდან 100 სმ-ის საზღვრებში. მეორადი  $\text{CaCO}_3$  გვხვდება შავმინების პროფილის ქვედა ნაწილში, როგორც დიფუზიურ ფორმაში (ნიადაგის მასაში წვრილი ნაწილაკების სახით), ასევე ახალნარმონაქმნების სახითაც (ფსევდომიცელიუმი).$

შავმინების პროფილში მეტ-ნაკლებად გამოვლენილია არჯიკის დიაგნოსტიკური კრიტერიუმები (განსაკუთრებით მის შუა ნაწილში), მძიმე მექანიკური შედგენილობა, თიხის მინიმუმ  $8\%$  შემცველობა, ლექის ფრაქციის აკუმულაცია.

არჯიკ ჰორიზონტის ილუვიური ბუნება შეიძლება დადგინდეს აგრეგატებზე თიხის კუტანების არსებობით. შავმიწებისათვის ასევე დამახასიათებელია ეუთრიკ კვალიფიკატორი.

შავმიწები გამოირჩევა მაღალი პოტენციური და საშუალო ეფექტური ნაყოფიერებით. ზოგიერთი სავარგული გამოირჩევა ჭარბი ქვიანობით. არსებული თბური რეჟიმი ხელსაყრელია მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის და ხეხოლოვანი კულტურების მოსაყვანად. ნიადაგები გამოირჩევიან ჰიდროლიზური აზოტის და მოძრავი ფოსფორის საშუალო, გაცვლითი კალიუმის საშუალოზე მაღალი შემცველობით. მაღალი მოსავლის მისაღებად აუცილებელია ორგანული და მინერალური სასუქებით განოყიერება და ირიგაციული ეროზიისაგან დაცვა. განოყიერებისას ჰირველ რიგში გამოყენებული უნდა იქნეს ფოსფორიანი სასუქები, შემდგომში აზოტიანი და ორგანული სასუქები. ძალიან კარგ შედეგს იძლევა 4-5 წელიწადში ერთხელ სიდერატების თესვა.

### **მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებისთვის**

**მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებისთვის** დამახასიათებელია არადიფერენცირებული პროფილი, მცირე და საშუალო სიმძლავრე, ძლიერი გამოტუტვა.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგების გავრცელების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 7,2% (492 000 ჰა). ეს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული კავკასიონისა და ამიერკავკასიონის სამხრეთი მთიანეთის სუბალპურ ზონაში, ზღვის დონიდან 1800 (2000) მ-დან-2000 (2200) მ-მდე.


სუბალპური ტყეების არეალში გაბატონებულია მაღალმთიანეთის ეროზიულ-დენუდაციური რელიეფი მყინვარული გენეზისის ფორმების სიჭარბით. ზოგან გავრცელებულია მეოთხეული ეფუზიური ვულკანიზმით შექმნილი რელიეფის ფორმები. ეროზიული ხეობები ხასიათდება საკმაოდ ციცაბო ფერდობებით.



დასავლეთ საქართველოში ნიადაგნარმომქმნელი ქანები წარმოდგენილია კრისტალური ან კვარციან-ქარსიანი ფიქლებით, კვარციანი დიორიტებით და კირქვებით. აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად გვხვდება თიხაფიქლები, ქვიშაქვები, კირქვები, მორენული ნაფენები. სამხრეთ საქართველოში ნიადაგნარმომქმნელ ქანებს მიეკუთვნებიან ან-დეზიტები, პორფირიტები, სიენიტები.

კლიმატი ცივია, ხანმოკლე, გრილი ზაფხულითა და მკაცრი ხანგრძლივი ზამთრით. საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის  $3,2\text{-}4,1$  °C. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა სამი-ოთხი თვეა. ნალექების წლიური რაოდენობა მერყეობს 605-1675 მმ შორის. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა 70-79% აღწევს.


სუბალპური ტყეები ხასიათდებიან ტანბრეცილებით, მეჩერებითა და ბუჩქნარებით. მათი სახეობრივი შემადგენლობა აერთიანებს შემდეგ მცენარეულ ფორმაციებს: წიფლნარებს,



## სუბალპური ნიფლნარი

ნეკერჩელნარებს, მუხნარებს, ფიჭვნარებს, ზოგჯერ ნაძვნარებსა და სოჭნარებს, დეკიანებს, იელიანებს, ლვიანებს.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგებს აქვთ პროფილის შემდეგი შენება: Ao-A-AB-B-BC-CD.



### მთა-ტყე-მდელოს ნიადაგის ძირითადი მარტენებლები

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები ხასიათდება: მთელი პროფილის მუავე რეაქციით, ცალკეული უანგეულების მეტ-ნაკლებად თანაბარი განაწილებით, მაძღრობის დაბალი ხარისხით, მაღალი ჰუმუსიანობით და ღრმა ჰუმუსირებით, თიხამინერალების შედგენილობაში ქლორიტული და კაოლინიტ-გალუაზიტის მინერალების სიჭარბით, რკინის მოძრავი ფორმების მომატებული რაოდენობით.

მთა-ტყა-მდელოს ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსიალიტიზაცია და ჰუმუსწარმოქმნა.

მთა-ტყე-მდელოს ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის უმბრისოლების ჯგუფს. ნიადაგების პროფილში ალინიშნება დიაგნოსტიკური კვალიფიკორი ფერიკი.

## მთა-მდელოს ნიადაგებისთვის

მთა-მდელოს ნიადაგებისთვის დამახასიათებელია არა-დიფერენცირებული პროფილი, კარგად გამოხატული ჰუმუ-სოვანი ჰორიზონტი, მცირე ან საშუალო სიმძლავრე.



მთა-მდელოს ნიადაგები აბსოლუტურად გაბატონებული ნიადაგებია. მათი საერთო ფართობი 25,1% (1 758 200 ჩ) შე-ადგენს. ეს ნიადაგები ფართოდ არის გავრცელებული კავკა-სიონისა და ამიერკავკასიის სამხრეთ მთიანეთის სუბალპურ და ალპურ ზონებში, ზღვის დონიდან 1800 (2000) მ-დან 3200 (3500) მ-მდე.

მთა-მდელოს ნიადაგებს უკავია მაღალმთიანეთის რე-ლიეფის ძირითადი ფორმები: ძველი პენეპლენ-მოსწორე-ბული („მოცვეთილი“) ზურგები, გლაციალური რელიეფი-ტერასული ბაქნები, კარები; ვულკანური რელიეფი-პლატო (სამხრეთი მთიანეთი) და ეროზიული-ხეობები, საკმაოდ ცი-



**მაღალმთის საძოვრები**

ცაბო ფერდობებითა და ზოგიერთ ადგილას ჭალის ფართო მონაკვეთებით.


მაღალმთიანეთის გეოლოგიური შენება საკმაოდ რთულია. დასავლეთ საქართველოში ნიადაგნარმომქმნელ ქანებს წარმოადგენენ კრისტალური ფიქლები, კვარციან-ქარსიანი ფიქლები, კვარციანი დიორიტები, კირქვები, გრანიტები, გნეისები. აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთის გეოლოგიურ აგებულებაში მთავარ მონაწილეობას ღებულობს თიხაფიქლები, ქვიშაქვები, კირქვები. სამხრეთ საქართველოს მთა-მდელოს ზონაში გავრცელებულია ანდეზიტები, პორფირიტები, ტრაქიტები, სინიტები.

მთა-მდელოს ნიადაგები ფორმირდებიან მკაცრი კლიმატის პირობებში, რომელიც ხასიათდება გაჭიმული ზამთრით (ხანგრძლივი თოვლის საფარით) და გრილი ზაფხულით. სავეგეტაციო პერიოდი შეადგენს 3-4 თვეს. იანვრის საშუალო ტემპერატურა მერყეობს  $-12$ -დან  $-5,2$  °C-მდე, ივლისის კი  $7,3$ -დან  $14,4$  °C-მდე. ნალექების წლიური რაოდენობა 718 მმ-დან 1503 მმ-მდეა. ნალექების მაქსიმუმი მაისში მოდის. ჰაერის საშუალო წლიური ატმოსფერული ტენიანობა მერყეობს 68-81% ფარგლებში, დატენიანების კოეფიციენტი 6-7 აღწევს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი დაბალია და მერყეობს  $600$ - $1500$  °C შორის. მაღალმთიანეთის ცივი კლიმატი ხელს უწყობს ქანების ინტენსიურ ფიზიკურ გამოფიტვას და ამის შედეგად ხდება ნიადაგის ზედაპირზე დიდი რაოდენობით ქანების ნამტვრევების დაგროვება.

სუბალპური სარტყლის მცენარეულ საფარში ჭარბობს მარცვლოვანი, მარცვლოვან-ნაირბალახოვანი და ნაირბალახოვანი თანასაზოგადოებები. მათ შორის წამყვანი ადგილი უკავია: ჭრელ შვრიელას, ტიმოთელას, ცხვრის წივანას და სხვ. პარკოსნები წარმოდგენილია მთის სამყურათი და კავკასიონის იონჯით. ალპურ სარტყყელში დომინანტობენ: 1) ალპური ხალიჩები – ნაირბალახოვანი ელემენტებით, ხორ-

ბლოვანებით და ისლებით და 2) მკვრივკორდიანი მდელოები - ხორბლოვანი და ისლიანი კომპონენტებით. საკმაოდ გავრცელებულია წივიან-ისლიანი მდელოები წივანას და თივაქასრას სიჭარბით. დიდ ფართობზე გავრცელებულია ძიგვა. მშრალ პოზიციებზე ჭარბობს ქსეროფილური მცენარეულობა აბზინდას მონაწილეობით.

მთა-მდელოს ნიადაგებს აქვთ პროფილის შემდეგი შენება: A-B-BC-C.



### მთა-მდელოს ნიადაგის მაჩვენებლები

მთა-მდელოს ნიადაგები ხასიათდებიან: მუჟავა ან სუსტი მუჟავა რეაქციით, მაღალი ჰუმუსიანობით და ღრმა ჰუმუსირებით, შთანთქმის დაბალი ან საშუალო ტევადობით, თიხნარი ან თიხა მექანიკური შედგენილობით, მინერალური ნაწილის გამოფიტვის სიალიტური ტიპით, თიხამინერალებში ჰიდროქარსების და ქლორიტის სიჭარბით, ჰუმუსის ფულვატური და ფულვატურ-ჰუმატური ტიპით, სილრმეში სილიკატური რკინის მომატებული შემცველობით.

მთა-მდელოს ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგნარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსიალიტიზაცია, ჰუმუსნარმოქმნა, კორდიანი პროცესი და გასტრუქტურება.

მთა-მდელოს ნიადაგები მიეკუთვნება ნიადაგის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის უმბრისოლების ჯგუფს. ნიადაგების პროფილში აღინიშნება დიაგნოსტიკური ჰორიზონტი უმბრიკი და კვალიფიკატორ სპოდიკის ელემენტები.

### დამლაშებული ნიადაგები

დამლაშებული ნიადაგებისთვის დამახასიათებელია ცუდი ფიზიკური, წყლოვანი, ჰაეროვანი თვისებები და საკმაოდ მაღალი ტუტე რეაქცია.

დამლაშებული ნიადაგები აერთიანებენ ორ ჯგუფს: 1) ბიც-ბიცნარ (მლაშობები) და 2) ბიცობ-ბიცობნარ ნიადაგებს.



დამლაშებული ნიადაგების საერთო ფართობი საქართველოში შეადგენს 1,6% (112 600 ჩა). ეს ნიადაგები ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ზონაში:



## ალაზნის მარჯვენა სანაპირო

ალაზნის, ელდარის, ტარიბანა-ნატბეულის, ლაკბეს, შავ-მინდვრის აკუმულაციურ ვაკეებზე, გარდაბნის, მარნეულის, სამგორის და კრწანისის ვაკეებზე; ფრაგმენტულად გვხვდება შუა ქართლში.


დამლაშებული ნიადაგების რელიეფი წარმოდგენილია მთათაშორის დეპრესიებით, ალუვიური ვაკეების, დახშული ტბებისა და ნატბეურების ელემენტებით. ბიციანი ნიადაგები ძირითადად განვითარებულია დეპრესიული ახალგაზრდა რელიეფის ელემენტებზე, ხოლო ბიცობიანი-შედარებით ძველი შემაღლებული რელიეფის პირობებში. ნიადაგნარმომქმნელი ქანები წარმოდგენილია ალუვიური, პროლუვიურ-დელუვიური, დამლაშებული ნაფენებით და დამლაშებული თიხებით.

კლიმატი მშრალი სუბტროპიკულია, ცხელი ზაფხულითა და თბილი, თითქმის უთოვლი ზამთრით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის  $12,1-12,5^{\circ}\text{C}$ . აქტიურ ტემპერატურათა ჯამი შეადგენს  $4000-4500^{\circ}\text{C}$ . სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა შვიდი თვეა. ნალექების წლიური რაოდენობა  $380-600$  მმ-ია. ნალექების მინიმუმი ზამთარში მოდის, ხოლო მაქსიმუმი მაისასა და ივნისში. დატენიანების კოეფიციენტი არის  $0,33-0,50$ .

ბუნებრივი მცენარეული საფარი წარმოდგენილია ვე-ძიანებით, ავჭნიანებით, ავჭნიან-ყარლანიანი და ურო-ავჭნიანი ფორმაციებით.

ბიცი და ბიცნარი ნიადაგები, ჰიდროლოგიური პირობების მიხედვით, იყოფიან ჰიდრომორფულ და ავტომორფულ ნიადაგებად. ჰიდრომორფული ბიცები და ბიცნარები წარმოიქმნებიან მინერალიზებული გრუნტის წყლის ზედაპირთან ახლო დგომის პირობებში ( $1,5-3$  მ-მდე). ავტომორფულ მლაშობებში მინერალიზებული გრუნტის წყალი ღრმადაა ( $10$  მ-მდე).

ბიცი და ბიცნარი ნიადაგები ხასიათდებიან მძიმე მექან-იკური შედგენილობით. მათი უმეტესობა მიეკუთვნება თიხებს. შთანთქმულ კათიონებში ჭარბობს კალციუმი. ჰუმუსის



### დამლაშებული ნიადაგის ძირითადი მაჩვენებლები

შემცველობა დაბალია. თიხამინერალები წარმოდგენილია მონტმორილონიტით და ჰიდროქარსებით. ბიცი და ბიცნარი ნიადაგები ადვილად ხსნად მარილებს განსხვავებული რაოდენობით შეიცავს. ბიცებში მათი შემცველობა ზედა ფენებში 1,76-3,18% შეადგენს, სიღრმეში კი 3,5-3,6% აღწევს. ბიცები ადვილადხსნად მარილებს შეიცავს ზედაპირიდანვე, ბიცნარები-ქვედა ფენების სხვადასხვა სიღრმიდან.

ბიცობი და ბიცობნარი ნიადაგები ხასიათდებიან მძიმე მექანიკური შედგენილობით, მშრალ მდგომარეობაში მომატებული სიმკვრივით, ტენიან პირობებში სიბლანტით, წყლის ცუდი გამტარობით. თიხამინერალები ძირითადად წარმოდგენილია მონტმორილონიტით და ჰიდროქარსებით. ჰუმუსის შემცველობა დიდ ფარგლებში მერყეობს. ამ ნიადაგების ძირითადი გენეზისური თავისებურება – ბიცობიანობა განისაზღვრება შთანთქმული ნატრიუმის შემცველობით. საქართველოს ბიცობიანი ნიადაგებისთვის ასევე დამახასიათებელია მაგნიუმის მაღალი შემცველობა, რაც აძლიერებს ბიცობიანობას. ბიცობიანი და ბიცობნარი ნიადაგები ხასიათდება ადვილად ხსნადი მარილების სხვადასხვა შემცველობით. მათ შორის გვხვდება ისეთი ნიადაგებიც, სადაც ხსნადი მარილები მცირე რაოდენობითაა.

დამლაშებული ნიადაგები მიეკუთვნება ნიადაგის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის სოლონეცების ჯგუფს, ნატრიკ ჰორიზონტის არსებობის გამო ან სოლონჩაკების ნიადაგურ ჯგუფს, სალიკ ჰორიზონტის არსებობის გამო.

დამლაშებული ნიადაგებისთვის დამახასიათებელია ცუდი ფიზიკური, წყლოვანი, ჰაეროვანი თვისებები და საკმაოდ მაღალი ტუტე რეაქცია.

გამოირჩევიან დაბალი პოტენციალური და ეფექტური ნაყოფიერებით. მოძრავი აზოტის და ფოსფორის შემცველობა დაბალია, გაცვლითი კალიუმის მაღალი ან ძალიე მაღალი. ამასთან ერთად ნიადაგები ხშირად ხასიათდება წყალხსნადი მარილების მაღალი შემცველობით, რის გამოც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა შეუძლებელია მელიორაციული და აგროტექნოლოგიური ღონისძიებების მაღალ დონეზე განხორციელების გარეშე.

ძირითად მელიორაციულ ღონისძიებას წარმოადგენს ქიმიური მელიორაციის განხორციელება, რისთვისაც იყენებენ თაბაშირს, ფოსფოთაბაშირს, კალციუმის ქლორიდს, დეფერაციურ ტალახს, გოგირდს და წარმოების სხვა ანარჩენებს. მოთაბაშირებას მოითხოვენ ისეთი ნიადაგები, რომლებშიც შთანთქმული ნატრიუმის შემცველობა 10%-ზე მეტია. თაბაშირის შეტანით ხდება ტუტე რეაქციის გაქარწყლება, რაც განპირობებულია შთანთქმული ნატრიუმის კალციუმით შეცვლით და ნატრიუმის სულფატიონით შებოჭვით.

ნაყოფიერების გასადიდებლად ამასთან ერთად აუცილებელია ორგანული და მინერალური სასუქების შეტანა, სიდერატების მოყვანა და ჩახვნა. მინერალური სასუქებიდან ამ ნიადაგებზე ყველაზე მაღალი ეფექტურობით გამოირჩევა აზოტიანი და ფოსფორიანი სასუქები.

## ალუვიური ნიადაგებისთვის

ალუვიური ნიადაგებისთვის დამახასიათებელია გენეზი-სურ ჰორიზონტებზე სუსტი დიფერენციაცია, ცუდი გას-ტრუქტურება, მომატებული ხირხატიანობა და შრეობრიობა (სტრატიფიკაცია – პირველ რიგში მექანიკური შედგენილო-ბის მიხედვით).




ალუვიური ნიადაგების საერთო ფართობი საქართველო-ში შეადგენს 5,0% (351 400 ჩა). ეს ნიადაგები გავრცელე-ბულია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სხვადასხვა ბუნებრივ ზონაში.

ალუვიური ნიადაგები ფორმირდებიან სხვადასხვა ბუნე-ბრივ ზონაში და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხასიათ-დებიან ზონის კლიმატური პირობებით. საკმაოდ ჭრელია ალუვიონის მასალა, რომელზედაც წარმოიქმნება ეს ნიადა-



გები. ბუნებრივი მცენარეულობა წარმოდგენილია ჭალის მცენარეულობით.

ალუვიური ნიადაგების პროფილს აქვს შემდეგი შენება: A-BC-C.



ალუვიური ნიადაგის ზოგიერთი მაჩვენებელი

ალუვიური ნიადაგები ხასიათდებიან მუავე, ნეიტრალური ან ტუტე რეაქციით (იმისდა მიხედვით, თუ რომელ აუზში ფორმირდებიან ეს ნიადაგები). ჰუმუსის შემცველობა საშუალო ან მცირეა, ნიადაგის პროფილი ღრმად ჰუმუსირებულია. შთანთქმის ტევადობა დაბალი ან საშუალოა. ძირითადი ჟანგეულების განაწილება მეტ-ნაკლებად თანაბარია. თიხა-მინერალები წარმოდგენილია მონტმორილონიტით, კალინიტით, ჰალიტითითა და ჰიდროქარსებით. რკინის სხვადასხვა ფორმას არათანაბარი განაწილება აქვს. სილიკატური რკინის შემცველობა მკვეთრად ჭარბობს არასილიკატურს.

ალუვიური ნიადაგების ძირითადი ელემენტარული ნიადაგწარმომქმნელი პროცესებია: ჰუმუსწარმოქმნა, გამდელოება და გალებება.

ალუვიური ნიადაგები მიეკუთვნებიან ნიადაგის რესურსების მსოფლიო კორელაციური ბაზის ფლუვისოლების ნიადაგურ ჯგუფს. ალუვიური ნიადაგების პროფილისთვის

დამახასიათებელია შემდეგი დიაგნოსტიკური კვალიფიკატორები: ფლუვიკი, გლეიკი, დისტრიკი, კალკარიკი და ეუთრიკი.

ალუვიური ნიადაგები მასიურად იხვნება და გამოიყენება თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსაყვანად და სათიბ-საძოვრად.

ნიადაგები გამოირჩევიან დაბალი ან საშუალო პოტენციალური ნაყოფიერებით; მოძრავი აზოტისა და ფოსფორით საშუალოდ არიან უზრუნველყოფილი და მხოლოდ გაცვლით კალიუმს შეიცავენ დაბალი რაოდენობით. კალიუმის დეფიციტის აღმოფხვრის გარეშე ამ ნიადაგებზე მაღალი მოსავლის დაგეგმვა წარმოუდგენელია. ნაყოფიერების ასამაღლებლად აუცილებელია მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენება. ამ ნიადაგების პოტენციალური და ეფექტური ნაყოფიერება მეტად არაერთგვაროვანია. კარგ შედეგს იძლევიან აზოტიანი სასუქები. ბევრად არ ჩამორჩება ფოსფორ-კალიუმიანი სასუქები. საკმაოდ მაღალ ეფექტს იძლევა ორგანული და სრული მინერალური სასუქების ერთობლივი შეტანა.

### თავი III. ნიადაგის მორფოლოგია

ნიადაგის ძირითად მორფოლოგიურ ნიშნებს მიეკუთვნება: ნიადაგის შენება, ნიადაგის და მისი ცალკეული ჰორიზონტების სიმძლავრე, შეფერილობა, მექანიკური შედგენილობა, სტრუქტურა, აგებულება, ახალქმნილებები და ჩანართები.

ნიადაგური პროფილის შენება-გარეგნული იერი, რომელიც განპირობებულია ვერტიკალური მიმართულებით ჰორიზონტების გარკვეული ცვლით.

ჰორიზონტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფერით, სტრუქტურით, აგებულებით და სხვა მორფოლოგიური ნიშნებით. მათ აქვთ განსხვავებული ქიმიური, ხოლო ზოგჯერ მექანიკური შედგენილობაც. მათში განსხვავებულად მიმდინარეობენ ბიოლოგიური პროცესები.

ნიადაგის მთელ პროფილში მორფოლოგიური ნიშნები ერთნაირი არ არის. ისინი ზედაპირიდან სილრმისკენ გარკვეულ ცვლილებას განიცდის. ამის მიხედვით პროფილში გამოყოფენ შედარებით ერთგვაროვან ფენებს, რომლებსაც გენეზისურ ჰორიზონტებს უწოდებენ. ისინი წარმოიქმნებიან ნიადაგებში ნივთიერებათა შეტანის, გადაადგილების, გამოტანისა და გარდაქმნის შედეგად. გენეზისურ ჰორიზონტებს აქვთ სისქე/სილრმე, სახელწოდება და სპეციალური აღმნიშვნელი ლათინური ასო-ინდექსები.

**ნიადაგის შენება.** ნიადაგის პროფილში გამოიყოფა ძირითადი და გარდამავალი ჰორიზონტები.

H-ორგანული, ზედაპირული ჰორიზონტი, წყლით გაჯერებული, წარმოქმნილი დაუშლელი ან ნაწილობრივ დაშლილი ორგანული ნივთიერებებისგან;

O-ზედაპირული, ორგანული ჰორიზონტი, წარმოქმნილი დაუშლელი ან ნაწილობრივ დაშლილი ორგანული ნივთიერებებისგან, არ არის წყლით გაჯერებული;

**A-მინერალური,** ზედაპირული ჰუმუსიანი ჰორიზონტი, რომელშიც აკუმულირებულია მინერალურ ნაწილთან მჯიდ-როდ დაკავშირებული ჰუმიფიცირებული ორგანული ნივ-თიერება;

**E-მინერალური,** ღია ფერის ჰორიზონტი, რომელიც გა-ლარიბებულია სილიკატური თიხის, რკინის და ალუმინის ჟანგებით, გამოირჩევა ქვიშისა და, შესაბამისად კაჟმიწის შედარებით მაღალი შემცველობით. მასში მთლიანად ან ნაწ-ილობრივ დარღვეულია ნიადაგნარმომქმნელი ქანის სტრუქ-ტურა;

**B-ჰორიზონტი,** რომელიც წარმოიქმნება A, E, H და O ჰორიზონტების ქვეშ, მასში თითქმის მთლიანად დარღვეულია დედაქანის სტრუქტურა, აკუმულირებულია სილიკატური თი-ხა, რკინა, ალუმინი, ჰუმუსი, კარბონატები, თაბაშირი ილუ-ვიაციის ან გამოფიტვისა და ახალწარმონაქმნების გზით;

**C-ჰორიზონტი,** რომელსაც არ გააჩნია A, E, H, O და B ჰორიზონტის თვისებები და უმნიშვნელოდ არის შეცვლილი ნიადაგნარმომქმნელი პროცესებით;

**G-ლებიანი ჰორიზონტი,** შეიცავს ჭარბი ტენიანობის შე-დეგად აღდგენილ ნაერთებს;

**R-მკვრივი** ნიადაგნარმომქმნელი ქანი.

ნიადაგების ჰორიზონტების სისტემაში გამოყოფენ ქვე-ჰორიზონტებს A1, B2 და ა.შ., შერეულ A/B, E/B და ა.შ. და გარდამავალ AB, BC და ა.შ. ჰორიზონტებს.

გარდამავალი ჰორიზონტები შეიძლება იყოს შემდეგი სახის: ორი ჰორიზონტის თვისებების შეხამებით და მკვეთ-რად განსხვავებული თვისებებით ყოველი ჰორიზონტისთვის.

ჰორიზონტებისთვის, რომლებშიც ჭარბობს რომელიმე ჰორიზონტის ნიშნები, იყენებენ ასოების შეხამებას, რომელ-შიც პირველი ასო ეკუთვნის ჰორიზონტს, რომლის თვისებები ჭარბობენ, მაგალითად, EB, BE, BC და ა.შ. იმ შემთხვევაში, როდესაც ცალკეულ ზონებს აქვთ ორი განსხვავებული ჰო-


რიზონტის ნიშნები, ასოებს შორის ალინიშნება ირიბი ხაზი, მაგალითად, E/B, B/E, B/C, C/R და ა.შ.

**ნიადაგის და მისი ცალკეული ჰორიზონტების სიმძლავრე.**  
ნიადაგის სიმძლავრე წარმოადგენს მის სისქეს ზედაპირიდან სუსტად შეცვლილ დედაქანამდე. ჰორიზონტის სიმძლავრეს ადგენენ 1 სმ სიზუსტით.

ჰორიზონტების სისქეთა ჯამი განსაზღვრავს ნიადაგის პროფილის სისქეს/სიღრმეს. ნიადაგის პროფილი სისქის მიხედვით ზოგადად შეიძლება იყოს მცირე სისქის  $<50$  სმ; საშუალო სისქის 50-100 სმ; სქელი 100-150-სმ; ძალიან სქელი  $>150$  სმ.

მნიშვნელოვანია ჰორიზონტებს შორის საზღვრების/ზღვრების ფორმა. საზღვრების ფორმები შეიძლება იყოს: სწორი, ტალღოვანი, ჯიბიანი, ენოვანი, გადარეცხილი (ჩარეცხილი).

გენეზისურ ჰორიზონტებს გააჩნია მკვეთრი, აშკარა ან თანდათანობითი გადასვლები.



**ჰორიზონტებს შორის საზღვრების ფორმები**


გენეზისური ჰორიზონტების თანაფარდობის ხასიათის მიხედვით ნიადაგური პროფილი იყოფა ორ დიდ ჯგუფად - მარტივი და რთული.

მარტივ პროფილებს მიეკუთვნებიან: პრიმიტიული, არა-სრულად განვითარებული, ნორმალური, სუსტად დიფერენცირებული და ეროზირებული.

რთულ პროფილებს მიეკუთვნებიან: პოლიციკლური, ან-თროპოგენურ-დიფერენცირებული.

ნიადაგის ნივთიერებების განაწილების ხასიათის შესაბამისად გამოიყოფა შემდეგი ტიპის პროფილები: აკუმულაციური, ელუვიური, ელუვიურ-ილუვიური და არადიფერენცირებული.

**ნიადაგის შეფერილობა ანუ ფერი** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ნიშანია, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ შეფერილობას, არამედ ფერების განაწილების ხასიათსაც ნიადაგური პროფილის ან ცალკეული ჰორიზონტის შიგნით.



**სხვადასხვა შეფერილობის ნიადაგის ნიმუშები**

ნიადაგის ფერში აისახება ნიადაგწარმოქმნის თავისებურებანი და ის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი დიაგნოსტიკური ნიშანი, ნიადაგში მიმდინარე პროცესების მაჩვენებელია. უმეტესი ნიადაგის სახელწოდების განსაზღვრისას მთავარ მახასიათებელს ფერი წარმოადგენს. ბევრმა ნიადაგმა დასახელება მიიღო იმ ფერის მიხედვით, რომელიც მათ

პროფილებში ჭარბობს (შავმიწები, წითელმიწები, ყომრალები და სხვ.).



### ველზე ნიადაგის ნიმუშის შეფერილობის დადგენა

ნიადაგის ფერი საკმაოდ მრავალგვარია, რომელიც დამოკიდებულია ნიადაგნარმომქმნელი ქანების შედგენილობასა და ნიადაგნარმოქმნის ტიპზე. ნიადაგების და მათი სხვადასხვა ჰორიზონტების განსხვავებულ შეფერვას განაპირობებს ქიმიური შედგენილობა და ფიზიკური მდგომარეობა - განათება, ტენიანობა, დისპერსიულობა.

ნიადაგების ფერისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ნივთიერებების შემცველობა:

1. მუქი შეფერილობის ორგანული და ორგანულ-მინერალური ნივთიერებები;
2. რკინის და მანგანუმის დაუანგული ნაერთები;
3. კაჟმინა, ნახშირმჟავას ძნელადხსნადი მარილები და ალუმინის ჰიდროჟანგი;
4. რკინის ქვეუანგები.

აღნიშნული ნაერთების შეხამება და მინერალების შეფერილობა განაპირობებს ნიადაგების მრავალფეროვნებას.

ნიადაგების ზედა ჰორიზონტების შავი, მუქი-რუხი და რუხი ფერები უმეტესად განპირობებულია ჰუმუსოვანი ნივთიერებებით. ზოგჯერ შავი ფერი შეიძლება გამოიწვიოს Mn-ის უანგებმა და ჰიდროჟანგებმა. ნიადაგების მუქი ფერი

შესაძლებელია დამოკიდებული იყოს ნიადაგნარმომქმნელი ქანების მუქ შეფერილობაზე.

ნიადაგების წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი და მოწითალო-უანგიანი ფერი მიუთითებს რკინის უანგის მნიშვნელოვანი რაოდენობით შემცველობაზე. მთელ ნიადაგს, მის ცალკეულ ჰორიზონტებს მტრედისფერ და მოცისფრო ტონს რკინის ქვეუანგები აძლევენ. ჭაობიანი ნიადაგების მომწვანო-ცისფერ შეფერილობას მინერალი ვივიანიტი იწვევს.

ნიადაგების მოთეთრო და თეთრ ფერს ქმნის კაფმინა ( $\text{SiO}_2$ ), კალციუმის კარბონატი ( $\text{CaCO}_3$ ), კაოლინიტი ( $\text{H}_2\text{Al-SiO}_4 \times \text{H}_2\text{O}$ ), თაბაშირი ( $\text{CaSO}_4 \times 2\text{H}_2\text{O}$ ) და ადვილადხსნადი მარილები ( $\text{NaCl}$ ,  $\text{Na}_2\text{SO}_4 \times 8\text{H}_2\text{O}$ ).

ნიადაგური ჰორიზონტების ქვედა ჰორიზონტების ფერი, ძირითადად, განისაზღვრება ნიადაგნარმომქმნელი ქანების ფერით, მათი შედგენილობითა და გამოფიტვის ხარისხით.

ნიადაგების ფერზე გავლენას ახდენს სტრუქტურული მდგომარეობა. კოშტოვანი, მარცვლოვანი ან ბელტოვანი სტრუქტურის ნიადაგები უფრო მუქი ჩანს, ვიდრე გამტვრიანებული, უსტრუქტურო ნიადაგები. შეფერილობაზე დიდ გავლენას ახდენს წყალი. ტენიანი ნიადაგები უფრო მუქია მშრალ ნიადაგებთან შედარებით.

ნიადაგების ფერის აღნერისას მითითებული უნდა იყოს შეფერილობის ხასიათი: 1. ფერი ერთგვაროვანია, 2. ფერი არაერთგვაროვანია ანუ ჭრელია.

როდესაც ჰორიზონტების ფერი ერთგვაროვანია, მაშინ აუცილებელია აღნეროს ძირითადი და დამატებითი ფერები (მორუხო შავი, მოყავისფრო წითელი). ფერის არაერთგვაროვნების (მოზაიკურობის) ხასიათს კი განსაზღვრავს დომინანტი ფერის ფონზე გამოყოფილი სხვაგვარად შეფერადებული ზოლები, ლაქები, ძარღვები, წერტილები.

ჰორიზონტებში აუცილებლად უნდა აღნეროს ფერის არაერთგვაროვნება ე. წ. ლაქიანობა, რომელიც ასევე წარ-

მოადგენს მთავარ დიაგნოსტიკურ ნიშანს. ლაქიანობა აღინერება მისი რაოდენობის, ზომის, კონტრასტის, ფერისა და საზღვრის მიხედვით.

ლაქების რაოდენობა: 1. ცოტა - ლაქა იკავებს  $<2\%$  ფართობს, 2. საშუალო - ლაქა იკავებს  $2-20\%$  ფართობს, 3. ბევრი - ლაქა იკავებს  $>20\%$  ფართობს.

ლაქების ზომა: 1. წვრილი-  $<5$  მმ, 2. საშუალო-  $5-15$  მმ, მსხვილი-  $>15$  მმ.

ლაქების კონტრასტულობა: 1. სუსტი - ლაქის ფერი მსგავსია ძირითადი (დომინანტი) ფერის და იგი შესამჩნევია მხოლოდ ყურადღებით დაკვირვების შემთხვევაში, 2. შესამჩნევი - ლაქის ფერი გამოირჩევა ძირითადი ფონისგან და ადგილად შესამჩნევია, 3. მკვეთრი - ლაქა მკვეთრად განსხვავდება ფონისგან და აშკარად შესამჩნევია.

ლაქების საზღვრების სიმკვეთრე: 1. მკვეთრი - ფერთა გადასვლის საზღვრები ნაკლები  $0,5$  მმ-ზე, 2. ნათელი - ფერთა გადასვლა  $0,5-2$  მმ საზღვრებშია, 3. შერეული - ფერთა გადასვლის საზღვრები მეტია  $2$  მმ-ზე.

ლაქიანობის შეფერილობის განსაზღვრის შემდეგ, ნიადაგის პროფილის შიგნით, შესაძლებელია ამომწურავი ინფორმაციის მიღება ფერის ხასიათზე.

საველე გამოკვლევების დროს ნიადაგების ფერის მახასიათებლები, უმეტესად, თვალით განისაზღვრება. ფერის დადგენა სასურველია ბუნებრივი ტენიანობის მდგომარეობაში, დღის განათებისას, ნიადაგის ჰაერმშრალ ნიმუშებში. ნიადაგების ფერის დასადგენად გამოიყენება მანსელის ფერთა სკალა, რომელიც პირველად იაპონიაში გამოიცა და ფართო აღიარება ჰპოვა. მანსელის სკალა მოიცავს ლათინური სიმბოლოებით გამოსახულ სამ განზომილებას: ელფერს (Hue), ფერის სიმკვეთრეს (Chroma) და ფერის ინტენსივობას (Value). მათი კომბინაციით აღინერება ფერი. მანსელის ფერთა სკალას მივყავართ კომპეტენტურ ფერამდე და მოსახერხებელია საველე აღწერებისთვის.




### მანსელის სკალა

ნიადაგების ფერის აღწერისას მითითებული უნდა იყოს შეფერილობის ხასიათი:

1. ფერი ერთგვაროვანია;
  2. ფერი არაერთგვაროვანია (ჭრელია).
- ფერის არაერთგვაროვნება განპირობებულია ლაქიანობით.

ლაქების შეფერილობის რაოდენობის შეფასება შესაძლებელია ნომოგრამის მეშვეობით, რომელიც ასევე გამოიყენება

ჩანართების, ახალქმნილებების და ხირხატიანობის ხარისხის შესაფასებლად.



ნიადაგის ლაქიანობის, ჩანართების, ახალქმნილებისა და ხირხატიანობის ხარისხის განმსაზღვრელი ნომოგრამა

**მექანიკური შედგენილობა.** ნიადაგებში მექანიკური ელემენტების ანუ სხვადასხვა ზომის ნაწილაკების რაოდენობრივი თანაფარდობა განსაზღვრავს მათ მექანიკურ ანუ გრანულომეტრულ შედგენილობას. მექანიკურ ელემენტებს დიამეტრის ანუ ზომის მიხედვით აჯგუფებენ და ფრაქციებს უწოდებენ. ძირითადი ფრაქციებია:  $>1$  მმ-ხირხატი,  $<1$  მმ-წვრილმინა,  $1-0,01$  მმ-ფიზიკური სილა,  $<0,01$  მმ-ფიზიკური თიხა,  $<0,001$  მმ-ლექი. ცალკეული ფრაქციები განსხვავდება ქიმიური და მინერალოგიური შედგენილობით, ფიზიკურ-ქიმიური და ფიზიკური თვისებებით და მათ შემცველობაზეა დამოკიდებული ნიადაგების ფიზიკური, ფიზიკურ-მექანიკური, წყლოვანი, ბიოლოგიური და ტექნოლოგიური თვისებები.

საველე პირობებში ნიადაგების მექანიკურ შედგენილობას აფასებენ ტენიან მდგომარეობაში შემდეგი კრიტერიუმებით:

ქვიშა - ნიადაგი არ განიცდის დეფორმაციას, იგრძნობა ძლიერი მარცვლიანობა;

თიხნარი - ნიადაგი თითების არ ეკვრის, არ არის მწებავი, სუსტად დეფორმირდება, აქვს უხეში ზედაპირი თითებს შორის გასრესვის შემდეგ, არის ძალიან ფქვილოვანი;

თიხა - ნიადაგი ეკვრის თითებს, არის მწებავი, შეუძლია ფორმის შეცვლა, აქვს მაღალი პლასტიკურობა და მბრნყინავი ზედაპირი თითებს შორის გასრესვის შემდეგ;

ნიადაგების მექანიკური (გრანულომეტრული) შედგენილობის საბოლოო დადგენა ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემთა საფუძველზე ხდება. ნიადაგების კლასიფიკაცია მექანიკური შედგენილობის (ფიზიკური თიხის ნაწილაკების რაოდენობა, %) მიხედვით: მძიმე თიხა  $>80$ ; საშუალო თიხა 65-80; მსუბუქი თიხა 50-65; მძიმე თიხნარი 40-50; საშუა-



ველზე ნიადაგის მექანიკური შედგენილობის დადგენა



ლო თიხნარი 30-40; მსუბუქი თიხნარი 20-30; ქვიშნარი 10-20; ქვიშა 0-10.

საველე გამოკვლევისას, ნიადაგის პროფილის ჰორიზონტების მიხედვით განსაზღვრავენ მექანიკურ შედგენილობას ორგანოლეპტიკური მეთოდით (შეფასება გრძნობების ორგანოების მეშვეობით) – თითებშუა ნიადაგის ნიმუშის გასრესვით.

ნიადაგების მორფოლოგიური აღწერისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ნიადაგების მექანიკური შედგენილობის დახასიათება მთლიანობაში (მაგალითად, ქვიშიანი ნიადაგი, თიხიანი ნიადაგი და ა.შ.), არამედ მექანიკური შედგენილობის ცვლილების დადგენაც ჰორიზონტების მიხედვით ნიადაგის პროფილის საზღვრებში.

ცალკეული ნიადაგი მექანიკური შედგენილობის სპეციფიკური პროფილით ხასიათდება. მექანიკური შედგენილობის შესწავლის საველე მეთოდი ემპირიულია (ანუ გულისხმობს დაკვირვებას ბუნებრივ პირობებში) და მისი სიზუსტე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მკვლევარის გამოცდილებაზე.



ნიადაგის ნიმუშს ასველებენ, თითებით სრესენ, ხელის-გულზე ათავსებენ და ასორსოლებენ.



ნიადაგის მექანიკური შედგენილობის განსაზღვრა  
ორგანოლეპტიკური მეთოდით

„ფაო“-ს მიერ 1990 წელს შემუშავებული იყო მექანიკური შედგენილობის განმსაზღვრელი სამკუთხედი/დიაგრამა.

### ნაწილაკთა ზომის კლასები მექ. შედგენილობის კლასები



მექანიკური შედგენილობის განესაზღვრული  
სამკუთხედი/დიაგრამა.

ნიადაგის მექანიკური შედგენილობის კლასების (რომ-ლებიც აღწერენ სხვადასხვა ზომის კომბინირებული მექანიკური ელემენტების კლასებს) განსაზღვრისთვის იყენებენ სამკუთხედის ფორმის დიაგრამას. სამკუთხედის საშუალებით ნიადაგის ტექსტურას ეძლევა დასახელება, რომელიც დაკავშირებულია ქვიშის, მტვრის (ფიზიკური თიხის ფრაქცია ჩვენი კლასიფიკაციის მიხედვით) და თიხის (ლექის ფრაქცია ჩვენი კლასიფიკაციის) ნაწილაკების პროცენტულ თანაფარდობასთან. სამკუთხედის შიგნით, ცალკეულ სამკუთხა ფორმაში, მითითებულია ძირითადი ტექსტურული (მექანიკური შედგენილობის) კლასები (მაგ.: თიხა, თიხნარი, გაქვიშებული თიხნარი და ა.შ.). სამკუთხედის ცალკეულ გვერდზე გამოსახულია თიხის, ქვიშის და მტვრის ნაწილაკების პროცენტული რაოდენობები, რომელთა მაჩვენებლები ურთიერთკავშირშია ტექსტურის ძირითად კლასებთან (პროცენტული მაჩვენებლების გადაკვეთის ადგილი ემთხვევა სამკუთხედის შიგნით დაფიქსირებულ შესაბამის ტექსტურულ კლასს).

ნიადაგის მექანიკური შედგენილობის საბოლოო დადგენა ხდება ლაბორატორიული გამოკვლევების მონაცემთა საფუძველზე. ამიტომ, ბუნებრივია, რომ მისი საველე განსაზღვრა არავითარ შემთხვევაში არ ცვლის ანალიზურ კვლევას ლაბორატორიაში. მიუხედავად ამისა, მექანიკური შედგენილობის გამოკვლევა ყოველთვის უნდა ჩატარდეს ველზე, ნიადაგების მორფოლოგიური აღწერის/ანალიზის მიზნით.

მექანიკურ შედგენილობას უშუალოდ უკავშირდება ნიადაგის ხირხატიანობა.

ხირხატის/ქანის ფრაგმენტების რაოდენობის (მოცულობითი) საველე აღწერისას, „ფაო“-ს სტანდარტების მიხედვით იყენებენ შემდეგ გრადაციებს:

არ არის	0 %;
ძალიან ცოტა	0–2 %;
ცოტა	3–5 %;

საშუალო	6–15 %;
ბევრი	16–40 %;
ჭარბი	41–80 %;
ზეჭარბი	> 80 %.
ხირხატის ზომას აღწერენ შემდეგი მაჩვენებლებით:	
წვრილი ხრეში	0,2–0,6 სმ;
საშუალო ხრეში	0,7–2 სმ;
მსხვილი ხრეში	3–6 სმ;
ქვები	7–20 სმ;
კაჭრები	21–60 სმ;
დიდი კაჭრები	> 60 სმ.

**ნიადაგის სტრუქტურა** წარმოადგენს სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის აგრეგატების ერთობლიობას. აგრეგატები ანუ პედები ეწოდება სტრუქტურულ ერთეულებს/ელემენტებს, რომელთაგანაც შედგება ნიადაგის მასა. ნიადაგებში სტრუქტურული აგრეგატები წარმოიქმნება ცალკეული მექანიკური ელემენტების შეწებებით/შეცემენტებით.



ნიადაგის სტრუქტურული ერთეული/აგრეგატი

ბუნებრივ მდგომარეობაში ნიადაგებს ახასიათებთ სტრუქტურიანობა ანუ უნარი დაიშალონ სხვადასხვა ზომის და ფორმის სტრუქტურულ აგრეგატებად. ზომის მიხედვით არჩევენ:

1. მიკროაგრეგატებს (მიკროსტრუქტურა) – 0,2 მმ-ზე ნაკლები დიამეტრის მქონე აგრეგატებს;
2. მეზოაგრეგატებს (მეზოსტრუქტურა) – 0,25–7 (10) მმ ზომის აგრეგატებს;
3. მაკროაგრეგატებს (მაკროსტრუქტურა) 7 (10) მმ-ზე მეტი დიამეტრის აგრეგატებს.



### სხვადასხვა ზომის სტრუქტურული ერთეულები/ აგრეგატები

ფორმის მიხედვით განასხვავებენ სტრუქტურული აგრე-  
გატების სამ ტიპს: კუბურს, პრიზმულს და ფიქალოვანს.

კუბური ტიპის სტრუქტურულ აგრეგატებს სამივე გან-  
ზომილება - სიგრძე, სიგანე, სიმაღლე - დაახლოებით თანაბარი  
აქვს და წააგავს კუბს ან სფეროს. პრიზმული სტრუქტურუ-  
ლი აგრეგატის ორი განზომილება - სიგრძე-სიგანე არათანა-  
ბარია, შედარებით სიმაღლეზეა განვითარებული და გააჩნია  
პრიზმის ან სვეტის ფორმა. ფიქალოვანი აგრეგატი სი-  
მაღლეზე სუსტად არის განვითარებული, გაბრტყელებულია  
და მოგვაგონებს ფიქალს-ფირფიტას.

წყალმტკიცე ანუ წყალმედეგი სტრუქტურა წყლის ზემო-  
ქმედებით არ იშლება ან ნაწილობრივ იყოფა მიკროაგრე-  
გატებად. აგრონომიულად ვარგისი სტრუქტურა (გოროხო-

ვან-მარცვლოვანი) ნიადაგებს ანიჭებს ფხვიერ აგებულებას, აადვილევს თესლის აღმონაცენებას, მცენარეთა ფესვების განვითარებას და ნიადაგების მექანიკურ დამუშავებას. აგრონომიული თვალსაზრისით, სტრუქტურული ნიადაგები მდგრადია წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისადმი.



ა



ბ

**წყალმტკიცე და ფორმოვანი მიკროსტრუქტურა (ა) და  
მიკროაგრეგატების გამკვრივებით წარმოქმნილი ქერქი (ბ)**

საველე ნიადაგური კვლევისას აღინიშნება სტრუქტურის/სტრუქტურული აგრეგატების დიაგნოსტიკური მაჩვენებლები: ხარისხი, კლასი და ტიპი.

სტრუქტურის ხარისხი ნიადაგის გასტრუქტურიანების დონეს გამოხატავს. გამოყოფენ მის ოთხ გრადაციას:

უსტრუქტურო-ნიადაგებში აგრეგაცია ანუ აგრეგატების/პედების წარმოქმნის პროცესი არ შეიმჩნევა;

სუსტი სტრუქტურა-ნიადაგებში ბევრია არააგრეგირებული მასალა და პედები ნაკლებად შესამჩნევია;

საშუალო სტრუქტურა-ნიადაგებში შეიმჩნევა სხვადასხვაგვარი, ზომიერად მტკიცე აგრეგატები, მცირეა არააგრეგირებული მასალა;

ძლიერი სტრუქტურა-დაურღვეველ მდგომარეობაში ნათლად ჩანს აგრეგატები და მსუბუქი ზემოქმედებით არ იშლებიან პედებად;

სტრუქტურული აგრეგატების ფორმებით განისაზღვრებიან სტრუქტურის ტიპები: ფიქალოვანი, პრიზმული/სვეტოვანი, ბელტოვანი (დაკუთხული ბასრი და ბლაგვი წვეროებით) და მარცვლოვანი.


### სტრუქტურის კლასებად დაყოფა

აგრეგატის ზომა, მმ	ფიქალოვანი	პრიზმული/ სვეტოვანი	ბელტოვანი	მარცვლოვანი
ძალიან წვრილი	<1	<10	<5	<1
წვრილი	1-2	10-20	5-10	1-2
საშუალო	2-5	20-50	10-20	2-5
მსხვილი	5-10	50-100	20-50	5-10
ძალიან მსხვილი	>10	>100	≥50	≥10

საველე-ექსპედიციური გამოკვლევის პირობებში აწარმოებენ ნიადაგების სტრუქტურის სიმტკიცისა და სიმაგრის განსაზღვრას. სიმტკიცის დასადგენად სტრუქტურულ ერთეულებს ჩაყრიან ფინჯანში – მტკიცე სტრუქტურის ნიადაგი მაღე არ იშლება ანუ შენარჩუნებულია აგრეგატების ფორმა და სიდიდე. სიმტკიცეს მოკლებული სტრუქტურა, პირიქით, სწრაფად ჩაიშლება წყალში. ნიადაგების სტრუქტურის სიმაგრის გასაგებად აგრეგატებს თითებშუა მოაქცევენ და სრესენ. მაგარი აგრეგატები ძნელად იშლებიან, სუსტი სიმაგრის სტრუქტურული ერთეულები, პირიქით, ადვილად იფშვნება.

**ნიადაგის აგებულება** ფორიანობის და სიმკვრივის/სიმაგრის გარეგან გამოხატულებას წარმოადგენს და გვიჩვენებს ნიადაგის მასაში ნაწილაკთა შორის კავშირს.

ნებისმიერი ნიადაგი ფორმვანი სხეულია, მაგრამ სხვა-დასხვა ნიადაგში ფორმიანობის ხასიათი, ფორმების ზომები, კონფიგურაცია (ურთიერთგანლაგება) განსხვავებულია.



### სიცარიელები/ფორმები

ნიადაგში განასხვავებენ ფორმიანობის სხვადასხვა სახეს: საერთო, კაპილარული და არაკაპილარული ფორმიანობა.

განასხვავებენ ნიადაგის აგებულების შემდეგ ტიპს:

- წვრილფორმიანი (ფორმების დიამეტრი  $< 1$  მმ);
- ფორმიანი (ფორმების დიამეტრი 1-3 მმ);
- ღრუბლისებრი (სიცარიელების დიამეტრი 3-5 მმ);
- ხვრელოვანი (სიცარიელების დიამეტრი 5-10 მმ);
- დანაპრალებული (თავისუფალი ადგილების დიამეტრი  $>10$  მმ).

ნიადაგების აგებულების მეორე მსაზღვრელი სიმკვრივეა, ანუ მათი წინააღმდეგობის უნარის გარკვეული ძალით დაწოლის მქონე სხეულის მიმართ.

გამოყოფენ სიმკვრივის შემდეგ კატეგორიებს:

- ძალიან მკვრივი - მოსათხრელად იყენებენ წერაქვს ან ლომს;
- მკვრივი - ნიადაგი ბარით ძნელად ითხრება;
- მომკვრივო - ბარით შედარებით ადვილად ითხრება;



### მოფხვიერონ ნიადაგის ნიმუში

- მოფხვიერონ - ბარით ადვილად ითხრება;
- ფხვიერი - დანის ან ბარის შეხებით ნიადაგი ადვილად იფშვნება;
- ბნევადი - ნიადაგის მასა ხასიათდება ბნევადობის თვისებით.



### ბნევადი ნიადაგის ნიმუში

ნიადაგის აგებულებასთან უშუალოდ დაკავშირებულია მისი კონსისტენცია, ანუ თვისებათა ერთობლიობა, რომელ-საც ნიადაგი იღებს ზემოქმედების შედეგად და უპირველე-სად მუღავნდება ფორმების შეცვლაში წინააღმდეგობის გაწე-ვის უნარით.



კონსისტენციის მაგალითები



წებოვნების განსაზღვრა ველზე

წებოვნებას უწოდებენ ნიადაგის ნაწილაკების თვისებას გარკვეული ტენიანობის პირობებში მიეწებონ ერთმანეთს და გარეშე სხეულს (ხე, ლითონი და სხვ.).

გამოყოფენ წებოვნების შემდეგ გრადაციებს:

- არაწებოვანი – მოსრესვის შემდეგ თითებზე არ რჩება მიწებული მასალა;

- სუსტად წებოვანი – თითებს ეწებება უმნიშვნელოდ;
  - ზომიერად წებოვანი – ნიადაგის მასის გასრესის შემდეგ თითებზე რჩება ძნელად მოსაშორებელი მიწებებული მასალა;
  - ძალიან წებოვანი - ნიადაგის მასა ძალიან წებოვანია.
- განასხვავებენ ნიადაგების მასის საერთო აგებულების შემდეგ ტიპებს: ფხვიერი, მკვრივი, დაწიდული და ქვიანი.

**ახალწარმონაქმნებია** სხვადასხვა ფორმისა და შედგენილობის ნივთიერებების დაგროვება. ისინი წარმოიქმნებიან და იღებებიან ნიადაგების ჰორიზონტებში ქიმიური, ბიოლოგიური, ფიზიკური პროცესების, აგრეთვე მცენარეთა და ცხოველთა უშუალო ზემოქმედების შედეგად. ახალწარმონაქმნები მორფოლოგიურად კარგად გამოხატული ნივთიერებებია, რომლებიც ფორმირდებიან ნიადაგნარმოქმნის პროცესში და ნიადაგის მასისგან განსხვავდებიან შედგენილობითა და აგებულებით. ნიადაგების ახალწარმონაქმნების კლასიფიკაცია ეფუძნება ორ ძირითად მახასიათებელს: 1. შედგენილობას და 2. ფორმას.

ახალწარმონაქმნები, შემადგენელი ნივთიერებების მიხედვით, იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად: 1. ადვილად ხსნადი მარილები ( $\text{NaCl}$ ,  $\text{CaCl}_2$ ,  $\text{MgCl}_2$ ,  $\text{Na}_2\text{SO}_4$ ,  $\text{MgSO}_4$  და სხვ.); 2. თაბაშირი ( $\text{CaSO}_4 \times 2\text{H}_2\text{O}$ ); 3. კალციუმისა და მაგნიუმის კარბონატები ( $\text{CaCO}_3$ ,  $\text{MgCO}_3$ ); 4. რკინის, ალუმინის, მანგანუმის, ფოსფორის ჟანგები ( $\text{Fe}_2\text{O}_3$ ,  $\text{Al}_2\text{O}_3$ ,  $\text{Mn}_3\text{O}_4$ ,  $\text{P}_2\text{O}_5$ ); 5. კაუმინა ( $\text{SiO}_2$ ); 6. თიხამინერალები (სილიკატები); 7. ჰუმუსიანი ნივთიერებები.

ახალწარმონაქმნების ფორმები მრავალგვარია: ქერქი, ნაფიფქი, კრისტალები, ძარღვები, ფირფიტები, წინწკლები (წერტილები), ცრუმიცელიუმი („ობი“), თვლები (ხალები), კონკრეციები, მინაგლესები, ლაქები, ნაღვენთები, ნაწვეთები, ორტშტეინები, აფსკები, გამონალექი და სხვ.

ახალწარმონაქმნებს დიდი დიაგნოსტიკური მნიშვნელობა აქვთ. სხვადასხვა ტიპის ნიადაგები ხასიათდებიან მათთ-




**ახალწარმონაქმნების ფორმები**

ვის დამახასიათებელი სპეციფიკური ახალწარმონაქმნებით, რაც ნიადაგების საველე გამოკვლევების დროს აადვილებს დიაგნოსტიკას და ნიადაგების ტიპების დადგენას. ადვილად ხსნადი მარილების ახალწარმონაქმნები ახასიათებთ დამლაშებულ ნიადაგებს. ისინი მორფოლოგიური მრავალგვარობით გამოიჩინებიან და დამოკიდებული არიან მარილების დაგროვების ხარისხზე. მარილების ახალქმნილებების ძირითადი ფორმებია: თეთრი ძარღვები, თეთრი წინწკლები, მოთეთრო ნაფიფქები და გამონალექი, იშვიათად ფსევდომიცელიუმსაც ქმნიან. დამლაშების ხარისხის მიხედვით წარმოიქმნება მარილიანი შრეები და სხვადასხვა სისქის მარილიანი ქერქი. თაბაშირის ახალწარმონაქმნები დამახასითებელია მშრალი სტეპის ნიადაგებისთვის, საკმაოდ სპეციფიკურია და კარგად გამოიყოფა მორფოლოგიურად. ნიადაგებში ყველაზე ხშირად გამოვლენილია თაბაშირის წვრილკრისტალური კონკრეციები, მსხვილი კრისტალები, ნაფიფქები, თეთრი

წინწკლები, ფსევდომიცელიუმი, თეთრი ძარღვები. ნახევ-რად უდაბნოს და უდაბნოს ნიადაგებში ხშირად გამოიყოფა თაპაშირის ქერქები: გაჯი, წვრილკრისტალური ან მსხვილ-კრისტალური შრეები. კაჟმინის ახალწარმონაქმნი ე.წ. კა-ჟმინის მინაფრქვევი, განსაკუთრებით დამახასიათებელია ეწერებისთვის და სოლოდებისთვის. ის წარმოადგენს წვრილ მოთეთრო (რუხ-მონაცრისფრო) ნაფიფქს აგრაგატების ზედაპირზე. ნიადაგებში ასევე გავრცელებულია კაჟმინის ახალწარმონაქმნების შემდეგი ფორმები: მოთეთრო ლაქები, ენები (სოლები), ნაღვენთები. ფართოდაა გავრცელებული კირიან-კაჟმინიანი ქერქი და შრეები, კაჟიან-თაპაშირიანი კონკრეციები. რკინის, ალუმინის, მანგანუმის და ფოსფორის უანგების ახალწარმონაქმნები გავრცელებულია წითელმინებ-ში, ყვითელმინებში და ასევე ტენიანი სუბტროპიკული ზონის სხვა ნიადაგებში. რკინა-მანგანუმიანი ახალწარმონაქმნების ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმაა კონკრეცია, გან-საკუთრებით ჭარბი დატენიანების პირობებში. ერთნახევარი უანგებისა და მანგანუმის უანგის ახალწარმონაქმნები ხასი-ათდებიან შემდეგი ფორმებით: უანგისფერი ნაოფლარები და ქერქები ნიადაგების ბზარებისა და აგრეგატების ზედაპირზე, უანგისფერი ლაქები და ღვენთილები. რკინის ქვეუანგების ახალწარმონაქმნები დამახასითებელია ჭარბიანი ნიადაგები-სთვის. მათი გავრცელებული ფორმებია: მომტრედისფერო აფსკები, მომწვანო რუხი ლაქები, ლურჯი ვივიანიტის ნაო-ფლარები და კონკრეციები.

ნიადაგებში საკმაოდ გავრცელებულია კარბონატების ახალწარმონაქმნები. ისინი გავრცელებულია სხვადასხვა ბუ-ნებრივ ზონებში, კარბონატული ქანების არეალში. კარბონა-ტები სხვადასხვა ფორმის ახალქმნილებებს წარმოქმნიან: გამონალექს, ძარღვებს, ნაფიფქს, წინწკლებს, ფსევდომიცე-ლიუმს („ობს“), ხალებს (თვლებს), კონკრეციებს, კრისტალებს. ეს ახალწარმონაქმნები ყველაზე ახალგაზრდა ფორმებია.



### ჟანგიანი და მტრედისფედრი ლაქები

ქერქი, ჯავშანი, შრეები წარმოადგენენ ნიადაგნარმოქმნის ძველ პირობებთან დაკავშირებულ წარმონაქმნებს. ველზე კარბონატულობა განისაზღვრება ნიადაგის მასაზე 10% HCl-ის ზემოქმედებით. როდესაც ნიადაგი კარბონატულია, მაშინ მარილმჟავასთან ურთიერთობისას შიშინებს (შხუის) და გამოიყოფა ნახშირორჟანგი ბუმტების სახით. მარილმჟავას ზემოქმედებაზე მაგნიუმის კარბონატები რეაგირებენ გაცილებით სუსტად, ვიდრე კალციუმის კარბონატები. ნიადაგის ჰორიზონტებზე 10% HCl-ის ზემოქმედებით აღინიშნება შემდეგი ვარიანტები: 1. არ შიშინებს; 2. შიშინი თვალით არ შეიმჩნევა; 3. შიშინი თვალით შესამჩნევია; 4. ძლიერ შიშ-



კარბონატების დადგენა ველზე 10% HCL ზემოქმედებით


ინებს – რეაქციის შედეგად წარმოიქმნება ქაფი და ჩნდება ბუშტები; 5. ძალიან ძლიერ შიშინებს – რეაქციის შედეგად წარმოიქმნება სქელი ქაფი, ძლიერ შხუის და გამოიყოფა ბევრი ბუშტი.

ნიადაგებში გავრცელებულია ბიოლოგიური წარმოშობის ახალქმნილებები: ნაჭიარი, ნაფესურები, ნათხუნელარი. ნიადაგებში თრიას, ზაზუნას, თხუნელას და სხვ. ცხოველების მოძრაობით ჩნდება ახალქმნილი „სოროები“, რომლებიც ამოვსებულია ზემოდან ჩამოტანილი ჰუმუსოვანი ნივთიერებებით. ჭიაყელებისა და სხვა ჭიების კუჭ-ნანწლავიდან ექსკრემენტების სახით გამოყოფილი ლორწოვანი ნივთიერებები მცირებორგლების სახით ნიადაგის მასას აწებებენ და წარმოქმნიან ე.წ. ზოოლოგიურ ახალქმნილებებს.

თიხამინერალები წარმოქმნიან სპეციფიკურ ახალწარმონაქმნებს: თიხის აფსკებს, თიხის ნაღვენთებს, თიხის ქერქებს სტრუქტურული ერთეულების ზედაპირზე. ნიადაგებში ფართოდაა გავრცელებული თიხა-ჰუმუსიანი აფსკები და ნაღვენთები აგრეგატების წახნაგებზე; ასევე ხშირია მილისებრი ფორმის ჰუმუსიან-თიხიანი ახალწარმონაქმნი ფესვების გასავალზე. ორგანული წარმოშობის ახალწარმონაქმნებიდან აღსანიშნავია ჰუმუსის აფსკები და ღვენთილები აგრეგატების ზედაპირზე პრიალა ლაქებისა და ზოლების სახით. ჰუმუსის ახალწარმონაქმნების ფორმებს ასევე წარმოადგენს ჰუმუსის ლაქები, სოლები და ჰუმუსის ქერქი.

კუტანი ენოდება ახალწარმონაქმნებს, რომლებიც გამოვლენილია აფსკების სახით აგრეგატების, ჩანართებისა და ქვების ზედაპირზე. ის აერთიანებს: თიხის აფსკებსა და ღვენთილებს, რკინის ლაქებსა და აფსკებს, მანგანუმის აფსკებს, კაუმინის მინაფრქვევებს, კარბონატულ ცრუმიცელიუმებს, ქერქებს, ნაფიფქებს, მინაგლესებს. კუტანი არის ნიადაგის მასალის ბუნებრივი ზედაპირების აგებულებაში, მექანიკურ შედგენილობასა და სტრუქტურაში მომხდარი


ცვლილება, რომელიც გამოწვეულია ნიადაგის ცალკეული კომპონენტების კონცენტრაციით “*in situ*”. კუტანები დაყოფილია ადგილმდებარეობის მიხედვით: აგრაგატების კუტანები, ზედაპირის კუტანები, ფორების კუტანები. შედგენილობის მიხედვით განასხვავებენ შემდეგ კუტანებს: თიხიანი, ერთნახევარი ჟანგების, მანგანუმის ოქსიდების, კალციუმის კარბონატის, თაბაშირის, წყალხსნადი მარილების, კაჟმინის, რთული (შედგება რამდენიმე მასალისგან).



### ჰუმუსოვანი აფსკები/კუტანები

საველე ანალიზის დროს კუტანები აღინიშნება შემდეგი მაჩვენებლებით: რაოდენობა, ბუნება, ადგილმდებარეობა, გამოხატულების სიმკვეთრე. კუტანის რაოდენობას ადგენენ მის მიერ გადაფარული აგრეგატების ზედაპირების მიხედვით და სარგებლობენ ნომოგრამით, რომლის მიხედვითაც გამოიყოფა შემდეგი გრადაციები: 1. 0% – არ არის; 2. 0-2% – ძალიან ცოტა; 3. 2-5% – ცოტა; 4. 5-15% – საშუალო; 5. 15-40% – ბევრი; 6. 40-80% – ძალიან ბევრი. კუტანის ბუნება აღინიშნება შემდეგნაირად: თიხიანი; თიხა-ერთნახევარ ჟანგეულებიანი; თიხა-ჰუმუსიანი; დატკეპნილი ზედაპირები; ნაწილობრივ გადაკვეთილი „სლიქენსაიდები“ (გაპრიალებული და ღრმულიანი ზედაპირები, რომლების ნარმოიქმნები-

ან ერთი მასის მეორეზე სრიალით); ძლიერად გადაკვეთილი „სლიქენსაიდები“; მბზინავი ზედაპირები. ადგილმდებარეობის მიხედვით კუტანები გამოიყოფიან: აგრეგატის ზედაპირზე; აგრეგატის ვერტიკალურ ზედაპირზე; აგრეგატის ჰორიზონტალურ ზედაპირზე; მსხვილი ფრაგმენტები; ფენები (თიხის გუნდები); ფორებში; არ აქვს სპეციფიკური ადგილმდებარეობა. გამოხატულების სიმკვეთრის ანუ კონტრასტულობის მიხედვით აღინერება სუსტი, განსხვავებული და შესამჩნევი კუტანები.



**წითელი - ჰემატიტისა ( $Fe_2O_3$ ) და ჰეტიტის ( $FeO(OH)$ ) აფსკები;**  
**ყვითელი - ჰეტიტის აფსკები; ლურჯი - კუტანებს ადგილი არა აქვს**

ახალწარმონაქმნების საველე დიაგნოსტიკის დროს აუცილებელია აღინიშნოს მათი შემდეგი პარამეტრები: ადგილმდებარეობა, ფერი, ფორმა, ზომა და რაოდენობა. მათი მორფოლოგიური აღწერისას გამოიყენება ლანცეტი, ლუპა, მანსელის ფერთა სკალა.

ნიადაგების და მათი ცალკეული ჰორიზონტების მნიშვნელოვან დიაგნოსტიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მცენა-



### „სლიქენსლაიდები“

(გაპრიალებული და ღრმულიანი ზედაპირები, რომლებიც  
ნარმოიქმნება ერთი მასის მეორეზე სრიალით)


რეთა ფესვების რაოდენობა და მათი გავრცელება. საველე დიაგნოსტიკის დროს, დეტალურად აღიწერება მცენარეთა ფესვთა სისტემის განაწილების ხასიათი – ფესვების ზომები და რაოდენობა.

ნიადაგების პროფილში ფესვების განაწილების დახასიათებისთვის ადგენენ: 1. ფესვების რაოდენობას და 2. ზომებს.

ფესვების რაოდენობის აღწერისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი მაჩვენებლები: 1. არ არის ფესვი – ფესვები არ ჩანს; 2. ერთეული ფესვები – 1-2 ფესვი; 3. იშვიათად ფესვები – 3-7 ფესვი; 4. ცოტა ფესვი – 7-15 ფესვი; 5. ბევრი ფესვი – თითოეულ კვადრატულ დეციმეტრზე არის რამდენიმე ფესვი; 6. ხშირი ფესვები – ფესვები ქმნიან ერთიან ქსელს; 7. კორდი – პორიზონტის მოცულობის 50%-ზე მეტს ფესვები შეადგენენ.

ფესვების ზომების (მმ) დახასიათებისთვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: 1. ძალიან წვრილი ფესვები – 1-2 მმ; 2. წვრილი ფესვები – 2-5 მმ; 3. საშუალო ფესვები – 5-10 მმ; 4. საშუალო ფესვები – 5-10 მმ; 5. მსხვილი ფესვები – >10 მმ.

ნიადაგების მორფოლოგიური აღწერის დროს საჭიროა ვიზუალურად განისაზღვროს ტენიანობა, რომელიც ფასდება ცალკეული ჰორიზონტის ტენიანობით, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავს მთლიანი პროფილის დატენიანების ხარისხს. აღნიშნული ტენიანობა არ წარმოადგენს დიაგნოსტიკურ თვისებას, რამდენადაც მნიშვნელოვნად და სწრაფად ცვალებადობს დროში. საველე პირობებში ტენიანობის განსაზღვრა მიახლოებითაა, რაც სრულიად საკმარისია მორფოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით. ტენიანობა გათვალისწინებული უნდა იქნას სხვა დიაგნოსტიკური თვისებების (ფერი, სტრუქტურა, აგებულება) დასადგენად.



**ნიადაგის მშრალი და ნოტიო ნიმუშები**

ტენიანობის საველე აღწერისას გამოყენებული უნდა იქნას შემდეგი კრიტერიუმები: 1. მშრალი ნიადაგი – ხელის შეხებით ტენი არ იგრძნობა, გამოშრობისას არ ღიავდება და წყლის დამატებით მუქდება, ხელს არ აცივებს; 2. მონესტიანო ნიადაგი – არ მტვრიანდება თითებშუა მოსრუსვით, ხელის შეხებისას სიგრილე იგრძნობა, გამოშრობისას უმნიშვნელოდ ღიავდება, წყლის დამატებით მუქდება; 3. ნესტიანი ნიადაგი – თითების შეხებით სინესტე იგრძნობა და ნიადაგი ატენიანებს ფილტრის ქალალდს. გამოშრობისას მნიშვნელოვნად ღიავდება, წყლის დამატებით არ მუქდება; 4. ტენიანი ნიადა-

გი – ხელის შეხებით ტენი იგრძნობა, გამოშრობის დროს ღი-ავდება, წყლის დამატებით არ მუქდება; 5. სველი ნიადაგი – ნიადაგის ნიმუშის თითებშუა მოსრუსით ან გატეხვის შემდეგ ჩანს წყლის წვეთები, დასველებით ფერს არ იცვლის; 6. ძალიან სველი – ნიადაგის ნიმუშზე ჩანს წყლის წვეთები ან ნიადაგური ჭრილის კედელზე წყალი მოჟონავს, დასველების შედეგად ფერს არ იცვლის.

## თავი IV. ნიადაგის გამოყენებითი ასაექტები

### IV.1. აგროქიმიური კვლევა

ნიადაგის ნიმუშების აღება აგროქიმიური გამოკვლევისათვის უმჯობესია გაზაფხულზე ან შემოდგომაზე. სასუქების შეტანის შემდეგ ნიადაგის შერეული ნიმუშების აღება დასაშვებია 3 თვის შემდეგ.

ერთნაირი რელიეფისა და თანაბარი ნაყოფიერების მქონე სავარგულიდან ერთი შერეული ნიმუშის აღება შესაძლებელია 15-20 ჰა ფართობიდან. ბოსტნეული კულტურებისათვის მუავე ნიადაგზე ერთი შერეული ნიმუშის აღება წარმოებს 2-3 ჰა-ზე, კარბონატულ ნიადაგზე - 3-5 ჰა-ზე. მრავალწლიანი კულტურების ქვეშ 5-8 ჰა-ზე.


ერთწლიანი კულტურების ქვეშ ერთი შერეული ნიმუშის აღება წარმოებს ორ სილრმეზე 0-20 და 20-40 სმ. მრავალწლიანი კულტურების ქვეშ სამ 0-20; 20-40 და 40-60 სმ სილრმეებზე.

ნიადაგის შერეული ნიმუშის ასაღებად ნაკვეთს ვყოფთ დიაგონალებით ოთხ ნაწილად და დიაგონალებზე ვიწყებთ ნიმუშის აღებას. ნიმუშის აღებამდე ორმოს ამოსაჭრელ ადგილს ვასუფთავებთ ბალახებისაგან და სხვა ჩანართებისაგან. ერთწლიანი კულტურებისთვის ელემენტარული ნაკვეთის სიდიდის მიხედვით ნიადაგის ნიმუშების აღებას ვაწარმოეთ მინიმუმ 5-12 ადგილიდან. ამისათვის ვჭრით  $40 \times 40$  სმ სიგრძე სიგანისა და 40 ან 60 სმ სილრმის ორმოს. ჩაუშვებთ შიგ სახაზავს, დანით გავხაზავთ ასაღებ ფენებს და თითოეული ორმოდან დანით ცალ-ცალკე ფრთხილად ვიღებთ ნიადაგის ნიმუშს (200 გრ). თავდაპირველად ვიღებთ ქვედა 40-60 სმ ფენას (ნიმუში № 3) შემდეგ 20-40 (ნიმუში № 2) და 0-20 სმ სილრმიდან (ნიმუში № 1). აღებულ ნიმუშებს ცალ-ცალკე ვათავსებთ პოლიეთილენის სხვადასხვა ფერის პარკებში.


ხუთივე ორმოდან ამოლებული ნიადაგის ყველა 0-20 სმ-იან ფენას ვათავსებთ ერთ პარკში, 20-40 სმ-იან ფენას – მეორე პარკში და 40-60 სმ-იან ფენას – მესამე პარკში. შერეულ ნიმუშს ვუკეთებთ ეტიკეტს, რომელზედაც ფანქრით ვაწერთ: რაიონის, სოფლის და ნაკვეთის სახელწოდებას, ნიმუშის ნომერს, მის სილრმეს, აღების თარიღს და ამღების გვარს.

დიდ ფართობზე, საკადასტრო რუკის გამოყენებით ნაკვეთი უნდა დავყოფთ 2 ან 5 ელემენტარულ ნაკვეთად და თითოეულ ნაკვეთზე ცალ ცალკე ვიღებთ ნიმუშებს.


### ნიადაგის ნიმუშების აღების სქემა



## ნიმუშების აღება ჭრილიდან



ა) ერთწლიანი კულტურების ქვეშ



ბ) მრავალწლიანი კულტურების ქვეშ

## ეტიკეტის გაფორმების ნიმუში

ა)

ყვარლის რაიონი, სოფ.  
გრემი  
ნაკვეთი №1  
0-20 სმ  
ნიმუშის ამლების გვარი,  
ნიმუშის ალების თარიღი

ბ)

ყვარლის რაიონი, სოფ.  
გრემი  
ნაკვეთი №1  
20-40 სმ  
ნიმუშის ამლების გვარი,  
ნიმუშის ალების თარიღი

გ)

ყვარლის რაიონი, სოფ.  
გრემი  
ნაკვეთი №1  
40-60 სმ  
ნიმუშის ამლების გვარი,  
ნიმუშის ალების თარიღი

მეორე ნაკვეთზე გადასვლისას ეტიკეტზე ვაწერთ ნაკვეთი №2 და  
ნიმუშის ნომერი №4, 5 და 6. და ა.შ.

## IV.2. მიკროორგანიზმების კვლევა

ნიადაგებში ხდება მიკროორგანიზმების ცალკეული გვარების გავრცელების დადგენა.

კონკრეტული ნიადაგის შერჩევის შემდეგ ხდება 5 მეტრის რადიუსზე 5 წერტილის მონიშვნა – 4 დიაგონალურად და ერთი ცენტრში. ნიადაგის ნიმუშის აღება წარმოებს 15-20 სმ-ის სიღრმიდან, სტერილური შპატელით. ნიმუშები თავსდება წინასწარ მომზადებულ სტერილურ პერგამენტის ან პოლიეთილენის კონვერტებში. ნიმუშები შეიძლება მოთავსდეს გასტერილებულ ჭურჭელში (კოლბები) ბამბის საცობით.

ნიმუშები ასეთი სახით ხვდება ლაბორატორიაში. თუ გამოყოფა არ წარიმართა იმავე დღეს, ნიმუშები თავსდება მაცივარში  $4-5^{\circ}\text{C}$ -ზე, არა უმეტეს 48სთ. საველე პირობებში, ლაბორატორიაში მიტანამდე ნიმუშები რამოდენიმე საათით თავსდება ჰაერზე, არ უნდა ხდებოდეს მზის სხივების უშუალო ზემოქმედება.

ლაბორატორიაში გასაშუალებული ნიმუშის მოსამზადებლად კონკრეტული ნიადაგის ხუთივე ნიმუში თავსდება სტერილურ, მკვრივი ქაღალდის ფურცელზე და სტერილური შპატელით კარგად მუშავდება (ირევა), იცრება 2მმ დიამეტრის საცერში, მოცილდება მცენარის ფესვები, ქვები და მყარი საგნები.

მოცილდება ქვები და მყარი საგნები.

ნიმუშის ჩათესვის წინ ნიადაგის აგრეგატების დასაშლელად გამოიყენება ნიადაგების „გალესვის“ მეთოდი დატენიანებით. 5 წთ-ის განმავლობაში, სტერილური ფაიფურის როდინში ხდება ნიადაგის ნიმუშის მოსრესვა ერთგვაროვანი მასის მისაღებად ონკანის სტერილურ წყალში ან ფიზიოლოგიურ ხსნარში ან ფოსფატურ ბუფერში შეფარდებით 1/10.

დამუშავებული ნიადაგის ნიმუშების ჩათესვა ხორციელდება ვაკსმანის – ნიადაგების განზავების მეთოდით, შემდეგი

განზავებებით -1/10; 1/100; 1/1000; 1/10000), და ნიადაგის პირდაპირი ჩათესვის მეთოდით. იმისათვის, რომ სუსპენზიის თითოეულ თავისუფლად მოცურავე უჯრედს საკვებ არეზე მოხვედრისას შეეძლოს კოლონის მოცემა, შერჩეული უნდა იყოს სელექტიური საკვები არეები.

სოკოების გამოყოფისათვის და კულტივირებისათვის ყველაზე გავრცელებული არეა ჩაპეკის არე და მისი მოდიფიკაციები. არის შემადგენლობის შეცვლა შესაძლებელია ფართო საზღვრებში, იმის მიხედვით რა ფიზიოლოგიური თავისებურება გააჩნია კულტივირებად სოკოებს. მაგ. მუკორალური სოკოების შემთხვევაში ნახშირბადის წყაროდ საქართვის ნაცვლად გამოიყენება გლუკოზა. აზოტის წყაროდ ნატრიუმის ნიტრატის ნაცვლად -ამონიუმის ნიტრატი. არის შემუავების მიზნით გამოიყენება გოგირდის, ლიმონის, რძის და ფოსფორის მჟავა, ხოლო გატუტიანების მიზნით - NaOH.

ბაქტერიების გამოსაყოფად გამოიყენება ხორც-პეპტონიანი აგარი (*Bacillus*-ის გვარის ბაქტერიებისათვის), ფსევდომონას საიდენტიფიკაციო არე (*Pseudomonas*-ის გვარის ბაქტერიებისათვის) და სინთეზური არე (*Rhodococcus*-ის გვარის ბაქტერიებისათვის).

ეკოსისტემიდან გამოყოფილი ბაქტერიების, აქტინობ-აქტერიების, საფუვრებისა და მიკროსკოპული სოკოების ოპტიმალური რაოდენობა დიდად არის დამოკიდებული გამოყოფის მეთოდების სწორად შერჩევაზე.

ნიადაგიდან გამოყოფილი მიკროორგანიზმები იზრდებიან თერმოსტატში  $30^{\circ}\text{C}$ -ზე. პეტრის თასებზე პირველადი ჩანათესების დათვალიერება და აღწერა ხდება მე-3, მე-5, მე-7 დღეს. ბაქტერიების გამოსაყოფად ოპტიმალური განზავებაა  $10^4$ , ხოლო სოკოების გამოსაყოფად ოპტიმალურია განზავებებია  $10^2$  და  $10^3$ . მიკროორგანიზმების რაოდენობრივი შემცველობა – გამოყოფილი კოლონიების ნარმომქმნელი

ერთეული (კნე) ისაზღვრება 1გრ. მშრალ ნიადაგზე გადაან-გარიშებით, ფორმულა  $A=abv/g$ .

სუფთა კულტურების გამოყოფა წარმოებს მარყუჟის მოხრილი წვერით, რომლის საშუალებით ფრთხილად გადაიტანება მიცელიუმის (სოკო) ნაგლეჯი საკვებ არეზე, მჭიდრო სპორტმატარებლობისას სპორტის მინიმალური რაოდენობა თავსდება საკვებ არეზე. კულტივირების ტემპერატურა იგ-ივეა, რაც გამოყოფის მომენტში.

გამოყოფილი მიკროორგანიზმების კულტურები იზრ-დებიან თერმოსტატში  $30^{\circ}$  ჩ-ზე. პეტრის თასებზე ჩათესილი კულტურის დათვალიერება და ალწერა ხდება მე-3, მე-5, მე-7, მე-9 და მე-12 დღეს. თითოეული კულტურა – თითოეული საკვები არიდან ამოთესილი და თითო კოლონიის სახით თავ-სდება პეტრის თასზე. გამოყოფილი და მიღებული სუფთა კულტურა გადაიტანება ა აგარიზებულ არებიან სინჯარებში.

სოკოების იდენტიფიკაცია დამყარებულია საკვლევი კულტურის მაკრო- და მიკროსკოპული თვისებების შეჯერებით უკვე ცნობილი სოკოების ადრე ალწერილ თვისებებთან. თითოეული კულტურის იდენტიფიკაციისთვის აუცილებელია განისაზღვროს ზედაპირის ფერი, ზრდის სიჩქარის შესაბამისად კოლონიის დიამეტრი. ეს განეკუთვნება მაკროსკოპულ თვისებებს. იდენტიფიკაციის შემდეგი ეტაპია რეპროდუქციული ორგანოების პრეპარატების დამზადება.

თავდაპირველად ხდება მსხვილი ტაქსონომიური ერთეულის დადგენა (კლასი, რიგი). ეს ერთეული განისაზღვრება რეპროდუქციული ორგანოებისა და აღნაგობის თავისებურებებით.

ნიადაგის მიკრომიცეტები (მიკროსკოპული სოკოები რომლებიც ბინადრობენ ნიადაგში და არ აქვთ რეპროდუქციული სტრუქტურა 1 მმ-ზე მეტი) შეიცავენ სახეობების ფართო სპექტრს, რომელთა ამომზურავად შესწავლა შეუძლებელია. თუმცა მიკოლოგების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ნიადაგის

მიკრომიცეტებში იგულისხმება ზუსტად ის სოკოები, რომელთა გამოყოფა შესაძლებელია სუფთა კულტურის სახით. ბევრი მიკროსკოპული სოკო დაკავშირებულია მცენარესთან და დამოუკიდებლად არსებობა სიმბიონტის გარეშე არ შეუძლია, ასევე ნელა მზარდი სოკოები შეიძლება დაიკარგოს (შეუმჩნეველი დარჩეს) საკვებ არეზე ჩათესვისას. ამრიგად, ნიადაგის მიკობიოტის უფრო მეტად შესწავლილ ნაწილს მიეკუთვნება ზომიერად და სწარაფად მზარდი საპროფიტები და ფაკულტატური პარაზიტები. ტაქსონომიურად ასეთი ტიპის ჯგუფებს ეკუთვნის ასკომიცეტები და ზიგომიცეტები. თუ გავითვალისწინებთ, რომ დეიტერომიცეტების კლასიდან არ-სებული ბევრი გვარი გადატანილია ასკომიცეტების კლასში, ამ ჯგუფში შედის დეიტერომიცეტების კლასიც.

*Zygomycetes* კლასს მიეკუთვნენ მიკროსკოპული სოკოების ის კულტურები, რომლებიც სქესობრივი გზით წარმოქმნიან – ზიგოტას, უსქესო გზით – სპორანგიუმებს ან სპორანგიოლებს უმოძრაო სპორებით. მართალია ზოგიერთ ზიგომიცეტს უვითარდება კონიდიები, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, რომ ზიგოტა ნამდვილად წარმოიქმნება.

*Ascomycetes* კლასს მიეკუთვნენ მიკროსკოპული სოკოების ის კულტურები, რომლებიც განვითარების ციკლში წარმოქმნიან ნებისმიერი ფორმისა და სიდიდის ჩანთებს. უფრო ხშირად ეს ჩანთები შეიცავენ 8 ასკოსპორას. რამდენადმე განსხვავებულია ამ კლასში შემავალი გვარების – *Penicillium* და *Aspergillus* წარმომადგენლების გამრავლება. უსქესო გამრავლება – კონიდიებით, სქესობრივი გამრავლება – ჩანთებით. მხოლოდ ზოგიერთ წარმომადგენელს არ აღენიშნება ჩანთების წარმოქმნა, ან თუ წარმოქმნიან კლეისტოტეციების ტიპის ჩაკეტილ ნაყოფსხეულებში. ამ გვარის სახეობების იდენტიფიცირებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურალური თვისებების დადგენას. კერძოდ, კოლონიის ზრდის სიჩქარე, ფერი და სიდიდე, კიდეების და ცენტრის

აღნაგობა, ზედაპირის ხასიათი (ხავერდოვანი, ფუმფულა, ხაოიანი, ბეწვისებრი). რეპროდუქციული ორგანოების თავისებურება, კონიდიამატარებლობა, კონიდიების განლაგება. კოლონიის ჰაეროვანი ნაწილი (ვეგეტატიური მიცელიუმი, კონიდიალური თავები).

*Deuteromycetes* კლასს მიეკუთვნენ ის კულტურები, რომელთაც ახასიათებდათ მრავალფეროვანი კონიდიალური სპორათა შერწყმა და განვითარების ციკლში არ აღენიშნებათ სქესობრივი სტადია.

დიდი ხნის განმავლობაში არასრული (*Deuteromycota*) სოკოების სისტემა იყო სქემატური და ხელოვნური, რომელიც ემსახურებოდა მათ იდენტიფიკაციას. უკანასკნელ წლებში ამ სოკოების ტაქსონების ინტეგრაცია ასკომიცეტების სისტემაში წარმოადგენს თანამედროვე მიკოლოგიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას, რომელსაც ხელი შეუწყო მოლეკულური ბიოლოგიის მეთოდების განვითარებამ. თუმცა მათი იდენტიფიკაცია ანამორფულ თვისებებზე დაყრდნობით არ არის უგულებელყოფილი.

კულტურალურ-მორფოლოგიური თვისებების დასახასიათებლად, ხდება კულტურების – პეტრის თასზე, მიკროსკოპის მცირე გადიდებით დათვალიერება, შემდეგ კი მზადდება პრეპარატები.

მიკროსკოპული პრეპარატის დასამზადებლად, გასტერილებული მარყუფის წვერით იჭრება სოკოების კოლონიების ნაწილი, რამდენადაც შესაძლებელია საკვები არის აგარის გარეშე, თავსდება წყლის წვეტში, რომელშიც იხსნება მიცელიები. ვინაიდან სოკოს ზოგიერთი ელემენტი, ძირითადად სპორები და კონიდიები არ სველდება წყლით, წყალს ემატება ეთილის სპირტი 1:1 ან კონცენტრირებული ძმარმჟავა.

ასევე მზადდება პრეპარატი – ანაბეჭდი: აგარიზებული საკვები არიდან იჭრება დაახლოებით 10მმ დიამეტრის კოლონია, რომელიც თავსდება სასაგნე მინაზე კოლონიით ზევით,

ფრთხილად და მჭიდროდ ზემოდან ეფარება სტერილური საფარი მინა. შემდეგ საფარი მინა იდება სასაგნე მინაზე, რომელზეც წინასწარ დაწვეთებულია წყალი ან მეთილენის ლურჯი. მზა პრეპარატის კვლევა ხდება მშრალი ოპტიკური სისტემით.

სოკოების ნებისმიერი კლასიფიკაცია დაფუძნებულია მათი გამრავლების უნარზე.

უმდაბლესი სოკოები ან ზიგომიცეტები (Zygomycota)

არასრული სოკოები ან დეიტერომიცეტები (Deuteromycota)

უმაღლესი სოკოები, ჩანთიანი სოკოები ან ასკომიცეტები (Ascomycota)

უმაღლესი სოკოები, ბაზიდიური სოკოები ან ბაზიდიომიცეტები (Basidiomycota).

მკვლევარების უმრავლესობა ჭეშმარიტ სოკოებს აკუთვნებს მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ სოკოებს, კერძოდ: უმდაბლესი, არასრული და უმაღლესი სოკოები.

სოკოების ტიპი (Eumycota – ჭეშმარიტი სოკოები) [ფიგო-მიცეტები].

ამა თუ იმ ნიადაგში მიკროორგანიზმების გავრცელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ისეთ ფაქტორებზე, როგორიც არის ნიადაგის ფიზიკური და ქიმიური თვისებები – აქტიური მუავიანობა და ტუტიანობა (pH), ტემპერატურა, ტენიანობა; ნიადაგში მიკროორგანიზმების გავრცელება აასევე დამოკიდებულია ჰაერის უანგბადით უზრუნველყოფასა და მცენარეულ საფარზე, როგორც ფიტოცენოზის მთლიანობაზე. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ნიადაგობრივ-კლიმატური ზონების ერთი და იგივე pH-ის მქონე ნიადაგებში ხშირად განსხვავებულია მიკროორგანიზმების სახეობრივი შემადგენლობა, ამასთანავე ერთი და იგივე გვარის წარმომადგენელთა დამოკიდებულებაც ნიადაგის pH-ზე შეიძლება იყოს მკვეთრად განსხვავებული. ასევე ერთი და იგივე

გვარის სახეობები შეიძლება იზრდებოდნენ 5°C-ზე, 30°C-სა და უფრო მაღალ ტემპერატურაზე. ნიადაგის ზედა ფენები უფრო მეტად ექვემდებარებიან ტემპერატურის სეზონურ და დღელამურ ცვლილებებს, ვიდრე ნიადაგის ღრმა ფენები, სა- დაც ტემპერატურული რეჟიმი სტაბილურია. ამიტომ, ნიადა- გის ზედა ფენებისათვის პირველ ხარისხოვანი ეკოლოგიური ფაქტორია ტემპერატურული რეჟიმი, მაშინ როდესაც, ღრმა ფენებში ამ ფაქტორთან ერთად მნიშვნელოვანია მუავიანობა, ტენიანობა და უანგბადის რეჟიმი.

### **IV.3. მცენარის მავნეპლები ნიადაგში**

მავნებლები აზიანებენ ხის ვარჯეს (წინვებს, ფოთლებს), ლეროს, ტოტებს, ფესვებს, გირჩებს, ნაყოფებსა და სხვ.

სხვადასხვა მავნე მწერების ბიოლოგიდან გამომდინარე მავნებლების განვითარების ფაზები (კვერცხი, მატლი, ჭუპრი, იმაგო) განლაგებულები არიან მცენარის ან ნიადაგის სხვადასხვა ადგილებში.

ღიად მცხოვრები მავნებლის შეხვედრილობის ან დასახლების სიმჭიდროვის დასადგენად ვიკვლევთ მავნებლის სახეობას და მის კომპლექსებს დაზიანების სტადიაში. ყოველ მათგანზე დგინდება დასახლების სიმჭიდროვე, შეხვედრილობა და პოპულაციის სხვა თვისებები. პროგნოზირდება მავნებლისაგან ნარგავების დაზიანების ხარისხი და მიიღება გადაწყვეტილებები გადაუდებელი ლონისძიებების გასატარებლად.

მავნებლის არსებობა განვითარების სხვადასხვა ფაზაში მულავნდება ხის ვარჯის, ცალკეული ტოტის, ლეროსი და ნიადაგის ვიზუალური დათვალიერებისას.

მავნებლების ნაწილი მატლის ფაზის (ანუ კვების) დამთავრების შემდეგ ჩადის ნიადაგში და იქ იკეთებს პარკებს, იჭუპრება და შემდეგ ჭუპრობიდან გამოდიან იმაგოები (პეპლები), იწყებენ ფრენას და კვერცხდებას.

წინვისა და ფოთლის შეჭმის ინტენსივობა ფასდება შემდეგი შემთხვევით:

სუსტი – წინვებისა თუ ფოთლების დაკარგვა – 25%;

საშუალო – წინვებისა თუ ფოთლების დაკარგვა – 50%;

ძლიერი – წინვებისა თუ ფოთლების დაკარგვა – 75%;

მთლიანად დეფოლიაცია ემუქრება – წინვებისა თუ ფოთლების დაკარგვის – > 75%.

პროგნოზირების დროს დაზიანებულ ნარგაობებში 1 მ<sup>2</sup> ფართობზე კეთდება ნიადაგის ჭრილი სილრმით 20-30 სმ.



ფოთლოვანებში ფოთოლი შეჭმულია 50%-70%, მატლები ჩადიან  
ნიადაგში და იჭუპრებენ



**წინვოვანებში წინვები შეჭმულია 50-70 %-ით, მატლები ჩადიან  
ნიადაგში იკეთებენ პარკებს და იქუპრებენ**



**კულტურებში - სანერგეებში ფესვის მავნებლები ლრაჭები**

ნიადაგის ჭრილში ვითვლით მავნებლის ჭუპრებისა და პარკების რაოდენობას, რის მიხედვითაც ვადგენთ თუ რამდენად ემუქრება წინვებს და ფოთლებს დაზიანება (დეფოლიაცია).

მაგალითად, თუ 20 წლიან ფიჭვის ნარგაობებში  $1\text{d}^2$  ნიადაგის ჭრილში არის ფიჭვის მზომელას (*Bupalus piniarius* L.) საღი 15 ჭუპრი, ან 45 $\text{c}$  ფიჭვის ქარცი ხერხიას (*Neodiprion sertifer* Geoffr.) საღი პარკი, მაშინ მათ ემუქრება 100%-ანი წინვების შეჭმა ანუ დეფოლიაცია, ასეთივე მონაცემები არსებობს სხვადასხვა ფოთლის ან წინვის მღრღნელ მავნებლებზეც.



ნიადაგში მავნებლის ჭუპრების მოპოვება

მუხის მწვანე ფოთლიხვევია (*Tortrix viridana* L.), ცქვლე-ფია მზომელა (*Eranis defoliaria* L.), ზამთრის მზომელა (*Op-erophtera brumata* L.) როგორც 20 წლიან, ისე 40,50, 60, 70, 80, 90 წლიან ნარგაობებში ნიადაგის ჭრილების გაკეთებისას ხდება მავნებლის პარკებისა და ჭუპრების დადგენა.

ასევე ნიადაგში (სანერგეებში და კულტურებში) ხდება ფესვის მავნებლების გამოვლენა და აღრიცხვიანობა.

მავნებლების რაოდენობის სწორი და დროული დადგენა არის ეფექტური პროფილაქტიკური ღონისძიებების საწინდარი.

#### IV.4. ნიადაგის კარტირება

ნიადაგების კარტირებას დიდი ყურადღება ეთმობა განვითარებულ ქვეყნებში, ვინაიდან იგი იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ნიადაგის, მისი განაწილების და ფორმირების შესახებ. ნიადაგური რუკები გამოიყენება მომხმარებელთა ფართო სპექტრის მიერ. მას იყენებენ როგორც დარგის სპეციალისტები, ისე ფერმერები, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, სახელმწიფო უნიტები, სასწავლო და კვლევითი დაწესებულებები და სხვა დაინტერესებული პირები.

ჩვეულებრივ, ნიადაგური რუკები გამოიყენება მხოლოდ ნიადაგის და მისი ძირითადი მახასიათებლების საიდენტიფიკაციოდ, თუმცა ხშირად მას შეიძლება ჰქონდეს უფრო სპეციფიური დატვირთვაც, როგორიცაა ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურისთვის შესაბამისი ნიადაგური საფარის მქონე სავარგულის შერჩევა, ნიადაგის ეროზიულობის პოტენციალის დადგენა, ფართობის დაყოფა ნიადაგის ცალკეული ქიმიური და ფიზიკური მახასიათებლების ან მოსავლიანობის მიხედვით და ა.შ.

დღეისათვის რუკების და მათ შორის ნიადაგის რუკების და კარტოგრამების შესადგენად გამოყენება გეოსაინფორმაციო სისტემები (გის), რომლებიც წარმოადგენენ ავტომატიზებულ ექსპერტულ სისტემებს და იძლევიან ციფრული კარტოგრაფირების, გეომონაცემთა ბაზის (გეოგრაფიულ ობიექტებთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზის) და სივრცით-სტატისტიკური ანალიზის შესაძლებლობას.

ნიადაგური რუკები, სხვა რუკების მსგავსად, იქმნება სხვადასხვა მასშტაბით და დანიშნულებით. ქვეყნის ან რეგიონისთვის გამოიყენება წვრილმასშტაბიანი რუკები ( $<1:300\ 000$ ), რომლებიც ძლიერ განზოგადებულია და მოიცავენ მხოლოდ ძირითად ნიადაგებს ან ჯგუფებს. საშუალომასშტაბიანი

რუკები (1:300 000 — 1:100 000) - ქვეყნის ადმინისტრაციული ერთეულების (მხარე, მუნიციპალიტეტი) კარტოგრაფიულებისთვის. მსხვილმასშტაბიანი რუკები (1:50 000-1:10 000) - თემის, სოფლის, მსხვილი ფერმერული მეურნეობის ნიადაგური რუკის შესადგენად. დეტალური რუკები (1:5 000-1:2000) იქმნება საშუალო და წვრილი ფერმერული მეურნეობებისთვის, ზუსტი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის.

ნიადაგის რუკა მიეკუთვნება თემატური ტიპის რუკების ჯგუფს და ეფუძნება ზოგადგეოგრაფიულ რუკას, რომელიც, როგორც წესი, წარმოდგენილია ტოპოგრაფიული რუკით. ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანილია, მოცუმული მასშტაბის გათვალისწინებით, ყველა მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ობიექტი და რელიეფის ამსახველი ჰორიზონტალები (იზოხაზები, იზოპლეტები), რომლებიც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევიან ადგილმდებარეობის ზედაპირის შესახებ.

ტოპოგრაფიული რუკის ნაცვლად გამოიყენება აეროფოტოსურათები ან მაღალი გარჩევადობის თანამგზავრული (სატელიტური) გამოსახულებებიც, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია უახლესი ინფორმაციის მიღება საკვლევი ფართობის მდგომარეობის შესახებ.




ტოპოგრაფიული რუკა



თანამგზავრული გამოსახულება

ნიადაგური რუკის შედგენისას მნიშვნელოვანია სწორად განისაზღვროს მისი დანიშნულება, რომლის საფუძველზეც შეირჩევა შესაბამისი მასშტაბი და დაიგეგმება საველე სამუშაოები. ნიადაგის რუკის დადგენის შემდეგ შეირჩევა საველე პირობებში ნიადაგის ჭრილების (და შესაბამისად ნიმუშების აღების) გაკეთების ადგილის განსაზღვრის მეთოდი. თავის მხრივ, მეთოდის შერჩევა ძირითადად დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე, კერძოდ კი მის რელიეფზე. ვაკე რელიეფის პირობებში უპირატესობა ენიჭება ბადისებრ (გრიდულ) მეთოდს, რომელიც ეფუძნება ჭრილის გაკეთების ადგილის განსაზღვრას კვადრატული ბადის მიხედვით. რთული რელიეფის მქონე ფართობებზე უმჯობესია ნიადაგის ჭრილის გაკეთების ადგილი განისაზღვროს რელიეფის თითოეულ ფორმაციაზე, მაგ. თხემი, ფერდობი, დეპრესია. ქვემოთ ნაჩვენებია ჭრილის გაკეთების ადგილების ნიმუში სხვადასხვა სირთულის რელიეფის პირობებში.



მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეთოდი იქნება შერჩეული, რუკის მასშტაბიდან გამომდინარე, დადგენილია ნიადაგის ჭრილების მინიმალური რაოდენობა, რომელიც აუცილებელია საკვლევი ტერიტორიის ნიადაგური საფარის სრულად ასახვისთვის. ცხრილში მოცემულია ფართობის ერთეულზე ნიადაგის ჭრილების მინიმალური რაოდენობა რუკის მასშტაბის შესაბამისად.

## ჭრილების აღების სიხშირე რუკის მასშტაბის მიხედვით

რუკის მასშტაბი	ჭრილების აღების სიხშირე
1:2500	1 ჭრილი ყოველ 0.25 ჰა
1:5 000	1 ჭრილი ყოველ 0.5 ჰა
1:10 000	1 ჭრილი ყოველ 0.8-4 ჰა
1:25 000	1 ჭრილი ყოველ 5-25 ჰა
1:50 000	1 ჭრილი ყოველ 20-100 ჰა
1:100 000	1 ჭრილი ყოველ 100-400 ჰა

ჭრილების აღების სიხშირე რუკის მასშტაბის გათვალისწინებით უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის რუკების შედგენას.

## თავი V. ნიადაგის აღმოჩენის პოდილება

ნიადაგის ზუსტი და სრულყოფილი საველე გამოკვლევა დიდად არის დამოკიდებული გარკვეული სახის სამუშაოებზე, რომლებიც უნდა შესრულდეს ექსპედიციის დაწყებამდე.

საველე პირობებში ნიადაგის გამოკვლევას წინ უნდა დადგინდეს:

- გამოკვლევის მიზანი;
- გამოსაკვლევი ტერიტორიის ფართობი და გეოგრაფიული კოორდინატები;
- გამოკვლევის მასშტაბი;

ნიადაგების საველე გამოკვლევისწინა პერიოდი ასევე მოიცავს:

- საჭირო საველე აღჭურვილობის მომზადებას და
- ადრე ჩატარებული გამოკვლევების ლიტერატურულ/კარტოგრაფიული მასალის მოძიება/დამუშავებას (ასეთი მონაცემების დამუშავება მკვლევარს ეხმარება საკითხის ისტორიული ასპექტის გაგება/შესწავლაში).

ნიადაგების საველე გამოკვლევის დაწყებამდე, წინასწარ უნდა იყოს ცნობილი კვლევის მიზანი, რომელიც გამოსახავს ნიადაგური კვლევის ამოცანას (სამეცნიერო, ნიადაგმელიორაციული, სატყეო-სამეურნეო, ნიადაგ-ეროზიული და ა. შ.). ნიადაგების საველე გამოკვლევა შეიძლება ჩატარდეს თესლბრუნვების დანერგვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების გადაადგილების, ნიადაგების აგროქიმიკური მაჩვენებლის დადგენის, დამლაშების ხარისხის, ნიადაგების მელიორაციის თვალსაზრისით და სხვ. კონკრეტული ამოცანებიდან გამომდინარე. სამუშაოს მოცულობა ხორციელდება საკვლევი ტერიტორიის ფართობისა და გამოკვლევის მასშტაბის გათვალისწინებით. სამუშაოს მოცულობა წარმოადგენს შესასრულებელი გამოკვლევის საველე და ლაბორატორიულ/კამერალური მუშაობის ერთიან კომპლექსს, რო-

მელიც დამოკიდებულია საკვლევი ტერიტორიის ფართობზე, კვლევის მასშტაბზე, ნიადაგების გამოკვლევის სირთულის კატეგორიაზე, ეს უკანასკნელი კი განისაზღვრება ნიადაგური საფარის ხასიათით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკვლევი ტერიტორიის შესახებ არსებული ლიტერატურული მასალის (ნიადაგების, გეოლოგიის, გეომორფოლოგიის, კლიმატის, მცენარეული საფარის, ადამიანის საწარმოო საქმიანობის შესახებ) წინასწარ გაცნობას, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ნიადაგების მეცნიერული და აგროსაწარმოო დახასიათება.

ნიადაგმცოდნე, ლიტერატურულ წყაროებთან ერთად, უნდა გაეცნოს საკვლევი ტერიტორიის ტოპოგრაფიულ რუკას, რომელზეც ასახულია ტერიტორიის რელიეფი. რუკაზე გავლებული ჰორიზონტალური ხაზები, ე.ნ. იზოპიფსები (ჰორიზონტალები) აერთებენ ზღვის დონიდან ერთნაირ სიმაღლეზე მდებარე წერტილებს. იზოპიფსები წარმოდგენას იძლევიან ადგილმდებარეობის აბსოლუტურ სიმაღლესა და რელიეფის ფორმებზე. ასევე გამოიყენება აეროფოტოგადაღების მასალები. აეროფოტოგადაღების მეთოდს მაღალი სიზუსტე ახასიათებს. კონკრეტული ტერიტორიის აეროფოტოსურათები ზუსტი ფოტოდოკუმენტაციაა, რომელზეც გამოსახულია ლანდშაფტების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განლაგება და სხვ.

ნიადაგების გამოკვლევა ბუნებრივ, საველე პირობებში (გამოკვლევის მიზანდასახულობის მიუხედავად) უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

- გამოკვლეული ტერიტორიის ნიადაგური საფარის გენეზისურ და აგრონომიულ შეფასებას;
- მეცნიერულად დასაბუთებული აგრონომიული ღონისძიებების შემუშავებას, რომელთა პრაქტიკული განხორციელება გააუმჯობესებს ნიადაგების საწარმოო თვისებებს

და უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მო-  
სავლიანობის გაზრდას.

საკვლევი რეგიონის შესახებ არსებული ლიტერატურუ-  
ლი წყაროების გაცნობის შემდეგ, ტოპოგრაფიული საფუძვ-  
ლის მიხედვით, საჭიროა ტერიტორიის წინასწარი (ნიადაგების  
გამოკვლევამდე) შემოვლა-დათვალიერება, რომლის დან-  
იშნულებაა ნიადაგური საფარის (გავრცელებული ძირითადი  
ნიადაგების), ნიადაგნარმომქმნელი ფაქტორების (მეზო- და  
მიკრორელიეფის, ნიადაგნარმომქმნელი ქანების, მცენარეუ-  
ლი საფარის და სხვ.) გაცნობა. რეკოგნოსტირება ნიადაგმ-  
ცოდნეს საშუალებას აძლევს დაადგინოს საკვლევი ტერიტო-  
რიის სირთულე (კატეგორია) და შეადგინოს გავრცელებული  
ნიადაგების საორიენტაციო სია (ნიადაგების სამუშაო/წინას-  
წარი კლასიფიკაციის დაზუსტება).

რეკოგნოსტირება ეხმარება მკვლევარს ნიადაგური  
ჭრილების სწორად განაწილებაში საველე გამოკვლევის  
დროს. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება საკვლევი ტერ-  
იტორიის ფართობი, მასშტაბი და გამოკვლევის სირთულის  
კატეგორია, დადგინდება (გაანგარიშდება) გასაკეთებელი  
ჭრილების და სამუშაო დღეთა საერთო რაოდენობა.

ნიადაგების საველე გამოკვლევისას, რეკოგნოსტირების  
შედეგად შერჩეულ დამახასიათებელ (ტიპურ) ადგილებზე  
უნდა გაკეთდეს სრული ჭრილები. ნიადაგის ჭრილის გასა-  
კეთებელი ადგილის შერჩევისას, გათვალისწინებული უნდა  
იყოს: რელიეფი, დაქანება, ექსპოზიცია, მცენარეული სა-  
ფარი (სასოფლო-სამეურნეო სავარგული), ადგილის სიმაღ-  
ლე ზღვის დონიდან, მისი მდებარეობის კოორდინატები და  
გამოკვლევის მასშტაბი.

ნიადაგის ჭრილი წარმოადგენს სწორკუთხა ორმოს,  
რომელსაც თხრიან შერჩეულ ადგილას. მისი სიგანე უნდა  
იყოს დაახლოებით 75-80 სმ, სიგრძე - 150 სმ, სიღრმე კი  
- ქანამდე. ორმო ისე უნდა ამოითხაროს, რომ მისი ერთი,

წინა კედელი, მზეს უყურებდეს. ამოთხრილი ნიადაგი იყრება ორმოს მარცხენა და მარჯვენა მხარეზე. ორმოს ამოლების შემდეგ ამზადებენ კედელს (შვეულს) აღსაწერად. ამისათვის სატეხით ან მაგარწელიანი დანით ნიადაგის პროფილს, ზევიდან ქვევით, განაახლებენ (ჩაჩიჩქნიან) და აღწერენ. კედელზე შეიმჩნევა ნიადაგის მორფოლოგიური ნიშნების (ფერი, სტრუქტურა, აგებულება, ახალწარმონაქმნები და სხვ.), ცვლილება სიღრმეზე.

ნიადაგის ჭრილი სამი სახისაა: 1) სრული (ძირითადი); 2) ნახევარჭრილი; 3) ამონაბარი.

ნიადაგის პროფილის სრულყოფილი შესწავლისათვის კეთდება სრული ჭრილი ნიადაგწარმომქმნელ ქანამდე. სრული ჭრილების რაოდენობა დამოკიდებულია გამოკვლევის მასშტაბსა და ნიადაგწარმომქმნელ ფაქტორთა ცვალებადობაზე. ასეთი ჭრილებით ადგენენ საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებულ ნიადაგებს და იღებენ საანალიზო ნიმუშებს.

ნახევარჭრილის სიღრმე, ჩვეულებრივ, არ სცილდება 40-60 სმ-ს. ნახევარჭრილებით ახდენენ ნიადაგის ძირითადი თვისებების დამატებით შესწავლას (მაგ. გაერწერების, დამლაშების სხვადასხვა ხარისხი) და ადგენენ ძირითადი ტიპების ან ქვეტიპების ერთგვარობას.

ამონაბარს აკეთებენ ძირითადი და ნახევარჭრილების ირგვლივ (რელიეფის ელემენტის პერიფერიულ ნაწილზე), მისი სიღრმე 20-40 სმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამონაბარის საშუალებით ადგენენ ნიადაგის სახესხვაობის გავრცელების საზღვარს.

ბუნებრივ პირობებში ნიადაგების გამოკვლევის დროს, აუცილებელია სპეციალური საველე აღჭურვილობა (სხვა-დასხვა იარაღები და საგნები):

1. გამოსაკვლევი ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკა; აეროფოტომასალა;

2. კომპასი;

3. ნიადაგის ჭრილების (ორმოების) გასაკეთებლად: ბარი, ნიჩაბი, წერაქვი (მას ხმარობენ მკვრივ და ქვა-ლორლიან ნიადაგებზე ჭრილების შესასწავლად);
4. სატეხი ან მაგარწელიანი დიდი დანა (გამოიყენება ნიადაგის პროფილის შესასწავლად, კერძოდ, მის გასაახლებლად და ნიმუშების ასაღებად);
5. სიგრძის საზომი სახაზავი ან ლენტი, რომელზეც სანტიმეტრიანი დანაყოფებია (გამოიყენება ნიადაგის პროფილზე ჰორიზონტების გასაზომად);
6. ლუპა (გამადიდებელი მინა საჭიროა ახალწარმონაქმნების, ხირხატის და სხვ. შესამოწმებლად);
7. 10%-იანი მარილმჟავა საწვეთურში ( $\text{CaCO}_3$ -ზე რეაქციისთვის);
8. "GPS" (ნიადაგის ჭრილის ზღვის დონიდან სიმაღლისა და ადგილმდებარეობის კოორდინატების დასადგენად);
9. ფოტოაპარატი (ლანდშაფტური ხედების, რელიეფის ფორმების, მცენარეულობის, ნიადაგის პროფილის და სხვა საჭირო დეტალების სურათების გადასაღებად);
10. ბურლი (დაშლილი და/ან დაუშლებელი ნიადაგის ნიმუშების ასაღებად. ბურლით ნიადაგის ნიმუშების აღებისას ასევე აუცილებელია ჭრილების გაკეთება და პროფილის აღნერა);
11. ქაღალდი (მტკიცე, არატეხვადი) ან პოლიეთილენის პარკები (ნიადაგის ნიმუშების შესანახად);
12. საეტიკეტე ფურცლები ( $5 \times 10$  სმ სიდიდის ქაღალდი. ეტიკეტებზე ინერება: ჭრილის ნომერი, ადგილმდებარეობა, ჰორიზონტის სილრმე, თარიღი, მკვლევარის გვარი. შევსების შემდეგ მათ მოკეცავენ ნაწერი პირის შიგნით მოქცევით და ჩადებენ შენახულ ნიმუშში);
13. საველე დღიური (გამოიყენება სპეციალური, დაბეჭდილი ფორმულარები ან ჩვეულებრივი რვეული, რომელშიც ნიადაგების ჭრილები აღინერება);

14. ფანქარი (უბრალო შავი ფანქარი, ეტიკეტები მორფოლოგიური აღწერის ჩასაწერად).

ნიადაგური პროფილის აღწერას აწარმოებენ საველე დღიურში (რვეულში). შევსება იწყება ჭრილის ნომრის და ადგილმდებარეობის აღნიშვნით, რელიეფის ელემენტების, ქანებისა და მცენარეული საფარის აღწერით. ნიადაგის პროფილზე გენეზისური ჰორიზონტების გამოყოფის შემდეგ, თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე ზომავენ და დღიურში აღნიშნავენ. ამის შემდეგ, ნიადაგმცოდნე იწყებს მორფოლოგიური ნიშნების დეტალურ აღწერას. დღიურში წერენ ნიადაგის სახელწოდებას, შენიშვნებს (მოსაზრებებს კონკრეტული ნიადაგის გენეზისისა და სასოფლო-სამეურნეო თვისებათა გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ).

ნიადაგების საველე კვლევის თანამედროვე კოდირების სისტემის საშუალებით, ბუნებრივ პირობებში მოპოვებული მასალა, შეიძლება განთავსდეს ნიადაგების საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში.

საველე პირობებში ნიადაგების მორფოლოგიური აღწერის უნიფიცირებული, კოდირებული სისტემა ხელმისაწვდომია ნიადაგმცოდნეთა ფართო წრისათვის. იგი გულისხმობს ნიადაგების ეკოლოგიის შეფასებას, მათ აღწერას და კლასიფიცირებას საველე პირობებში. ნიადაგების მორფოლოგიური აღწერის სტანდარტული ენის შემუშავება გულისხმობს ცალკეული მორფოლოგიური ნიშნებისათვის შესაბამისი რიცხვითი ან სიტყვიერი (უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია ანბანური აღნიშვნით, ლათინური ასოების შეთანაწყობით) კოდების მინიჭებას. ნიადაგების საველე კვლევის კოდირებული აღწერის მონაცემები შეაქვთ სპეციალურ დაბეჭდილ ფორმულარებში (იხ. ფორმულარი). ფორმულარში არსებული გრაფები შემდეგნაირად ივსება:

1. ფორმულარის ნომერი;
2. თარიღი – რიცხვი/თვე/წელი;

3. ავტორი – სახელი, გვარი;
4. საკრებულო – საკრებულოს დასახელება, რომელშიც შედის საკვლევი ტერიტორია;
5. მიწის გამოყენება – მიწის გამოყენების ტიპები (მრეწველობით ან ტყით დაკავებული მიწები, კომპლექსური მეურნეობებით ან მხოლოდ სასოფლო – სამეურნეო კულტურებით დაკავებული მიწები და სხვ.) და ქვეტიპები (სამრეწველო შენობებით, ერთნობიანი ან მრავალნობიანი კულტურებით დაკავებული ფართობები და სხვ.);
6. მცენარეულობა/კულტურები – მცენარეულობის სახელწოდება, რომლითაც დაკავებულია საკვლევი ტერიტორია (ტყისა და ბუჩქნარის კატეგორიები, ასევე სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელწოდებები);
  7. X – გეოინფორმაციული კოორდინატი;
  8. Y – გეოინფორმაციული კოორდინატი;
  9. ს.ზ.დ. – სიმაღლე ზღვის დონიდან, მეტრებში;
  10. რელიეფი – რელიეფის ელემენტები (ვაკე, მთის თხემები, მთათაშორის ვაკეები და სხვ.);
  11. ადგილმდებარეობა – რელიეფის ელემენტებთან ადგილის შესაბამისი მდგომარეობა (ფერდობის ზედა, შუა თუ ქვედა ნაწილი და სხვ.);
  12. ეროზია – ეროზის ტიპები ქვეტიპებით. ტერიტორიის შეფასება ხდება კლასების მიხედვით;
  13. ფერდობი – დახრილობა, რომელიც იზომება კლინომეტრით. თუ კლინომეტრის წაკითხვა შეუძლებელია, მაშინ ფერდის დახრილობის საველე შეფასება უნდა შეესაბამებოდეს კონტურულ რუკაზე მონიშნულ დახრილობებს;
  14. ექსპოზიცია – განლაგება დედამიწის მხარეების მიმართ;
  15. ადამიანის გავლენა – ანთროპოგენური ზეგავლენის სახეები: ხვნა, დატერასება, ჯებირების მოწყობა, ჭარბი წყლით ირიგაცია და სხვ.;

16. ჰორ. – ჰორიზონტების ნუმერაცია (1., 2., 3., 4., და ა.შ);

17. სიღრმე სმ-ით, საზღვარი – ჰორიზონტის სიღრმე, საზღვარი ტოპოგრაფითა და თავისებურებით (მკვეთრი, თანდათანობითი, შერეული და ა.შ.); საზღვრების ფორმები;

18. მექანიკური შედგენილობის კლასები – მექანიკური ფრაქციების კლასები “ფაო”-ს მიერ შემუშავებული სამკუთხედი/ დიაგრამის მიხედვით;

19. ხირხატი (მოც. %) – რაოდენობისა და ზომის კლასების მიხედვით შეფასება ნომოგრამით);

20. ჰუმუსი % – “მანსელის ფერთა სკალისა” და მექანიკური შედგენილობის კლასების გათვალისწინებით;

21. ფერი – “მანსელ ფერთა სკალით”;

22. ლაქიანობა – რაოდენობის (გამოიყენება ნომოგრამა), ფერის (გამოიყენება “მანსელის ფერთა სკალა”), ზომის, კონტრასტისა და საზღვრის მიხედვით აღწერა;

23. კონცენტრაციები – რაოდენობის (გამოიყენება ნომოგრამა), ფერის (გამოიყენება “მანსელის ფერთა სკალა”), ზომის მიხედვით აღწერა;

24. კუტანები – რაოდენობის, ბუნების, ადგილმდებარეობისა და კონტრასტის მიხედვით;

25. კარბონატები, თაბაშირი, მარილები – კარბონატების შემცველობა განისაზღვრება 10 % მარილმჟავის გამოყენებით, რეაქციის მიხედვით დგინდება კარბონატულობის ხარისხი (სუსტად, სამუალოდ, ძლიერ კარბონატულია); თაბაშირის შემცველობა დგინდება წყლის სუსპენზიაში ელექტროგამტარობის ხელსაწყოს გამოყენებით, ხოლო ადვილად ხსნადი მარილების შემცველობა კი – ელექტროკონდუქტომეტრის (EC) გამოყენებით;

26. ტენიანობა – ცალკეული ჰორიზონტების დატენიანების ხარისხით;

27. სტრუქტურა – ხარისხის (სუსტი, საშუალო, ძლიერი), ფორმის (მარცვლოვანი, ბელტოვანი და ა. შ) და ზომის (წვრილი, საშუალო, მსხვილი და ა. შ) მიხედვით;
28. მოცულობითი წონა – მექანიკური შედგენილობის, სტრუქტურის, სიმკვრივისა და ჰუმუსის პროცენტული შემცველობის მიხედვით;
29. ფესვები (დმ<sup>2</sup>) – საკმარისია რაოდენობისა და ზომის მინიშნება. ფესვების რაოდენობა დგინდება ნომოგრამის გამოყენებით;
30. ქანის ფრაგმენტები – ზომისა და რაოდენობის მიხედვით, გამოიყენება ნომოგრამა;
31. ჰორიზონტის სიმბოლო – გენეზისური ჰორიზონტის აღმნიშვნელი ლათინური ასო;
32. შენიშვნები – საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია სიტყვიერად ჰორიზონტის შესაბამისი გრაფის გასწვრივ;
33. ნიადაგის დასახელება – საკვლევი ნიადაგის ტაქ-სონომიური ერთეული (ტიპის, ქვეტიპის დონეზე);
34. ნიადაგწარმომქმნელი ქანი – ქანის სახელწოდება (გრანიტი, გაბრო, ბაზალტი და ა.შ);
35. გრუნტის წყალი – გრუნტის წყლის დონის მიახლოებითი სილრმე;
36. ნიადაგის სახელწოდება თანამედროვე საერთაშორისო კლასიფიკაციით – ნიადაგური ჯგუფის სახელწოდება;
37. სტრატიფიკაცია/შრეობრიობა – კვლევის დროს თუ ესეთ შემთხვევას ადგილი აქვს, უნდა მიენიშნოს;
38. მკვდარი საფარი – კვლევის დროს თუ ასეთ შემთხვევას ადგილი აქვს, უნდა მიენიშნოს.

ବୋଲିଦ୍ଵାରା କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ କାହାର ପାଇଁ

№	1	საკრებულო	4	X:	7	რელიეფი	10	ფერდოზი	13
თარიღი:	2	მიწის გამოყენება	5	Y:	8	ადგილმდებარეობა	11	ექსპოზიცია	14
ავტორი:	3	მცხ./კულტ.	6	სიმაღლე ზღვის დონიდან	9	ერთიანი	12	ადამიანის გავლენა	15

ნადაგის დასახელება	33	ნადაგწარმომქმნელი ქანი	34	გრუნტის წყალი	35
ნადაგის დასახელება საერთაშორისო კონაციფიკაციით WRB	36	სტრატიგიკაცია	37	მკვდარი საფარი	38

## ლიტერატურა

1. თენგიზ ურუშაძე - საქართველოს მირითადი ნიადაგები. „მეცნიერება“, თბილისი, 1997.
2. თენგიზ ურუშაძე, ვინფრიდ ბლუმი - ნიადაგმცოდნეობა გეოგრაფიის საფუძვლებით. თსუ, თბილისი, 2011.
3. თენგიზ ურუშაძე, ეკატერინე სანაძე, თამარ ქვრივიშვილი - ნიადაგის მორფოლოგია. „მწიგნობარი“, თბილისი, 2010.
4. თენგიზ ურუშაძე, თამარ ქვრივიშვილი - საქართველოს ნიადაგების სარკვევი. „მწიგნობარი“, თბილისი, 2014
5. Bokulich N. A., L. Amiranashvili, K. Chitchyan, N. Ghazanchyan, K. Darbinyan, N. Gagelidze, T. Sadunishvili, V. Goginyan, G. Kvesitadze, T. Torok, D. A. Mills. Microbial biogeography of the transnational fermented milk Matsoni. Food microbiology. 50, 2015.
6. Kvesitadze G., Torok T., Kutateladze L., Gagelidze N., Amiranashvili L., Kvesitadze E., Kirtadze E., Kachlishvili E. 2006. Collection of bacteria and filamentous fungi isolated from different soil-climatic zones in the Southern Caucasus. Proceedings of the annual general meeting of the European Culture Collections' Organization (ECCO XXV) "The role of culture collections at the beginning of the XXIst century". Budapest, Hungary, Yune 7-10, 2006.
7. Tengiz F. Urushadze, Winfried E.H.Bluem - Soils of Georgia. Nova. New York. 2014.